პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის— 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- საბჭოთა კავშირის სრულუფ. წარმომადგენლობის განცხადება
- კომპარტიისა და კომკავშირის დევნა საფრანგეთში
- პატიმართა ამბოხება კანიონ-სოტიში (ამერიკა) ჩააქრეს
- პოლონეთის სეიმის „ოპოზიცია“ უკან იხევს.
- საბჭოთა ქვეყანა“ მოტორის დაზიანების გამო დაეშვა გრეგში (ულსის კუნძული)
- გარდაიცვალა მელითონეთა კავშირის ცენტრ. კომიტ. თავმჯდომარე ამხ. ლეპსე.

სამშაბათი, 8 ოქტომბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 232 (2578)

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი 15 ოქტომბრისათვის იწვევს (საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში)

ეორე ფართო რესპუბლიკანურ პარტიულ თათბირს ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ

თათბირის დღის წესრიგი:

1) საქ. ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის მდგომარეობა და პერსპექტივები.
2) სახალხო განათლების ხუთწლიანი გეგმა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მსვლელობა ეროვნულ უმცირესობათა შორის.
3) მიწად-მოქ. სახალხო კომისარიატ-ის მოხსენება მიწათმოწყობის შესახებ და „სოფლის კავშირი“-ს თანამოხსენება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის შესახებ ეროვნულ უმცირესობათა შორის.
4) საქართველოს დარაიონება.

მოვახდინოთ საბჭოთა საზოგადოებრივობის მობილიზაცია

(წერა - კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის გარშემო)

წერა - კითხვის უცოდინარობა მშრომელ მასებში — ძველი რეჟიმის ეს ერთ-ერთი ბნელი მემკვიდრეობა — უდიდეს შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს მთელ ჩვენ მშენებლობაში, მით უმეტეს ეხლა, როცა გაშლილი ფრონტით წარმოებს გრანდიოზული მუშაობა მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის და კაპიტალისტური ნაშთების საბოლოო აღმოფხვრისათვის. ამ მიზნის მიღწევა, თავისთავად ცხადია, შეუძლებელია მუშათა და გლეხთა უფართოესი მასების აქტიური და შეგნებული მონაწილეობის გარეშე, ხოლო უკანასკნელის ძირითადი პირობა კი პირველ ყოვლისა არის მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ამიტომაა, რომ პარტია და ხელისუფლება ამ საქმეს იმ თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ყველამ იცის ლენინის დირექტივა ოქტომბრის ათი წლის თავისათვის წერა - კითხვის უცოდინარობის სრული აღმოფხვრის შესახებ. მაგრამ სინამდვილეში ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ ამ დირექტივის განხორციელება, თუმცა ამ მხრივ ზოგიერთი თვალსაჩინო მიღწევა უდავოდ გვაქვს. და ეს აიხსნება არა მარტო სახელმწიფო ფინასიური რესურსების სიმცირით და კულტურულ მუშაკების ნაკლებობით, არამედ ბევრ ორგანიზაციის მიერ ამ დარგში ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანის მთელი მნიშვნელობის შეუფასებლობით, უგეგმო და შეუთანხმებელი მუშაობით და, რაც მთავარია, იმით, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხის გარშემო ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ მშრომელთა მთელი საზოგადოებრივობის მობილიზაცია და უცოდინარობასთან ბრძოლის ნამდვილ მასიურ მოძრაობად გადაქცევა.

ამიერიდან მაინც ასეთ მდგომარეობას ძირ-ფესვიანად უნდა მოეღოს ბოლო. საქართველოს კომპარტიის (ბ) მეექვსე ყრილობის დირექტივა მთელ საქართველოში წერა - კითხვის უცოდინარობის სამი წლის განმავლობაში აღმოფხვრის შესახებ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა იქმნას გატარებული. ამისათვის ჩვენ რეალური შესაძლებლობანი უთუოდ გაგვაჩნია, თუ მათ მაქსიმალურად და მიზანშეწონილად გამოვიყენებთ.

მთავარია ყოველმა ჩვენთაგანმა ნამდვილად შეიგნოს წერა - კითხვის უცოდინარობის მოსპობის უაღრესი მნიშვნელობა და მის გადაუდებლად შესრულების აუცილებლობა. დღეს გამოქვეყნებული ზოგიერთი მასალა კი გვეუბნება, რომ ეს ბევრგან კიდევ არა აქვთ სათანადოდ შეთვისებული. არის შემთხვევები, როცა ფინანსიურად საკმაოდ მძლავრი ორგანიზაციებიც კი შეუწყნარებელ „სიძუნწეს“ იჩენენ წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საჭიროებისათვის თანხების გაღების დროს. რას გავს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ამ.-კავ. საგზაო-სატრანსპორტო კოოპერაციის გამგეობას 1929-30 წლისათვის გადაუწყვეტია მარტო ერთი (ერთი!) სალიკვიდაციო სკოლის გახსნა? ან ის ფაქტი, რომ თბილისის აღმასკომის ფინმუშაკებს თურმე განზრახვა ქონდათ წერა - კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეზე საშუალებები წარსულთან შედარებით სრულებით არ გაედიდებიათ? ასეთი „მუშაობით“ შორს ვერ წავალთ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მთელ რიგ სათანადო ადგილობრივ ორგანოებში წერა - კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის საკითხი არც კი დაუსვამთ განსახილველად, კონკრეტულ ღონისძიებების გატარებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. თვით პოლიტგანათლების ორგანოთა უმრავლესობამ ამ მხრივ მოსამზადებელი მუშაობა 1929-30 წლისათვის ძალზე დაგვიანებით დაიწყო. და ყველაფერი ეს მოხდა მიუხედავად ხელმძღვანელ ორგანოების მტკიცე დირექტივებისა, რომელნიც გადაჭრით მოითხოვდნენ სასწრაფო და ენერგიულ მუშაობის გაშლას ამ დარგში.

სწორედ ესაა შეუფასებლობა წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მნიშვნელობისა, რაზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი, და საქმისადმი დაუდევარი და ბიუროკრატიული მიდგომა. ვიმეორებთ, ასეთი დამოკიდებულება ამ უპირველესი ამოცანისადმი ძირფესვიანად უნდა იქნეს აღმოფხვრილი. წერა - კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა, უცოდინარობის ლიკვიდაცია სამი წლის განმავლობაში უნდა მოექცეს ჩვენი ყურადღების ცენტრში.

ამ ამოცანის გარშემო უნდა დავრაზმოთ მთელი მუშურ - გლეხური მასები და მათ შორის მოვახდინოთ წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის იდეის ფართე პოპულიარიზაცია. წერა - კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის საქმეში აქტიურად უნდა ჩავაბათ მთელი კულტურული ძალები. უნდა შევქმნათ ისეთი ატმოსფერა და პირობები, როცა თვითეული მცოდნე ვალდებულად მიიჩნევს თავს შეასწავლოს წერა - კითხვა რამოდენიმე უცოდინარს. ამ დარგშიაც ფართედ უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება სხვადასხვა ორგანიზაციებსა, სოფლებსა და ცალკე კულტმუშაკებს შორის, რაც უეჭველად დიდ ნაყოფს გამოიღებს, როგორც ამას გვიჩვენებს სხვა დარგებში წარმოებული შეჯიბრება.

დიდი მნიშვნელობა აქვს მიზნის მისაღწევად მუშაობას დაწვრილებით გამომუშავებულ მთლიანი გეგმის მიხედვით. დღემდე ამ მხრივ არევ-დარევას ქონდა ადგილი. მეტ წილად ერთ-მანეთისაგან დამოუკიდებლად და შეუთანხმებლად მოქმედობდნენ პროფკავშირები, კოოპერაცია, საშეფო საზოგადოებანი „წერა - კითხვა“ და სხვ.. ეს რა თქმა უნდა, სასურველ ეფექტს არ იძლეოდა. საჭიროა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის ფრონტზე მომუშავე ყველა დაწესებულება - ორგანიზაციის საშუალებათა და ძალ-ღონის გაერთიანება და მათ საქმიანობაზე სისტემატიური ხელმძღვანელობის და კონტროლის გაწევა.

მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის მობილიზაციით, გეგმიანი მუშაობით და სწორი პარტიული ხელმძღვანელობით დასახულ ამოცანას დანიშნულ ვადაში, ეჭვს გარეშე, წარმატებით გადავჭრით.

როგორ სრულდება ცეკას დირექტივა

პარტიაში მუშების მიღების შესახებ

ჩვენი პარტიის შემადგენლობის, მისი ზრდის მოწესრიგების, პარტიაში მუშების მიღების და უცხო, გახრწნილი და გაბიუროკრატებული ელემენტებისაგან ჩვენი რიგების წმენდის საკითხი განხილულ უნდა იქნას რეკონსტრუქციის ამოცანების თვალსაზრისით.

სწორედ ასე მიუდგა საკითხს ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმი, რომელმაც მოგვცა დირექტივა საკავშირო კომპარტიის (ბ) ზრდის მოწესრიგების შესახებ. „პარტიაში მუშების გაძლიერებით მიღების მიზნებთან, მაშასადამე სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის ძირითად ამოცანებთან შეფარდებით საჭიროა პარტიაში მიღებულ იქნან მუშათა კლასის ნამდვილად მოწინავე ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ ჩადგნენ მუშათა მასების ავანგარდში სოციალისტურ მშენებლობის სიძნელეთა პრაქტიკულად დასაძლევად, წვრილბურჟუაზიულ იდეურ მერყეობის უკუსაგდებათ, პარტიისადმი ნდობის ყოველგვარი საშუალებით ასაწევად მუშათა და მშრომელთა მთელ მასას შორის“.

პრაქტიკული ამოცანის სახით პლენუმმა დაადგინა მიღწეულ იქნას, რომ „არა უგვიანეს —1930 წლის დამლევისა პარტიის შემადგენლობის ნახევარზე არა ნაკლებს შეადგენდნენ წარმოების მუშები“.

როგორ სრულდება საქმით ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პლენუმის გადაწყვეტილებათა შემდეგ პარტორგანიზაციები ენერგიულად შეუდგნენ პარტიის ზრდის მოწესრიგებას და პარტიაში მუშათა მიღების საკითხის მოგვარებას. ამის შედეგად პირველი კვარტალის განმავლობაში (იანვარი-მარტი) საგრძნობლად გაძლიერდა პარტიის ზრდის ტემპი (ეს ზრდა ორჯერ აღემატება კვარტალების მიხედვით საშუალო მიღებას 1928 წლის განმავლობაში). მაგრამ უკვე მეორე კვარტალი გვიჩვენებს ზრდის ტემპის შესუსტებას (მეორე კვარტალის განმავლობაში მიღებულ იქნა 64.548 კაცი, ხოლო პირველ კვარტალში 100.921 კაცი.) მართალია, წინა წლებში, 1927 წლის გამონაკლისით, შესუსტდა რაოდენობითი ზრდა მეორე კვარტალში, პირველ კვარტალთან შედარებით, მაგრამ სწორი არ იქნება ზრდის შემცირება ავხსნათ სასეზონო-საზაფხულო პირობებით.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მიღების შემცირების ძირითად მიზეზს შეადგენს პარტიაში მუშების მისაღებად წარმოებული ყოველდღიური მუშაობის შესუსტება, იმედის დამყარება კამპანიაზე (რასაც განსაკუთრებით ჰქონდა ადგილი პირველ კვარტალში მთელ რიგ ორგანიზაციაში), ან მუშების თავისთავად შესვლაზე პარტიაში (რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი მთელ რიგ ორგანიზაციებში მეორე კვარტალის განმავლობაში).

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ხარისხობრივი მხარე. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ დეფექტები ამ დარგში პირველი კვარტალის განმავლობაში, აღვნიშნეთ, რომ მთელ რიგმა ორგანიზაციამ ვერ შესძლო რაოდენობითი ზრდის შეგუება პარტიაში ნამდვილად საუკეთესო მუშების შერჩევასთან. მეორე კვარტალის შედეგები მოწმობენ პარტიაში მისაღებთა სოციალური შემადგენლობის ერთგვარ გაუარესებას. თუ პირველი კვარტალის განმავლობაში მიღებულთა შორის იყო 82,8 პროცენტი მუშა, მეორე კვარტალში მუშების რიცხვი შეადგენდა 75,9 პროც. შეგირდთა დაზგის მუშების მიღება: პირველ კვარტალში დაზგის მუშები შეადგენდნენ 69,8 პროცენტს, მეორე კვარტალში კი მხოლოდ 60,8 პროც.

მთელმა პარტიამ მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციოს უდიდეს დეფექტს ზრდის მოწესრიგების საქმეში—ეს დეფექტია მუშების მიღების შესუსტება მსხვილ საწარმოებში, რომლებიც ბოლშევიკური პარტიის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენენ. ლენინგრადში „კრასნი პუტილოვეც“-ში პირველ კვარტალში მიღებულ იქნა 440, მეორე კვარტალში—70 კაცი, ისეთ გიგანტში, როგორიცაა „სკოროხოდი“, რომელშიაც 11.000 მუშაზე მეტია, პარტიაში მიღებულ იქნა: აპრილში—59, მაისში—24, ივნისში—11 და ივლისში—9 კაცი, ივლისში ლენინგრადის 10 უდიდეს საწარმოში არც ერთი განცხადება არ შესულა პარტიაში მიღების შესახებ. „ხუთი ოქტომბრის“ ფაბრიკაში (ვლადიმირში) პირველი კვარტალის განმავლობაში მიღებულ იქნა 100 მუშა, მეორე კვარტალში—21 და სხვ.

ცნობები კავშირის 198 დიდი საწარმოს შესახებ მოწმობენ, რომ მეორე კვარტალში მუშებისაგან ორჯერ ნაკლები განცხადებები იქნა შეტანილი, ვიდრე პირველ კვარტალში. ამ 198 დიდ საწარმოში მუშების მიღების შესუსტების გამო (მუშათა კლასის საერთო ზრდის დროს) იმავე ხნის განმავლობაში პარტიული შემადგენლობა მათ შორის შემცირდა 14,3 პროცენტიდან 13,9 პროცენტამდე. ეს უდიდესი ნაკლია, რომლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სამრეწველო რაიონების პარტიული ორგანიზაციების მობილიზაცია. უნდა აღინიშნოს, როგორც დადებითი მოვლენა, წინსვლა მოჯამაგირეთა მიღების შესახებ არსებული დირექტივის შესრულებაში. 15,6 პროც. მეორე კვარტალში (პირველ კვარტალში იყო 13 პროც.), ქალების რიცხვის ზრდა: პირველ კვარტალში—15,7 პროც., მეორეში—19,4 პროც., კოლმეურნეობებში მომუშავეთა რიცხვის ზრდა (გლეხების შემადგენლობაში): პირველ კვარტალში მიღებულ იქნა კოლმეურნეობების 2.293 მუშა, მეორეში—3.373. მიღებულთა შორის ახალგაზრდობა შეადგენს 24,9 პროცენტს (პირველ კვარტალში შეადგენდა 28,9 პროცენტს).

ასეთია ძირითადი შედეგი ნახევარი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი პარტიის ზრდის მოწესრიგების და პარტიაში მუშების მიღების შესახებ.

საჭიროა გავითვალისწინოთ დეფექტები და შეცდომები და ფართო ფრონტით გავშალოთ მუშაობა ც. კ.-ის პლენუმის დირექტივების შესასრულებლად. უპირველეს ყოვლისა გადაჭრით უნდა გაძლიერდეს მუშების, განსაკუთრებით საწარმოო ორგანიზაციების მუშათა მიღების ტემპი. რაოდენობითი ზრდა უნდა შეუგუოთ პარტიაში ნამდვილი მოწინავე მუშების შერჩევას, რომლებიც „უდიდეს პოლიტიკურ სიმტკიცეს იჩენენ სიძნელეთა პერიოდში, ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალისტები არიან, პირადი მაგალითით უწყობენ ხელს შრომის ნაყოფიერების და შრომის დისციპლინის ზრდას, მხურვალედ და მტკიცედ ებრძვიან ბიუროკრატიზმს, აქტიურად მუშაობენ თავისი თავის კულტურული განვითარებისათვის და ამით ხელს უწყობენ პროლეტარული ავანგარდის ლენინური რიგების გამაგრებას“. ხუთწლიანი გეგმის მეორე წლის წინ, რომელიც უფრო რთული და ძნელია, საჭიროა დისციპლინის განმტკიცება, პროლეტარული გამძლეობა, ბრძოლა სიძნელეების დასაძლევად და სხ. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა მოვიხსენოთ ც. კ.-ის ზემოდ აღნიშნული დირექტივა.

დროა სერიოზულად დაისვას დიდ საწარმოებში მუშების მიღების საკითხი, რადგან ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს ყველაზე სუსტი ფრონტია. ნამდვილ გაუმჯობესებას ამ ფრონტზე მივაღწევთ, მხოლოდ მთელი პარტიული მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესებით საწარმოებში (მასიური პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა, პროლეტარული დემოკრატიის და თვითკრიტიკის უზრუნველყოფა, მუშაობა უპარტიოთა აქტივთან და სხ.).

სამწუხაროდ, პარტიის წმენდა დამაკმაყოფილებლად ვერ იქნა გამოყენებული პარტიაში მუშების მისაღებად. ეს ნაკლი უნდა ავიცილოთ. მხოლოდ ახლა იწყება საწარმოო უჯრედების წმენდის და შემოწმების გაშლა. ამიტომ საჭიროა საწარმოო უჯრედების წმენდა ფართოდ გამოვიყენოთ ბოლშევიკური პარტიულობის პროპაგანდისათვის მასებში, პარტიის ძირითადი ამოცანების ახსნა-განმარტებისათვის და ჩვენი ორგანიზაციის შევსებისათვის მოწინავე მუშების ხარჯზე.

ჩვენი პარტიის რეზერვები დიდ საწარმოებში სულ უფრო და უფრო იზრდება. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გაშლა, სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელი ბრიგადების მუშაობა, თვითკრიტიკა, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და პრაქტიკულ მუშაობაში ოპორტუნიზმის კონკრეტულ გამოხატულებასთან და სხ., გვაძლევენ ნამდვილ გმირებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ჩვენი პარტიის ერთგული პროლეტარების წრიდან. მუშაობის დაყენება ამ უპარტიოთა პროლეტარულ აქტივთან შეადგენს ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ერთ-ერთ მთავარ პირობას.

თავის-თავად ცხადია, რომ პარტიაში მუშების გაძლიერებით მიღება უნდა დაუკავშიროთ იმ პირობების მტკიცედ დაცვას, რომლებიც დაწესებულია პარტიაში მოსამსახურეთა და სხ. მისაღებად (მთელმა რიგმა ორგანიზაციამ მეორე კვარტალში არ შეასრულა ეს დირექტივა და ამიტომ მოხდა ორგანიზაციის ერთგვარი გაბერვა არაპროლეტარული ელემენტების ხარჯზე).

როცა დავამთავრებთ სოფლის ორგანიზაციების წმენდას უცხო, გაკულაკებული და გახრწნილი ელემენტებისაგან, სერიოზულად უნდა განვამტკიცოთ ჩვენი რიგები სოფლად. სოფლის და ნაციონალურ ორგანიზაციებში საჭიროა სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ პარტიაში სასოფლო-სამეურნეო მუშების და მოჯამაგირეების მიღებაზე, იმ გლეხების მიღებაზე, რომლებიც „ნამდვილად ერთგულნი არიან პარტიისა; მათ შორის უპირველეს ყოვლისა მიღებულ უნდა იქნან ღარიბები, განსაკუთრებით კოლმეურნეობათა მოძრაობის აქტიური მუშაკების წრიდან“. განსაკუთრებით სოფლად რიცხობრივი ზრდა უნდა შეუფარდოთ ნამდვილად მოწინავე, ნამდვილად ერთგული ელემენტების შერჩევას პარტიაში, ისეთი ელემენტების, რომლებსაც შეუძლიათ იყვნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ავანგარდში.

პარტიაში მიღების პროცესი მომავალში უნდა ჩატარდეს ფართო მასების აქტიური მონაწილეობით (წმენდის მეთოდის მსგავსად) ღია კრებებზე, ამასთან წინასწარ უნდა იქნას გამოქვეყნებული პარტიაში მისაღებთა სიები. პარტიისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს უპარტიო მასების დახმარებას, როგორც უდიდეს ხელისშეწყობას სოციალისტური მშენებლობის მთელი საქმისათვის, რომლის სათავეში ხდგას ჩვენი პარტია.

ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის წარმოებულ მუშაობაში არ უნდა იქნას დაშვებული ზევიდან დაწესებული „განაწილება“ და კამპანიურობა (რაიც ხშირად შემთხვევით მერყევ ელემენტებს გვაძლევს), არ უნდა დავემყაროთ მუშების „თავისთავად დენას“ პარტიაში. უნდა გავშალოთ ყოველდღიური სისტემატიური მუშაობა პარტიისათვის მუშათა კლასის ნამდვილად მოწინავე ელემენტების შესარჩევად.

„პრავდა“.

მოსკოვი, 6 ოქტომბერი.

ინგლისის პრესა ინგლის-საბჭოთა შეთანხმების შესახებ

კონსერვატიული პრესა უკმაყოფილოა მიღწეული შეთანხმებით

ჩინეთში იზრდება მოძრაობა ჩან-კაი-შის წინააღმდეგ

ინგლის-საბჭ. შეთანხმების გარშემო

ინგლისის პრესა ლიტვინოვის ინტერვიუს შესახებ

ლონდონი, 5 ოქტომბერი. ლიტვინოვის ინტერვიუ ინგლის-საბჭოთა ოქმის შესახებ თვალსაჩინო ადგილზე მოათავსეს ხელმძღვანელმა კონსერვატიულმა გაზეთებმა „ტაიმს“-მა, „დეილი ტელგრაფ“-მა და „მორნინგ პოსტ“-მა. სხვა გაზეთებმა ან შემოკლებით მოათავსეს ეს განცხადება ან სულ არ მოათავსეს იგი. „მორნინგ პოსტ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი სჩივის, რომ ოქმში არაფერია ნათქვამი იმ კურსზე, რომელიც აღებულ უნდა იქნას იმ შემთხვევაში, თუ ოქმით გათვალისწინებული ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკება წარმატებით არ დამთავრდება. კორესპონდენტი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ოქმი არ ითვალისწინებს არბიტრაჟის არავითარ ფორმას.

„მორნინგ პოსტ“-ი მოწინავე წერილში სწერს, რომ **ოქმი ჰენდერსონის სრულ კაპიტულიაციას მოწმობსო.** გაზეთი ამბობს: არ შეიძლება ბრალი მარტო ჰენდერსონს დაედოს, რადგან მასზე ზეგავლენა მოახდინეს მუშათა პარტიის პრესის ორგანოებმა და პარტიის მორიგმა წევრებმა. გაზეთის აზრით, მიღწეული შეთანხმება საჭიროებს პარლამენტის სანქციას, რაც დამოკიდებული იქნება ლიბერალების პოზიციაზე.

„დეილი ტელგრაფ“-ი სწერს, რომ ვალდებულება პროპაგანდის საკითხში, რასაც ჰენდერსონმა მიაღწია, არა ღირს იმ ქაღალდის ფასადაც კი, რომელზედაც ეს ვალდებულება არის დაწერილიო (დას).

ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი

ჩინელი ბანდიტები განაგრძობენ თავდასხმას საბჭოთა ტერიტორიაზე

ხაბაროვსკი, 6 ოქტომბერი. 27 სექტემბერს ველასა და ზარუბინის რაიონში, იმანიდან 75 კილომეტრის მანძილზე ჩინელებმა სროლა აუტეხეს ჩვენს სანაპირო რაზმს. 29 სექტემბერს დაურიას რაიონში ჩვენს ტერიტორიაზე გამოჩნდა ჩინეთის აეროპლანი.

ხაბაროვსკი, 6 ოქტომბერი. 3 ოქტომბერს ტური როგის (ხანკას ტბა) რაიონში ჩვენს ტერიტორიაზე გადმოვიდა ჩინელებისა და თეთრგვარდიელთა შეერთებული რაზმი, რომელიც თავს დაესხა ჩვენს დამცველ რაზმს. საპასუხო სროლის შემდეგ თავდამსხმელებმა უკან დაიხიეს. რამოდენიმე საათის შემდეგ ტური როგის მახლობლად საზღვარი კვლავ გადმოლახა მოწინააღმდეგის ცხენოსანმა რაზმმა, რომელიც რაიონის შიგნით გაემართა.

მიღებულია ზომები მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად და რაზმის ლიკვიდაციისათვის (ადს).

თეთრგვარდიელთა თავხედობა

ხაბაროვსკი, 6 ოქტომბერი. უსურის რაიონში, ს. სპასკოეში, გლეხებმა იცნეს ჩინეთიდან გადმოსული თეთრგვარდიელები. ისინი აგიტაციას ეწეოდნენ სოფლად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თეთრგვარდიელებს თანა აქვთ ასაფეთქებელი ნივთიერებანი. ზომებია მიღებული მათი ლიკვიდაციისათვის (ადს).

გერმანიის კონსული ბალზერი საბჭოთა კავშირში დაპატიმრებულ ჩინელ მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ

ბლაგოვეშჩენსკი, 6 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გერმანიის კონსულმა ბალზერმა განაცხადა:

„არ შემიძლია არ ავღნიშნო ის ყურადღება, რომლითაც მიმიღო ადგილობრივმა ხელისუფლებამ. პირველ დღეს მე ვინახულე ყველა საკანში მოთავსებული ჩინელი მოქალაქეები და ვებაასე მათ სამშობლო ენაზე. დაპატიმრებულებს კარგად ეპყრობიან. მათ საშუალება ეძლევათ იმუშაონ თავიანთ სპეციალობაზე, სამკერვალოში, ფეხსაცმელების და სხვა სახელოსნოებში. სანიმუშოდ არის მოწყობილი გამასწორებელი სახლის საავადმყოფო. შვიდი ავადმყოფი ჩინელი იქ ისეთსავე პირობებშია, როგორშიაც იქ დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქეები იმყოფებიან“ (ადს).

უცხოელები სუმბეის ბანაკში დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების შესახებ

ტოკიო, 7 ოქტომბერი. ხარბინიდან გადმოცემული ცნობით, ამერიკის კონსულმა და ვიცე - კონსულმა, იაპონიის ვიცე-კონსულმა და იაპონიის ჟურნალისტებმა ინახულეს სუმბეის ბანაკი, სადაც მოთავსებულნი არიან საბჭოთა მოქალაქენი. მათი სიტყვით, ბანაკმა მათზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. შენობის ფანჯრები დალურსმულია, ჰაერი არ სუფთავდება, არ არის აბანო, პატიმრებს არ აძლევენ ცხელ საჭმელს. დაპატიმრებულთა შორის ბევრია ავადმყოფი. ბანაკში დაახლოებით 2.000 კაცამდეა (ადს)).

საბჭოთა 38 მოქალაქის პროცესი

ტოკიო, 6 ოქტომბერი. ხარბინიდან იუწყებიან: მუკდენის ხელისუფალთ ბრძანება გასცეს, რომ საბჭოთა 38 მოქალაქის პროცესი სასწრაფო წესით მიმდინარეობდეს და 2 კვირის განმავლობაში დამთავრდეს. მუკდენმა უბრძანა სასამართლოს, რომ მან უეჭველად გამოიტანოს საბრალმდებლო განაჩენი და ბრალდებულნი გაჰყოს ორ ჯგუფად პატიმრობის სხვადასხვა ვადით. პროცესის ტემპის აჩქარება იმით აიხსნება, რომ ეშინიათ საქმე არ გართულდეს ხარბინის საბჭოთა კოლონიაში, აგრეთვე სურთ შეამოკლონ დამცველების სიტყვები და ბრალდებულთა ჩვენებანი. **საბრალმდებლო განაჩენი საჭიროა ჩინეთის ხელისუფალთათვის, რადგან ჩხრეკა ხარბინის საკონსულოში და იქ მყოფ საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდების საფუძვლად გადაიქცა. საბრალმდებლო განაჩენი საჭიროა აგრეთვე იმისათვის, რომ ჩამოაყალიბონ ზოგადი ბრალდებანი აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის სამმართველოს წინააღმდეგ, ვითომ იგი პროპაგანდას ეწეოდა.** ბრალდებულნი იძულებულნი არიან ამტკიცონ, რომ მათ უფლება ჰქონდათ საკონსულოში ევლოთ, აგრეთვე პასუხი აძლიონ იმ საბუთების გამო, რომლებიც თითქოს საკონსულოს შკაფებში ეპოვათ, მიუხედავათ იმისა, რომ ბრალდებულნი საკონსულოს თანამშრომლებად არ ყოფილან. პროცესზე ირკვევა, რომ დოკუმენტები — ნივთიერი საბუთები — მხოლოდ ასლებათ არსებობს, დედნები კი თითქოს ნანკინში იყოს გადაგზავნილი. **დამცველებმა ძლივ - ძლივობით დაითანხმეს სასამართლო, რომ ბრალდებულებისათვის ასლები ეჩვენებია.**

სასამართლოს სხდომა დღეში ორჯერ სწარმოებს; უკვე დაჰკითხეს ყველა 38 ბრალდებულს. გარეშეთათვის დანიშნული ადგილები ცარიელია (ადს).

სეიმის „ოპოზიცია“ უკან იხევს

ვარშავა, 5 ოქტომბერი. ბოლო დროს საპარლამენტო ოპოზიცია მთავრობასთან „ბრძოლაში“ თანდათან უკან იხევს. სეიმის მემარცხენე ფრთის და ცენტრის ჯგუფებმა, რომელნიც მთავრობას მემარცხენე ფრთის და ცენტრის კოალიციით აშინებდნენ, ვერ გაბედეს ესარგებლათ თავიანთი უფლებით და მოეთხოვათ სეიმის საგანგებო სესიის მოწვევა. სეიმი, მთავრობის სურვილის თანახმად, მოწვეული იქნება ჩვეულებრივი საბიუჯეტო სესიისთვის ოქტომბრის დამლევს. ხელისუფლება განაგრძობს საავადმყოფო სალაროების საბჭოების დათხოვნას და თავის კომისრების დანიშვნას ამ საბჭოებში. ამ დღეებში დაითხოვეს ვილნოს საავადმყოფო სალაროების საბჭო და სალაროების კომისრად დანიშნეს სამსახურის გარეშე მყოფი პოლკოვნიკი (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

მოძრაობა ჩან-კაი-შის წინააღმდეგ ძლიერდება

შანხაი, 6 ოქტომბერი. გაზეთ „ჩაინა უიკლი რევიუ“-ს კანტონელი კორესპონდენტის ცნობით, კანტონში შიშობენ, რომ შესაძლებელია კავშირის დადება გუანსიელების ძველ (ბაი - ძუნ-ში, ლი - ჩუნ-ჟენი და სხვები) და ახალ (იუ-ძო-პეი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად გადააყენა ნანკინმა გუანსის მთავრობის თავმჯდომარის ადგილიდან, ლიუ-უ-ნინი და ლი-მინ-გუი) ბელადებს შორის. ლი - მინ-გუის ჩან-კაი-შიმ გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოთქვამს იმედს, რომ სიმართლეს არ შეეფერება ხმები იმის შესახებ, თითქოს იგი შეუერთდა აჯანყებულთ, რომელნიც „კომუნისტების ქოფაკები“ არიან და მათ წრეში მოიპოვებიან „საბჭოთა კავშირის აგენტები, როგორც, მაგალითად, ჩენ-გუნ-პო და კუ მენ-გუი“. ჩან-კაი-შიმ მოსთხოვა ლი-მინ-გუის დაუყოვნებლივ გამოაცხადოს, თუ რა განზრახვები აქვს.

კორესპონდენტის ცნობით, ლიუ-უ-ნინი აპატიმრებს ნანკინის ყველა მომხრეს ვუჩოუში (ძიანსის პროვინცია), სადაც იქმნებოდა მეტად მძიმე ატმოსფერა, რადგან ამერიკის კონსულმა მიიღო განკარგულება — გაეყვანა ყველა ამერიკელი ქალი და ბავშვი; გარდა ამისა, ვუჩოუში ჩავიდა ინგლისური გამანადგურებელი უცხოელ მოქალაქეთა დასაცავად.

იმავე კორესპონდენციის თანახმად კანტონის „რკინის დივიზიის“ ორი ნაწილი მიადგა გუანსის. ამ ნაწილებს განზრახული აქვთ ამავე დროს იერიში მიიტანონ კვეილინსა, ლიუჩოუსა და შიუგუანზე. (ადს).

იუნგის გეგმა

გერმანიის მუშათა კლასის დამონების ახალი საშუალება

კომუნისტ დეპუტატის შტეკერის გამოსვლა რეიხსტაგში

ბერლინი, 6 ოქტომბერი. რეიხსტაგის 3 ოქტომბრის სხდომაზე კომუნისტმა დეპუტატმა შტეკერმა მოითხოვა იუნგის გეგმის დაუყოვნებლივ განხილვა. შტეკერმა განაცხადა:

„თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება უმუშევართა გაძარცვის შესახებ (ლაპარაკია უმუშევრობისაგან სოციალური დაზღვევის იმ რეფორმაზე, რომელიც დახმარებას უმცირებს უმუშევრებს) და ეხლა ისე ითხოვთ დეპუტატებს, რომ არ აძლევთ მათ საშუალებას განიხილონ აქ ის საკითხები, რომელნიც მუშათა კლასის საარსებო ინტერესებს შეეხებიან. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ — რეიხსტაგი ისევ მოწვეულ იქნას სამშაბათს, რათა მან შესძლოს მიიღოს გადაწყვეტილება ჩვენს კანონპროექტზე სამუშაო დროის მოწესრიგების შესახებ, აგრეთვე იუნგის გეგმის საკითხზე. დაუშვებელია, რომ ბურჟუაზია და სოციალ - დემოკრატები მშრომელი მასების ზურგს უკან ღებულობდნენ გადაწყვეტილებას იუნგის გეგმის შესახებ, რომელიც მოახწევებს მუშათა კლასის გაორკეცებულ დაბეჩვრას რამდენიმე ათი წლის განმავლობაში. ბურჟუაზია და სოციალ - დემოკრატები თანხმდებიან იუნგის გეგმაზე, რომელიც იწვევს მშრომელი მასების დამონებას, რადგან მათ იციან, რომ ამ გეგმის მთელი სიმძიმე მშრომელ მასებს დააწვება. ერთად-ერთი პარტია, რომელიც გადაჭრით და პატიოსნად იბრძვის იუნგის გეგმის წინააღმდეგ, არის კომუნისტური პარტია. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ მონური გეგმის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება არა ფაშისტებისა და ნაციონალისტების თვალთმაქცური მეთოდებით, არამედ მხოლოდ პროლეტარული რევოლიუციის მეთოდებით, საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ერთად. **ჩვენ მახლობელ მომავალში უნდა დავიწყოთ გააფთრებული ბრძოლა იუნგის გეგმის წინააღმდეგ და გამოვამჟღავნოთ ფაშისტების დემაგოგია, აგრეთვე ბურჟუაზიისა და სოციალ - დემოკრატების პოლიტიკა. ამ ტრიბუნიდან ჩვენ მოვუწოდებთ მშრომელ მასებს უმკაცრესი ბრძოლისაკენ იუნგის გეგმის წინააღმდეგ“.**

კომპარტიისა და კომკავშირის დევნა საფრანგეთში

პარიზი, 6 ოქტომბერი. სენის დეპარტამენტის პრეფექტმა ნება არ მისცა პარიზის გარეუბნის ივრის მერს (კომუნისტს), რომ მან ივრის მუნიციპალური დარბაზი დაუთმოს საფრანგეთის კომკავშირის ყრილობას, რომელიც კვირას უნდა დაიწყოს. განკარგულება იმით არის დასაბუთებული, რომ კომკავშირის ყრილობის დღის წესრიგში „შეტანილია წმინდა პოლიტიკური ხასიათის საკითხები“.

„ლიუმანიტე“ აღნიშნავს: მთავრობა განაგრძობს კომპარტიისა, კომკავშირისა, და შრომის უნიტარული კონფედერაციის დევნას და ამავე დროს ხელს უწყობს სოციალისტურ პარტიას, როგორც თავის აგენტს, მუშათა კლასის რიგებში. ამას ადასტურებს ის, რომ სოციალისტებსა და რეფორმისტებს დაუთმეს შენობები და მცველად პოლიცია დაუყენეს. „ლიუმანიტე“ ხელახლა მოუწოდებს მუშა - ახალგაზრდობას — მასიურად გამოცხადდეს მრავალ სოციალისტურ მიტინგზე და შეებრძოლოს სოციალ - მოღალატეებს.

სოციალისტების ორგანო „პოპიულერ“-ი აცხადებს: მიღებულია ზომები სოციალისტების მიტინგის დასაცავად.

გაზეთი მიმართავს სოციალისტურ ახალგაზრდობას და მოითხოვს მისგან, რომ კომუნისტები და კომკავშირელები მიტინგზე არ მიუშვას. (ადს).

„შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ“

პარიზი, 6 ოქტომბერი. ეგრედწოდებული „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების“ საქმის გამო, დაკითხულ იქნენ პარიზის რაიონის მელითონეთა პროფკავშირის მდივანი — კომკავშირელი კურტადი და შრომის უნიტარული კონფედერაციის მდივანი დიუდილიე, რომლებიც წინასწარ პატიმრობას იხდიან. დაკითხვის დროს კურტადმა განაცხადა — კომკავშირის წინააღმდეგ მიმართულ მთავრობის რეპრესიებს მუშა - ახალგაზრდობა გადაჭრით შეებრძოლება. „მუშა - ახალგაზრდობა, — სთქვა კურტადმა, — კომკავშირის ყრილობის ხელმძღვანელობით განაგრძობს რევოლიუციონურ ბრძოლას და ამხელს მთავრობის შეთქმულებას მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ“. (ადს).

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის განცხადება

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. „ვეჩერნაია მოსკვა“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა: „პარიზი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ საფრანგეთში აუწყა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ბესედოვსკი გადაყენებულია საელჩოს მრჩევლის თანამდებობიდან და სთხოვა სამინისტროს ამოშალოს მისი გვარი დიპლომატიური კორპუსის სიიდან“.

სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ პარიზში პრესას გადასცა გამოსაქვეყნებლად შემდეგი განცხადება:

„საელჩოს ყოფილი მრჩეველი ბესედოვსკი ერთ დროს მეტის-მეტად ხელგაშლილად ცხოვრობდა; მან მინდობილი ფონდებიდან გაფლანგა თვალსაჩინო თანხა, რომლის ანგარიში ვერ გაასწორა. 24 სექტემბერს საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა ბესედოვსკის—თავი დაენებებინა მოვალეობათა აღსრულებისათვის და წასულიყო მოსკოვში თავის მოქმედებათა განსამარტებლად. რადგან ბესედოვსკი არ დაემორჩილა ამ განკარგულებას, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს რეიზმანს დაევალა საელჩოს ყოფილი მრჩევლის ანგარიშების შემოწმება. ამ მიზნით რეიზმანი პარიზში ჩავიდა 2 ოქტომბერს. ბესედოვსკის სურდა თავიდან აეცილებინა ანგარიშების ჩაბარება და თავი დაეღწია პასუხისმგებლობისაგან; ამიტომ მან მოტყუებით დასტოვა საელჩო.

საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შესაყვანად ბესედოვსკი შეეცადა, რომ ნამდვილი სისხლის სამართლის საქმისათვის მიეცა პოლიტიკური ხასიათი, რაც ამ საქმეს არავითარ შემთხვევაში არა აქვს, და თავისი თავი პოლიტიკური რწმენის მსხვერპლად გამოეყვანა. ამ მიზნით მოიმიზეზა, რომ იგი პოლიტიკურად არ ეთანხმება მთავრობას. საელჩო გადაჭრით აცხადებს, რომ ბესედოვსკის არც მთავრობისათვის, არც საელჩოსათვის არ განუცხადებია, რომ იგი არ ეთანხმება მთავრობას. მეორეს მხრით, მას იმედი ჰქონდა, რომ სკანდალის მეოხებით საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას უკუაქცევდა თავისი ურიგო საქციელისაგან და ამიტომ გამოიგონა ზღაპარი იმის შესახებ, ვითომც ის და მისი ოჯახი დაიჭირეს საელჩოში, ვითომ მათს სიცოცხლეს ემუქრებოდნენ და ამან აიძულა იგი მოეთხოვა პოლიციის ჩარევა საქმეში.

საელჩო აუწყებს საზოგადოებრივ აზრს იმ ფაქტებს, რომლებიც საკმაოდ ახასიათებენ იმ ადამიანს, რომელიც ამიერიდან სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს; იგი გადაჭრით უარჰყოფს ყოველგვარ ფანტასტიურ ლაპარაკს ამ საგნის გარშემო (ადს).

პატიმართა ამბოხება კანიონ-სოტიში

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. პატიმართა ამბოხებამ კანიონ-სოტის საპყრობილეში რამდენსამე დღეს გასტანა. ღამით პატიმრებმა მოჰკლეს საპყრობილის ოთხი მცველი, რომლებიც მათ მძევლებად ჰყავდათ. ჰკლავდნენ სათითაოდ, ყოველ მოთხოვნაზე (ტუსაღთა განთავისუფლების შესახებ) უარის მიღების შემდეგ. დილისთვის მზადდებოდა იერიში მძიმე არტილერიით. ამბოხებულთა ბელადმა დანიელსმა როცა იგი დარწმუნდა, რომ უაზრო იყო წინააღმდეგობის გაწევა, მოჰკლა ხუთი თავისი თანაშემწე და შემდეგ თვითონ მოიკლა თავი. დანარჩენი პატიმრები დანებდნენ. საპყრობილის ზოგიერთი შენობა დამწვარია. მოკლულია ციხის 7 მცველი და 5 პატიმარი. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ეს მეოთხე ამბოხება მოხდა. ამბოხებებს იწვევს სივიწროვე, მკაცრი მოპყრობა და პატიმრობის ხანგრძლივი ვადა (ადს).

მფრინავი კოსტი განაგრძობს ფრენას

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. თავდაცვა-ავიაქიმის საბოლოო ცნობების მიხედვით, თავისი გზის მთავარ მანძილზე კოსტი სარგებლობდა ძლიერი ზურგის ქარით. 29 სექტემბერს დილის 7 საათზე მან ქალაქ უსტ-ბარგუზინს გადაუარა, თუმცა იქ ჰაეროპლანის ტიპი ვერ გამოარკვიეს. დაახლოვებით დღის 12 საათზე ჰაეროპლანი დაინახეს ბეკლემიშევოს რაიონში, ჩიტას ჩრდილოეთით. იმავე ჰაეროპლანმა შემდეგ გადაუარა ბორზიასა და დაურიას სადგურებს და დაახლოვებით 14 საათზე აბაგაიტუევის სამანეების რაიონში, მანჯურიის სადგურს სამხრეთ - აღმოსავლეთით, ამ სადგურიდან 40 კილომეტრის მანძილზე, ჩინეთის საზღვარზე გადაფრინდა. როგორც ეტყობა, ჰაეროპლანმა გზა განაგრძო საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარედ, მანჯურიის ტერიტორიაზე. მეთვალყურეების დაკვირვებით, ჰაეროპლანი ბრეგეს ტიპისა იყო, წითელი ფერის, უცხოეთის ნიშნებით.

ჰაეროპლანის ბედის გამორკვევის დაგვიანება უმთავრესად აიხსნება იმით, რომ სანაპირო ზოლში, ცნობილ ამბებთან დაკავშირებით, განუწყვეტლად დაჰფრინავდენ სხვა ჰაეროპლანები, მათ შორის, აღნიშნული ტიპის ჰაეროპლანებიც. ამის გამო, განსაკუთრებული სისწორე იყო საჭირო. თავდაცვა - ავიაქიმის დადგენილებით, შესწყდა ჰაეროპლანის ძებნა, რომელსაც ამ საზოგადოების ორგანიზაციები აწარმოებდნენ; შესწყდა აგრეთვე ავიაექსპედიციის ორგანიზაცია ამ მიზნით. (ადს).

მფრინავი კოსტი უვნებლად დაეშვა მანჯურიაში

პარიზი, 6 ოქტომბერი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, მფრინავი კოსტი უვნებლად დაეშვა ციციკარის რაიონში, მანჯურიაში, ხარბინის ჩრდილოეთით. (ადს).

საკავშ. სახკომსაბჭოს დადგენილება

განუწყვეტელი საწარმოო კვირის შესახებ

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასულ დაწესებულებათა მუშაკებს ყოველკვირეული დასვენების დღეებში სცვლიან სხვა მუშაკები (როგორც თანაბარი, ისე უფრო დაბალი ხელფასით); შეცვლისათვის მათ არავითარი დამატებითი ხელფასი არ ეძლევათ. როცა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადადიან ისეთი დაწესებულებანი, სადაც ექვსი საათის სამუშაო დღე არსებობს, სამუშაო დრო უცვლელი რჩება; რვა საათის მომუშავეთათვის, არასრულ წლოვანთათვის და მავნე და საშიში საწარმოების მუშაკთათვის შემოღებულია შემოკლებული სამუშაო. (ადს).

საკავშირო სახკომსაბჭო

ა.-კ. სახ. მეურნეობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. ამას წინად საკავშირო მთავრობამ მოისმინა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ელიავას მოხსენება: „სახალხო მეურნეობის და კულტურულ-სოციალური მუშაობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაში“. საკავშირო სახკომსაბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიაც შეფასებულია ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ წარმოებული მუშაობა და მოცემულია სადირექტივო მითითებანი მომავალი მუშაობის შესახებ. სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ამიერ-კავკასიის ხალხთა თანამშრომლობას ნაციონალურ, კულტურულ და სამეურნეო მშენებლობაში. ამიერ-კავკასიას მტკიცედ და უყოყმანოდ გადაჰყავს თავისი სახალხო მეურნეობა სოციალისტური რეკონსტრუქციის რელსებზე. საბჭოების ირგვლივ მშენებელთა ფართო აქტივის გაერთიანება ჰქმნის რწმენას, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა შესძლებს წარმატებით შეასრულოს ის რთული ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულებასთან არიან დაკავშირებულნი.

საკავშირო მთავრობამ მოიწონა ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ აღებული გეზი, რომელიც გულისხმობს ელექტროფიკაციის გზით მსხვილი წარმოების შექმნას ამიერ-კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების საშუალებით და მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ნიადაგზე. საჭიროა მხოლოდ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლის ელექტროფიკაციის განვითარებას, რასაც დღემდე საკმაო ყურადღება არ ექცეოდა.

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს ეძლევა დირექტივა—მიიღოს ყოველგვარი ზომა ამიერ-კავკასიაში გეოლოგიური კვლევა-ძიების საწარმოებლად ნავთის, ნახშირის, მარგანეცის, რკინის და ფერადი ლითონების საბადოების აღმოსაჩენად და შესასწავლად, ამასთან საგრძნობლად უნდა გადიდდეს ის თანხები, რომლებიც ამ მიზნისთვის გათვალისწინებულია ხუთწლიან გეგმაში. ამიერ-კავკასიის მთავრობა უნდა შეუდგეს უმნიშვნელოვანესი იაფი საშენებლო მასალის (არტიკი, ტუფი, ფიქალი, ბიტუმი, პემზა და სხვ.) მრეწველობის ფართო განვითარებას.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის მეაბრეშუმეობის ის ტემპი, რომელიც ხუთწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული, სრულებით არ შეეფერება ამ დარგის განსაკუთრებულ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას. ამიტომ საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიას და ამიერ-კავკასიის მთავრობას ევალებათ—დაამუშაონ საკითხი აბრეშუმის დამმუშავებელი მრეწველობის ნედლეულის ბაზისის მაქსიმალური განვითარების შესახებ თუთის ხის მოშენებისა და მეაბრეშუმეობის რაციონალიზაციის გზით. სახკომსაბჭო ამიერ-კავკასიის მთავრობის ყურადღებას მიაქცევს იმას რომ ამიერ-კავკასიაში საკმაოდ არ არის განვითარებული თევზის და ბოსტნეულის კონსერვების მრეწველობა და მეხილეობა; მას საჭიროდ მიაჩნია, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობამ მიიღოს გადამჭრელი ზომები მრეწველობის ამ დარგების სწრაფი განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობის განვითარება ამიერკავკასიაში უნდა მიმდინარეობდეს ძვირფასი ტექნიკური კულტურების განვითარების ხაზით (ბამბა, თამბაქო, ჩაი, კაუჩუკი, ეთერისა და წამლეულის კულტურები და სხვ.) ამიერ-კავკასიის საერთო ფედერატიული და რესპუბლიკანური ორგანიზაციები ამ საკითხებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, რის გამოც დაქსაქსული სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ტემპი აშკარად არა საკმაოა, ხოლო სამრეწველო მშენებლობა უკანასკნელ წლებში მძიმე მდგომარეობაში ვარდება იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის, როგორც მრეწველობის ნედლეულის ბაზისის, ზრდა ჩამორჩენილია. ამიერ-კავკასიის მთავრობა ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყენებს ამიერ-კავკასიის სუბტროპიკული რაიონების შესაძლებლობას: ამ რაიონში შესაძლებელია სხვადასხვა რიგ ისეთ კულტურების განვითარება, რომელთაც დიდი საექსპორტო მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც გაანთავისუფლებენ საბჭოთა კავშირს სხვადასხვა საქონლის შემოტანისაგან და საგრძნობლად გაადიდებენ საშუალო და ღარიბ მეურნეობათა შემოსავლიანობას. ამიტომ ამიერ-კავკასიის მთავრობას დაევალა—სასწრაფოდ შეიმუშაოს ამ მიმართულებით ღონისძიებათა ხუთწლიანი გეგმა.

საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადება მისცა გზათა სახალხო კომისარიატს—მიიღოს გადამჭრელი ზომები ამიერ-კავკასიის საგზაო მშენებლობის განსავითარებლად, რამაც უნდა უზრუნველჰყოს ავტომოძრაობა მთავარი მარშრუტებზე. უნდა გაძლიერდეს აგრეთვე შინაური სანაოსნო გზების განვითარება.

გარდა ამისა, სასწრაფოდ იქნას აღდგენილი საქართველოს სამხედრო გზატკეცილი, რომელსაც ამიერ-კავკასიის საბჭოთა კავშირის დანარჩენ ტერიტორიასთან შემაერთებელი მაგისტრალის მნიშვნელობა აქვს, შეკეთდეს ოსეთის და სოხუმის სამხედრო გზები, აგრეთვე ევლახ-შუშის, გორის-ნახიჩევანის და ტყიბულ-ამბროლაურის გზატკეცილები.

სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბაზრის გართულებული მდგომარეობა, რასაც ადგილი აქვს ამიერ-კავკასიაში, აგრეთვე ფასების გადიდება—ნაწილობრივ აიხსნება სავაჭრო და დამამზადებელი ქსელის სუსტი ორგანიზაციით, აგრეთვე კოოპერატიული ქსელის სიმცირით. ამიტომ ამიერ-კავკასიის მთავრობას წინადადება მიეცა—მიიღოს საჭირო ზომები დამამზადებელი აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად და სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის გასაძლიერებლად განსაკუთრებით სოფლად.

საკავშირო მთავრობა არასაკმაოდ სცნობს ამიერ-კავკასიის მთავრობის ღონისძიებებს საბინაო მშენებლობის საქმეში და წინადადებას აძლევს მას—გააფართოვოს ეს მშენებლობა, კერძოდ წითელი არმიის უფროს შემადგენლობის საჭიროებისათვის. საკავშირო მთავრობამ მხედველობაში მიიღო ამიერ-კავკასიის უკიდურესი მოუწყობლობა და საჭიროდ სცნო გაძლიერდეს კომუნალური მშენებლობა ქალაქებში, კურორტებზე და სხვა დასახლებულ ადგილებში იმ ვარაუდით. რომ ისინი ახლო მომავალში უზრუნველყოფილ იქნენ საზოგადო სარგებლობის თუნდაც ძირითადი კომუნალური საწარმოებით.

ამიერ-კავკასიის საფინანსო მეურნეობის საგრძნობ მიღწევებთან ერთად დღესაც ჯერ კიდევ არ არსებობს საჭირო საბიუჯეტო დისციპლინა, რის გამოც ადგილი აქვს ზედმეტ ხარჯებს. საკავშირო მთავრობა ურჩევს ამიერ-კავკასიის მთავრობას—მიიღოს გადამჭრელი ზომები ამის თავიდან ასაცილებლად. საკავშირო სახკომსაბჭო აღნიშნავს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო შემოსავლის ზრდას, მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ ამ მხრივ ამიერ-კავკასიის მთავრობის ღონისძიებები არ არის საკმაო და წინადადებას აძლევს მას—უფრო ენერგიულად გამოიყენოს საშემოსავლო შესაძლებლობანი, კერძოდ ტყის, მრეწველობის და სხვ. საგადასახადო შესაძლებლობანი.

საკავშირო სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობას აქვს თვალსაჩინო მიღწევები კულტურული რევოლიუციის უმაღლესი სასწავლებლების და უმაღლესი ტექნ. სასწავლებლების ორგანიზაციის ფრონტზე, აგრეთვე აზერბეიჯანის ახალ ლათინურ ანბანზე გადასვლის საქმეში, და წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის მთავრობას —განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საყოველთაო სწავლების შემოღებას და ამ მიზნისათვის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაფერი თანხების გაღება.

როგორც საკავშირო ორგანოებმა ისე ამიერ-კავკასიის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კვალიფიციური მუშაკების კადრების შექმნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში (ადს).

ამხ. ლეპსეს გარდაცვალება

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. 6 ოქტომბერს დილით გარდაიცვალა მელითონეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლეპსე.

უკანასკნელ თვეებში ამხ. ლეპსეს გაურთულდა ღვიძლის ავადმყოფობა, რომლითაც ის რამდენიმე წელიწადია ავად იყო. ექიმთა კონსილიუმმა საჭიროდ სცნო ოპერაცია. 3 ოქტომბერს ამხ. ლეპსეს გაუკეთეს ოპერაცია, რის შემდეგაც იგი თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა და საჭირო გახდა ახალი ოპერაცია, რომელმაც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი.

ცხედარი გადატანილი იქნა კავშირთა სახლში, სადაც მას ადგას საპატიო დარაჯი. სამშაბათს მოხდება კრემაცია (ნეშტის დაწვა), რასაც დაესწრება ნიჟნი - ნოვგოროდის, ტულის, ხარკოვის, ლენინგრადის და სხვა რაიონების მელითონე მუშათა წარმომადგენლები. (ადს).

ამხ. ლეპსეს ხსოვნის უკვდავყოფა

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. საკავშირო პროფსაბჭოს და მელითონეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებულმა კომისიამ, რომელსაც ამხ. ლეპსეს დასაფლავების ორგანიზაცია და ხსოვნის უკვდავყოფა აქვს დავალებული, დაადგინა: დაარსოს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ამხ. ლეპსეს სახელობის სამი სტიპენდია მუშების შვილთათვის და ორ-ორი სტიპენდია საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს სამრეწველო აკადემიაში და პროფმოძრაობის უმაღლეს სკოლაში. აღიძვრება შუამდგომლობა ლეპსეს ოჯახისათვის პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ.

ამხ. ლეპსეს მოკლე ბიოგრაფია

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. ამხ. ლეპსე ივანე ივანესძე, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მელითონეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, დაიბადა 1889 წელს, მუშის ოჯახში. 16 წლის ამხ. ლეპსე შევიდა კომუნისტურ პარტიაში და მას შემდეგ კომუნისტური პარტიის საუკეთესო და ურთგულესი წევრი იყო. ოქტომბრის წინ ამხ. ლეპსე, როგორც მელითონეთა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე, აქტიურად იბრძოდა კერენსკის მთავრობის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლებისათვის. 1919 წლიდან 1921 წლამდე ამხ. ლეპსე იყო წითელი არმიის რიგებში: იყო მე-7 არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს წევრი, მონაწილეობას იღებდა ლენინგრადის დაცვაში, პსკოვის აღებაში, 1920 წელს იბრძოდა პოლონეთის ფრონტზე და 1921 წელს მონაწილეობას იღებდა კრონშტადტის აჯანყების ჩაქრობაში. წითელი არმიის რიგებში ბრძოლებისთვის ამხ. ლეპსე დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით. მელითონეთა კავშირში მუშაობასთან ერთად, ამხ. ლეპსე, როგორც საკავშირო პროფსაბჭოს წევრი, მონაწილეობდა პროფესიონალური მოძრაობის ხელმძღვანელობაში. ამხ. ლეპსე თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა საკავშირო პროფსაბჭოს საერთაშორისო მოღვაწეობაში: იყო ინგლის - რუსეთის მთლიანობის კომიტეტის წევრი; 1925 წელს იმოგზაურა ჩინეთსა და იაპონიაში ჩინეთის მუშათა მდგომარეობის გასაცნობად და ამ ქვეყნების რევოლიუციონურ პროფკავშირებთან ურთიერთობის დასამყარებლად. 1927 წელს ამხ. ლეპსემ მონაწილეობა მიიღო ერთა ლიგის კონფერენციაში, როგორც საბჭოთა ქვეყნის პროფკავშირების წარმომადგენელმა და საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრმა. პარტიის მე-11 და მე-12 ყრილობაზე ამხ. ლეპსე არჩეულ იქნა კანდიდატად ცენტრალური კომიტეტის წევრობაზე, ხოლო მე-13 და მე-14 ყრილობებზე — საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. (ადს).

„საბჭოთა ქვეყანა“-ს გადაფრენა

ვაშინგტონი, 6 ოქტომბერი. „საბჭოთა ქვეყნის“ იძულებითი დაშვების გამო სანაპირო სადარაჯო გემმა „ოიგამ“-მა მიიღო განკარგულება გაემართოს იქ, სადაც აეროპლანი დაეშვა და დახმარება აღმოუჩინოს მას. ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ „ოიგამ“-ი შესძლებს მოტორის მიტანას იმ ადგილას, სადაც აეროპლანი დაეშვა, ანგრემში (უელსის პრინცის კუნძული), მას შემდეგ, როცა მოტორის გემით ჩაიტანენ სიეტლიდან.

აროპლან „საბჭოთა ქვეყანა“ უვნებელია

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. როგორც „ასოშიეიტედ პრეს“-ი გრეგიდან (უელსის პრინცის კუნძული), იუწყება, იქ ჩავიდა „საბჭოთა ქვეყნის“ ეკიპაჟიდან ორი კაცი, რომლებმაც განაცხადეს, რომ აეროპლანი, მარცხენა მოტორის დაზიანების გამო, იძულებული გახდა დაშვებულიყო. აეროპლანი დაეშვა წყალგარდნილთან, 12 მილის მანძილზე გრეგიდან ჩრდილოეთით. გაფრენა შეუძლებელია, სანამ სიეტლიდან ახალ მოტორს არ მოიტანენ (ადს).

ნიუ-იორკი, როგორც „ამტორგ“-ის სიეტლელი წარმომადგენელი იუწყება, ამერიკულმა გემმა, რომელიც აეროპლანს „საბჭოთა ქვეყანას“ ეძებდა, აეროპლანი უვნებელი ნახა ალისკის ნაპირზე, დაახლოებით 120 მილის მანძილზე სიტკიდან, მის სამხრეთით. მფრინავებმა სიეტლთან კავშირი დაამყარეს ზღვის რადიოს საშუალებით. ახალი მოტორი უკვე გაიგზავნა სიეტლიდან (ადს).

ქუთაისის პირველი რაიპარტკონფერენცია

ქუთაისი, 7 ოქტომბერი. (ჩვენი კორ.). გაიხსნა ქალაქ ქუთაისის და მისი რაიონის პირველი პარტიული კონფერენცია. კონფერენციას ესწრება 150 დელეგატი და ქალაქის აქტივი. დღის წესრიგშია: ორ ფრონტზე ბრძოლის ამოცანები, საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხი, არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. შ. ელიავა, რომელსაც კონფერენცია ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

მესხი

მძლავრი იერიშებით--წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ!

3 წლის განმავლობაში უნდა მოვახდინოთ წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია!

საზოგადოებრივ-ნებაყოფლობითი ფორმებმა მთავარი ადგილი უნდა დაიკავოს წ.-კ. უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემაში!

ფართოდ გავშალოთ მასიური კულტ-ლაშქრობის ფრონტი

გავაძლიეროთ სოციალისტური შეჯიბრება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გარშემო.--სკოლამ სკოლა, სოფელმა სოფელი, რაიონმა რაიონი, მაზრამ მაზრა, ოლქმა ოლქი უნდა გამოიწვიოს სოც. შეჯიბრებაში

მიმდინარე წლის დეკემბერში ჩატარებული იქნება წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის მსვლელობის შემოწმება

პრაქტიკული ღონისძიებანი

წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის

(საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება)

სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე მომენტი პარტიისაგან მოითხოვს ფართო პარტიული მასების ყურადღების მობილიზაციას კულტურული რევოლუციის საკითხების გარშემო. წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაცია წარმოადგენს კულტურული რევოლუციის ერთ ერთ მთავარ ამოცანას, მეტადრე მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ეპოქაში; სოციალისტური რეკონსტრუქცია კი მოითხოვს შეგნებული მონაწილეობის მიღებას სახალხო მეურნეობის ახალი სოციალისტური ფორმების შექმნაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის პრეზიდიუმი აღნიშნავს წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო მუშაობის ერთგვარ მიღწევებს და ამავე დროს სცნობს, რომ ამ ფრონტზე მუშაობა აშკარად არადამაკმაყოფილებელია.

რათა გადაჭრით გაძლიერდეს მუშაობის ტემპი იმ ბრძოლის საქმეში, რომლის მიზანია წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია სამი წლის განმავლობაში, საჭიროა ძირიან-ფესვიანად გადაისინჯოს ძველი სისტემა, უარყოფილ იქნას ძველი, გაუმართლებელი ფორმები და ფართოდ იქნას გამოყენებული კულტურული ლაშქრობის მერ წამოყენებული ახალი მეთოდები. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის მთელი სისტემის სრული გარდაქმნა, ამასთან დაკავშირებით მასიური პოლიტიკურ- განმანათლებელი სისტემის გარდაქმნაც, მეტადრე სოფლად, შესაძლებელია და განსახორციელებელი მხოლოდ მაშინ, თუ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა გადაიქცევა ნამდვილ ფართო მასიურ მუშაობად. ამიტომ საჭიროა გეგმის მთლიანობა, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძალ-ღონისა და სახსრების გაერთიანება.

ც. კ.-ის პრეზიდიუმი, ზემოთქმულის მიხედვით, საჭიროდ სთვლის:

1. სწარმოებდეს ყოველმხრივი ბრძოლა მუშაობის ამ დარგის არასაკმაოდ შეფასებასთან, რასაც იჩენენ ზოგიერთი ორგანიზაციები (სამხრეთ-ოსეთი, სენაკის მაზრა, ზემო-სვანეთი).

2. გაძლიერდეს ამ მუშაობის ხელმძღვანელობა პარტორგანიზაციების მიერ როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, ამ საქმეში ჩაბმულ იქნან კომკავშირის, პროფესიონალური და სხვა მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რისთვისაც საჭიროა მოხსენებების დასმა საოლქო, სამაზრო, სარაიონო, სათემო კომიტეტებში, უჯრედებში და სისტემატიური კონტროლი ამ მუშაობის მსვლელობაზე.

3. საქ. კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის პრეზიდიუმი, აღნიშნავს რა პროფკავშირების და კოოპერატიული ორგანიზაციების არა საკმაო მონაწილეობას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, ავალებს ამ ორგანიზაციებს— უზრუნველჰყონ მონაწილეობა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეში, რისთვისაც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლებსა და ჯგუფებში თავი უნდა მოუყარონ წერა-კითხვის უცოდინარებს, უნდა განავითარონ ინდივიდუალური სწავლება, დაუთმონ სადგომები, მიაწოდონ ფინანსები კულტფონდებიდან, გაუწიონ კონტროლი მეცადინეობაზე დასწრებას და მუშაობის შედეგებს, დაეხმარონ მოსწავლეებს ყველა სახის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობით.

4. წინადადება მიეცეს „წერა-კითხვის" საზოგადოებას—წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ირგვლივ დარაზმოს ფართო საზოგადოებრიობა, ძირითად ამოცანად დაისახოს საზოგადოების გადაქცევა ნამდვილ მასიურ ორგანიზაციად და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა დარაზმოს ამ საქმის ირგვლივ.

5. გაძლიერდეს ქალაქისა და სოფლის კულტურული ძალების მონაწილეობა ამ მუშაობაში. ამ მიზნით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში ჩაბმული იქნან პარტიის წევრები, კომკავშირელები, პროლეტარული სტუდენტობა, პირველი და მეორე საფეხურის, გლეხური ახალგაზრდობის სკოლების, ტეხნიკუმების უფროსი ჯგუფების მოსწავლენი, განათლების მუშაკები, დემობილიზაციაქმნილი და შვებული წითელარმიელები, სოფლის საშეფო საზოგადოებათა მუშაკი, აგრეთვე საბჭოთა ინტელიგენციის სხვა ჯგუფები, ამასთან მოგვარებულ იქნას მათი მუშაობის სისტემატიური ხელმძღვანელობა და ეს მუშაობა შეეგუოს პარტიულ, კომკავშირის და პროფკავშირების დატვირთვას.

6. პოლიტგანის ორგანოებს, აგრეთვე ყველა სხვა ორგანიზაციას დაევალოს —სავსებით ჩაატარონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სამი წლის განმავლობაში, ამასთან:

ა) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია კომპარტიის (ბ), კომკავშირის და პროფკავშირების (გარდა გემო-კვების, მიწა-ტყის, კომუნალურ მუშაკთა, მშენებელთა კავშირისა) წევრებს შორის, აგრეთვე კოლმეურნეობათა წევრ გლეხებს, წვევამდელებს და ცვალებადელებს შორის ყველა ქალაქსა და სამრეწველო რაიონში, ოზურგეთის მაზრაში და რაჭის რაიონში უნდა მოხდეს ერთი წლის განმავლობაში;

(ბ) კომუნალური მუშაკების, მშენებლობის, სახალხო კვების და მიწა-ტყის მუშაკების. კავშირის წევრთა შორის, აგრეთვე ქუთაისის, შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებში და ლეჩხუმის რაიონში— ორი წლის განმავლობაში.

გ) ავტონომიურ რესპუბლიკებში და დანარჩენ რაიონებში— სამი წლის განმავლობაში. გაძლიერდეს სკოლების მუშაობა როგორც სასეზონო მუშებისა და მუშა-ქალებისათვის, ისე მომთაბარე მამაკაცებისა და ქალებისათვის.

7. გაძლიერდეს ადგილობრივი საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა და მონაწილეობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში; საამისოდ საჭიროა:

ა) მოხალისე ლიკვიდატორების მიზიდვა და მათი მიმაგრება ჯგუფებზე და სხვადასხვა უცოდინარებზე; ბ) შეჯიბრების მოწყობა სკოლებსა, თემებსა და სოფლებს შორის; გ) სათემო საბჭოებთან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ხელშემწყობი კომისიების ორგანიზაცია; დ) სკოლების მუშაობის საზოგადოებრივი შემოწმება; ე) წერა- კითხვის მცოდნეთა შეფობა უცოდინართა მიმართ; ვ) ქვედა ორგანიზაციების, მუშა და გლეხ-ქალების სადელეგატო კრებების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და კულტკომისიების მონაწილეობა იმ საქმეში, რომლის მიზანია უცოდინართა მიზიდვა სკოლებში, და საერთოდ მათი მონაწილეობა მთელ საორგანიზაციო მუშაობაში; ზ) თვითგანვითარების საწრეო მუშაობაში ჩაბმა იმ პირებისა, რომელთაც გაათავეს უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლები და ჯგუფები.

8. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა უნდა სწარმოებდეს როგორც სასკოლო წესით, ისე ჯგუფური და ინდივიდუალური წესით და ამ მიზნით მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან მოხალისე ლიკვიდატორები, პოლიტგანმანათლებელნი და სხვანი; ამ მუშაობისათვის უნდა მოხდეს მობილიზაცია კომკავშირის მცოდნე ძალებისა არა ნაკლებ 5.000 კაცის რაოდენობით. განათლების მსახურთა—6.000 კაცის რაოდენობით, სტუდენტებისა და უფროსი ჯგუფების მოსწავლეებისა—10.000 კაცის რაოდენობით, სხვა კულტურული ძალებისა, აგრონომებისა, ექიმებისა, ექიმების თანაშემწეებისა, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებისა, ნებაყოფლობითი საზოგადოებების აქტივისა, კოოპერატიული მუშაკებისა და სხვათა—5.000 კაცამდე.

პოლიტგანათლების სამმართველომ და სხვა ორგანიზაციებმა უნდა მიაწოდონ მათ სათანადო სასწავლო ხელსაწყოები.

9. გაძლიერდეს მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის რეციდივთან საბრძოლველად; საამისოდ გაფართოვდეს მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებისა და ჯგუფების ქსელი იმათთვის, ვინც გაათავეს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები და ჯგუფები, აგრეთვე გაძლიერდეს მუშაობა მათ ჩასაბმელად სხვა სახეების მასიურ პოლიტმუშაობაში.

დაწესდეს სწავლების გადაჭრილი ვადა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში (სოფლად წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებისათვის—4 თვე, მცირემცოდნეთათვის— 4 თვე; ქალაქად— წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ —6 თვე, მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციოდ —8 თვე).

10. გაუმჯობესდეს სამოსწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა შემდეგი საშუალებებით: ა) სწავლების პროგრამები, სასწავლო სახელმძღვანელოები და მეთოდები შეეფარდოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცალკე კატეგორიების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს; ბ) შეიქმნას ლიკვიდატორ-მასწავლებლების სპეციალური კადრი წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის სკოლებისათვის, უმთავრესად ეროვნულ უმცირესობათა მაზრებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის; გ) მოწვეულ იქნას კონფერენციები, კურსები, მეთოდიური თათბირები ინდივიდუალური ლიკვიდატორებისა და ადგილობრივი მუშაკებისათვის; დ) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მეთოდიკის კურსი შემოღებულ იქნას მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე, პედაგოგიურ ტეხნიკუმებში და შრომის სკოლებში პედაგოგიური განხრით და პედაგოგიური კურსებით.

11. დაევალოს სახელგამს—გამოსცეს ანბანის, სახელმძღვანელოების სათანადო რაოდენობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის სამწლიან გეგმასთან შეფარდებით.

12. განათლების სახ. კომისარიატმა უნდა გაშალოს ერთწლიანი სკოლების ქსელი მოზარდთათვის იმ მიზნით, რომ შესწყდეს წერა-კითხვის უცოდინართა დენა სოციალზრდის სკოლებს გარედ დარჩენილთა ხარჯზე.

13. რადგან ავტონომიურ რესპუბლიკებში და ეროვნულ უმცირესობათა მაზრებში წერა-კითხვის უცოდინართა დიდი რაოდენობაა და მეტად სუსტია მუშაობის ტემპი (აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჩალო), განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ რაიონებში იმას, რომ წერა-კითხვა პირველ რიგში შეისწავლონ პარტიის, კომკავშირის წევრებმა, საბჭოთა და კოოპერატიული აქტივის მუშებმა, ხოლო ეროვნულ უმცირესობათა ქალებისათვის მოეწყოს ცალკე სკოლები; პედაგოგიური პერსონალის საკმაო კადრების უქონლობისა და ეროვნულ უმცირესობათა ქალების (თურქი ქალები, ქურთი ქალები, აჭარელი ქალები, ბერძენი ქალები, ოსი ქალები და სხვ.) ყოფა-ცხოვრების თავისებურებათა გამო, წინადადება მიეცეს პოლიტგანის მთავარ სამმართველოს— ეროვნულ უმცირესობათაგან მოაწყოს კურსები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდატორთა კადრების მოსამზადებლად და გადასამზადებლად (კერძოდ ქალებისათვის).

14. ვინაიდან არსებობენ ისეთი, უმთავრესად საყოფაცხოვრებო ხასიათის, მიზეზები, რომლებიც წერა - კითხვის უცოდინარობის მეტ პროცენტს ქალთა შორის იძლევიან, საჭიროა მაქსიმალური შეგუება მათ საყოფაცხოვრებო პირობებთან (სალიკვიდაციო პუნქტების გადატანა საერთო საცხოვრებლებში, მეცადინეობის დანიშვნა იმ დროს, როდესაც წარმოებაში ცვლა ხდება და, როდესაც კოლექტიურ მეურნეობაში მეტი თავისუფლება აქვს გლეხ ქალს, ბავშვთა მეთვალყურეობის მოწყობა, და ამ საქმეში საბინაო ამხანაგობათა ბავშვთა მეგობრების საზოგადოების და სხვათა ჩაბმა), ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობის ფართოდ გაშლა, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

15. საჭიროდ ჩაითვალოს დეკრეტის გამოცემა წვევამდელთა სავალდებულო წესით სწავლების შესახებ.

16. წერა - კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის გათვალისწინებულ გეგმასთან შეფარდებით გაძლიერებულ იქნას მატერიალური ბაზისი შემდეგი გზით: ა) წერა - კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის გაადიდონ ასიგნობები განათლების სახალხო კომისარიატმა და განათლების განყოფილებამ, პროფკავშირთა და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა და სხვა ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა. რადგან მუშაობის შესაფერად გაშლის უზრუნველყოფა შეუძლებელია მარტო იმ თანხით, რომელიც ბიუჯეტით არის გადადებული, საჭიროდ ჩაითვალოს, რომ პროფკავშირულმა და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გაადიდონ ის თანხები, რომლებსაც ისინი კულტფონდიდან სდებენ თავიანთ წევრთა შორის წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის და ამ შემთხვევაში მეტი შეძლების მქონე პროფკავშირებმა დახმარება უნდა აღმოუჩინონ ნაკლებად შეძლებულებს (განათლების, საბჭოთა და სავაჭრო და ფოსტა - ტელეგრაფის მუშაკთა კავშირებმა დახმარება უნდა აღმოუჩინონ მიწა - ტყის, მშენებელთა, კომუნალურ და სახალხო კვების მუშაკთა კავშირებს); ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს განსაზღვრული ფონდი წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციისათვის ეროვნულ უმცირესობათა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში (ბორჩალო, ახალციხე, ახალქალაქი, აჭარისტანი, აფხაზეთი, სამხრეთ - ოსეთი).

17. გაშლილ იქნას სოციალისტური შეჯიბრება წერა - კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის ირგვლივ; მიეცეს დირექტივა ბეჭდვითი სიტყვას — ფართოდ გააშუქოს შეჯიბრების შედეგები, კულტურული ლაშქრობის გამოცდილება და წერა - კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის ახალი მეთოდები; გამოიცეს მასიური ბროშურები ამ საკითხების შესახებ.

18. მუშაობის ტემპის გასაძლიერებლად, და ამ მუშაობაში ყველა ორგანიზაციის ჩასაბმელად, საჭიროდ ჩაითვალოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსდეს საზოგადოებრივი კომიტეტი წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის. ამგვარივე კომიტეტები დაარსდეს ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და სამაზრო აღმასკომებთან, ხოლო თემსაბჭოებთან — დამხმარე კომისიები.

უცოდინარობის წინააღმდეგ კულტურული რევოლუციისათვის

ძლევამოსილი დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-13 წელს უნდა მოხდეს ყოველგვარი უცოდინარობის, როგორც პოლიტიკური უცოდინარობის, ისე პირველ რიგში, **წერა-კითხვის უცოდინარობის** ლიკვიდაცია უწინარეს ყოვლისა ქალაქის და სამრეწველო საწარმოების მშრომელთა შორის, ხოლო შემდეგ უმოკლეს ვადაში — 3 წლის განმავლობაში — მთელი მშრომელი გლეხობის შორისაც. ილიჩი მოითხოვდა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დამთავრებულიყო ოქტომბრის ათი წლის თავზე, მას ეს მიაჩნდა უპირველეს ამოცანად სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის, ვინაიდან წერა-კითხვის უცოდინართათვის პოლიტიკა მიუწვდომელია. ხოლო კლასობრივი, პროლეტარული, მუშურ - გლეხური პოლიტიკის გარეშე, რომელსაც შეგნებულად ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურა, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მჭიდრო კავშირის პირობებში და ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბ) მუდმივი ხელმძღვანელობით, შეუძლებელია ოქტომბრის მონაპოვართა შენარჩუნება და სოციალიზმის მშენებლობა.

საბჭოების სისტემა და მისი ეკონომიკა და პოლიტიკა ადამიანთა საზოგადოების უმაღლესი ფორმაა და, რა თქმა უნდა, იგი ილაშქრებს მთელი ექსპლოატატორული კაპიტალისტურ - იმპერიალისტური სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ჯერჯერობით გაბატონებულია მთელ კაცობრიობაში საბჭოთა კავშირის გარედ, საუკუნეებით (და ათასწლეებითაც კი) გამომუშავებული თავისი, რა თქმა უნდა, კლასობრივი კულტურითა და ცივილიზაციით — წმინდა კერძო საკუთრებისა და ექსპლოატატორთა მუდმივი ბატონობის საფუძველზე. აქედან ცხადია, თუ რამდენად უნდა დასჭიმოს თავისი ძალღონე საბჭოთა ქვეყანამ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამდე, საერთოდ, ეკონომიურადაც და კულტურულადაც ჩამორჩენილი იყო, რათა ნამდვილად დაეწიოს და კიდევაც გაუსწროს (რა კადნიერებაა ბოლშევიკების მხრივ!) ტეხნიკურ-ეკონომიურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

საბჭოთა კავშირის მუშათა და მშრომელ გლეხთა ამ ძლევამოსილი წინსვლის საფუძველს წარმოადგენენ ჩვენი წარმატებანი, ჩვენი მიღწევები დიადი კულტურული რევოლუციის ფრონტზედაც.

ამ რევოლუციის „ანბანაა", ჯერ ერთი, წერა-კითხვის ცოდნა ერთ-ერთ ხელმისაწვდომ ენაზე; მეორე — წერა-კითხვის ცოდნის თანდათან გაფართოვება და არა დაკნინება სალიკვიდაციო სკოლების გავლის შემდეგ (ეს დიდებს შეეხება).

მაშასადამე, ვინც წერა-კითხვას ისწავლის, მცირემცოდნედ კი არ უნდა დარჩეს, არამედ უნდა გადაიქცეს საბჭოთა ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ. ხოლო ამისათვის საჭიროა ბოლოს და ბოლოს მოვახდინოთ წერა - კითხვის უცოდინარობის და პოლიტიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია — ეს არის კულტურული რევოლუციის მთავარი ამოცანა და ამავე დროს პირობა მისი შემდგომი გაშლისათვის პროლეტარიატის დიქტატურის დროს.

გავილაშქროთ კულტურული რევოლუციის მოსახდენად, გავილაშქროთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩასატარებლად საბჭოთა ქვეყნის მუშებსა და მშრომელებს შორის და უსწრაფესი ტემპით გავწიოთ წინ მთელი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და საყოველთაო კოოპერატიული გაერთიანების გზით, რაც ილიჩის გეგმის მიხედვით, წარმოადგენს სოციალიზმის ორგანიზაციის ფორმას.

მიხა ცხაკაია.

წერა-კითხვის მცოდნე ყოველმა კაცმა თავის მოვალეობად უნდა მიიჩნიოს—შეასწავლოს წერა-კითხვა რამდენსამე უცოდინარს

(ლენინი)

ერთსულოვანი იერიში წ.-კ. უცოდინარობაზე

პროფკავშირთა ყველა წევრს!

ძვირფასო ამხანაგებო!

ამჟამად საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი შეუდგა კაპიტალიზმის ფესვების საბოლოოდ აღმოფხვრას და ქვეყნის მეურნეობის ახალ, სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნას. უკვე ხორციელდება სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ხუთ-წლიანი გეგმა. მაგრამ ამ დიად ამოცანათა განხორციელების გზაზე ჩვენ გვეღობება ძველი წყობილების წყეული მემკვიდრეობა — მშრომელი მასების წ.-კ. უცოდინარობა.

განხორციელება იმ ამოცანებისა, რომლებიც ხუთ-წლიანი გეგმისაგან გამომდინარეობენ, — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერება, სოფლის მეურნეობის გარდაქმნა და კოლექტივიზაცია მუშათა კლასის და გლეხობის დაკავშირების ახალი საწარმოო ფორმებისა და ნეპმანურ და კულაკურ ფენებზე აქტიურად შეტევის საფუძველზე, — მოითხოვს შრომის ნაყოფიერების ზრდას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და წარმოების რაციონალიზაციას, რისთვისაც საჭიროა მეტი კულტურა და მეტი ცოდნა შრომაში.

სოციალისტური მშენებლობის ხუთ-წლიანი გეგმის განხორციელება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერება წარმოუდგენელია პროფკავშირთა წევრ მუშებისა და მუშა-ქალთა შეგნებული მონაწილეობის გარეშე. წ.-კ. უცოდინარი არ შეიძლება გახდეს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიური მონაწილე.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობა ვითარდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო საფრთხის გაძლიერებისა, ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლის გამწვავების და კაპიტალისტურ ელემენტების აქტივობის ზრდის პირობებში, იმ ელემენტებისა, რომელნიც ცდილობენ ჩაშალონ ჩვენი სოციალისტ. მშენებლობა. კლასობრივი მტერი ცდილობს გავლენა მოახდინოს მუშათა კლასის სწორედ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ნაწილზე — წ.-კ. უცოდინარებზე. ამიტომაც წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას დღევანდელს მომენტში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა. წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხს მთელი მუშათა კლასისა, პროფკავშირთა ყველა წევრისა და საბჭოთა მთელი ინტელიგენციის ყურადღება უნდა მიევაპყრათ.

თვითეული ფაბრიკა, თვითეული ქარხანა დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს სწავლების საქმის გაშლას. პროფორგანიზაციებს მართებთ მეტად გადამჭრელი ზომების მიღება, იმისათვის, რომ მოსპონ წ.-კ. უცოდინარობა, პირველ რიგში, თავის წევრებ შორის. ამავე დროს პროფკავშირებმა დახმარება უნდა გაუწიონ პოლიტგანის ორგანოებს პროფკავშირთა წევრების ოჯახებსა და სოფლის ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხთა მასებ შორის წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, მასში მოხალისეთა ჩაბმის გზით.

საქართველოს პროფორგანიზაციების მიერ დასახული გეგმა წ.-კ. უცოდინარობის სრული ლიკვიდაციისა მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში და მცირე-მცოდნეობის ლიკვიდაციისა — ორი წლის განმავლობაში ამ ამოცანის განხორციელება მოითხოვს პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი ძალ-ღონის და საშუალებათა დაჭიმვას, და აგრეთვე ამ ორგანიზაციათა წევრებ შორის აქტივობის გაღვივებას. საჭიროა დავიხსომოთ, რომ ჩვენი ღონისძიებები სოციალისტური მშენებლობის დარგში მხოლოდ მაშინ შეიძლება დამთავრდეს გამარჯვებით, თუ ამ მშენებლობას შეგნებულად მოეკიდება მუშათა კლასი. უნდა გვახსოვდეს, რომ „**წ.-კ. უცოდინართა ქვეყანაში შეუძლებელია სოციალიზმის აშენება**" (ლენინი).

წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის გზით ჩვენ ვაჩქარებთ ინდუსტრიალიზაციისა, მრეწველობის რეკონსტრუქციისა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების ტემპს.

იმ ქვეყანაში, სადაც სოციალიზმი შენდება, არ უნდა იყოს წ.-კ. არც ერთი უცოდინარი.

ყველანი ჩაებით წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლაში!

ყველამ იბრძოლოს კულტურული დამოკიდებულებისათვის შრომისადმი და სოციალისტურ მშენებლობაში შეგნებული მონაწილეობისათვის.

წ.-კ. თვითეულმა მცოდნემ წ.-კ. უნდა შეასწავლოს ხუთ უცოდინარს.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი.

შრომის სავალდებულო ბეგარა

(ხარკოვის საბჭოს მაგალითი)

თავისთავად ცხადია, რომ ისეთი დიდი ამოცანა, როგორიც არის წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, შეიძლება წარმატებით იქნას გადაწყვეტილი მხოლოდ მაშინ, როცა ამ საქმეში ჩაბმული იქნება მთელი მშრომელი მასა. ჩვენ მივმართავთ ყოველგვარ ზომებს, რომ გამოვიწვიოთ საზოგადოებრივი თვითმოქმედება წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის დარგში. საზოგადოებრივ ინიციატივას და აქტიობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ამასთან ერთად საჭიროა მთელი სახელმწიფო აპარატის გამოყენება იმისათვის, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლა მკვიდრ და საიმედო ნიადაგზე დადგეს. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ის ნაბიჯი, რომელიც გადასდგა საბჭოთა უკრაინის დედაქალაქმა ხარკოვმა.

გაზეთ „პრავდა"-ს № 222-ში ჩვენ ვკითხულობთ ხარკოვიდან მიღებულ შემდეგ ცნობას: „ქალაქის საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომლის ძალითაც ცხადდება წერა - კითხვის მცოდნეთა მობილიზაცია 18 — 50 წლამდე. მობილიზაცია შეეხება ზემოდ აღნიშნულ ასაკის იმ მოქალაქეებს, რომელნიც სარგებლობენ საარჩევნო ხმის უფლებით. მობილიზაციაქმნილნი შრომის ბეგარის სახით მონაწილეობას ღებულობენ წერა - კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეში. ყველა მობილიზაციით გაწვეული მოვალეა წერა - კითხვის უცოდინართათვის წერა - კითხვის სწავლებას, ან წერა - კითხვის უცოდინარობისათვის წარმოებულ საორგანიზაციო მუშაობას ერთი წლის განმავლობაში მოანდომოს 216 საათი. გამოყოფილია საგანგებო საქალაქო კომისია, რომლის განკარგულებაშიაც იქნებიან მობილიზაციაქმნილნი. ის, ვინც ვერ შესძლებს უშუალო მონაწილეობით მიღებას წერა - კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში, სპეციალურ გადასახადს გაიღებენ".

ხარკოვის საბჭოს მაგალითი უთუოდ ღირსშესანიშნავი ფაქტია წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მუშაობაში. ეს არის ხსენებული მუშაობის ახალი, ერთ - ერთი ძირითადი ფორმა, რომელიც უთუოდ დიდ ნაყოფს გამოიღებს. ჩვენშიაც უნდა გადაიდგას ამ მიმართულებით ენერგიული ნაბიჯები. საქართველოს ყველა შედარებით დიდმა ქალაქებმა, როგორიცაა, მაგალითად, თბილისი, ქუთაისი, ბათომი, და ფოთი, უნდა გადმოიღონ ხარკოვის მაგალითი. თქმა არ უნდა, რომ ეს დიდ წარმატებას მისცემს საქმეს.

ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივებში გარკვევითაა აღნიშნული, რომ ქალაქებში და სამრეწველო პუნქტებში, მთელ რიგ პროფესიონალურ კავშირებში და სხვ. წერა - კითხვის უცოდინარობა უნდა მოისპოს ერთი წლის განმავლობაში. თავისთავად ცხადია, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ასეთი დირექტივის დროულად და სრულად განხორციელებისათვის იმ ღონისძიებას, რომელსაც მიმართავს ხარკოვის საქალაქო საბჭო.

ვიმეორებთ, ჩვენი დიდი ქალაქების საბჭოები ამ თავითვე უნდა შეუდგნენ საკითხის დამუშავებას, რომ წერა - კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლა ამ დიდ ქალაქებში მაინც წარმოადგენდეს არა მარტო ზნეობრივ მოქალაქეობრივ მოვალეობას, არამედ შრომის სავალდებულო ბეგარასაც.

დ. ბ—ი.

პოლიტგანმანათლებელ მუშაობის მთავარი ამოცანა

ყველა იმ ამოცანებიდან, რომლებიც პოლიტგანათლების ორგანოების წინაშე დგას, წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საკითხებს განსაკუთრებული ადგილი უკავია, წ.-კ. უცოდინარობის აღმოფხვრა პოლიტგანმუშაობის ცენტრალურ პრობლემად რჩება ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის მიხედვით.

ხუთწლიანი გეგმის თანახმად, 1931—32 სამოსწავლო წელში წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა უნდა დასრულდეს, ამ წლიდან გათვალისწინებულია ფართოდ გაშალოს მუშაობა წ.-კ. მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში.

დასახული ამოცანის განხორციელება თხოულობს მშრომელი მასების, საბჭოთა საზოგადოებრიობის და კერძოთ კულტურული ძალების ფართო მონაწილეობას ამ საქმიანობაში, რასაც გეგმა კიდეც ითვალისწინებს. გარეშე ამისა, ეს ამოცანა, რა თქმა უნდა, წარმატებით ვერ გადაიჭრება.

წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია განზრახულია მოსახლეობაში 15 წლიდან—40 წლის ჰასაკამდე. წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციასთან მტკიცედ არის დაკავშირებული საერთო საყოველთაო სწავლების გატარება. უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდლამდე უცოდინართა არმიას ემატება სასკოლო ჰასაკის ბავშვების ნაწილი, რომლებიც ჯერჯერობით საკმარისად ვერ არიან ჩაბმულნი სკოლებში. საქართველოსა და მის ავტონომიურ რესპუბლიკებში და მათი ზოგიერთ მაზრაში სასკოლო ჰასაკის ბავშვების 20, 23, 27 პროცენტია (ახალციხე, ბორჩალო, ახალქალაქი; ყულო და სხვ.) მოთავსებული სკოლებში, დანარჩენები სკოლის გარეშეა დარჩენილი.

საპერსპექტივო გეგმა ითვალისწინებს სკოლის გარეშე დარჩენილ ახალგაზრდობისათვის ერთწლიანი სკოლების გახსნას, რაც საშუალებას მოგვცემს შევსწყვიტოთ უცოდინართა რიცხვის ზრდა, ხუთწლიანი გეგმის მიხედვით წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია გატარებული იქნება შემდეგი თანრიგით.

კომპარტიისა და კომკავშირის წევრებს შორის, აგრეთვე ყველა პროფკავშირში (გარდა მიწა-ტყის, სახალხო კვების, აღმშენებელთა და გემო-კვების კავშირების წევრებისა), კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებულ გლეხთა, წვევამდელების, ცვალებადელებს შორის, აგრეთვე ოზურ. მაზ., ფოთის, რაჭის რაიონების ყველა ქალაქის მშრომელ მოსახლეობაში წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა ჩატარდეს ორი წლის განმავლობაში.

კომუნალურ მშენებელთა, სახალხო კვების, გემო-კვების და მიწა-ტყის პროფკავშირებში, აგრეთვე ქუთაისის, შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის და ზემო-სვანეთის მშრომელ მოსახლეობაში წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს სამი წლის განმავლობაში.

აჭარისტანის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში და საქ. ყველა მაზრებში წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა ჩატარდეს ოთხი წლის განმავლობაში.

წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა ისე უნდა სწარმოებდეს, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ამ საქმეში საბჭოთა საზოგადოებრიობა, მუშაობაში ჩავაბათ ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (პროფესიონალური კავშირები, კოოპერაცია, ნებაყოფლობითი საზოგადოებანი და სხვ.).

ამასთან ერთად გეგმა, გარდა სასკოლო ხაზით წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისა, ითვალისწინებს ინდივიდუალურ ჯგუფური სწავლების ფართოდ გაშლას და ამ მუშაობაში კულტურული ძალების ნებაყოფლობით ჩაბმას. ამ სამუშაოზე მიზიდულ უნდა იქნან პარტიისა და კომკავშირის წევრები, განათლების მუშაკები, სტუდენტები და მეორე საფეხურის შრომის სკოლების უფროსი ჯგუფები, აგრეთვე ტეხნიკუმების, საფაბრიკო-საქარხნო სკოლების, მუშფაკების და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოწაფეები.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში მუშაობის ტემპის გადაჭრით გაზრდას, აუცილებელია წ.-კ. უცოდინარობის ხარისხის გაუმჯობესება, ბრძოლის გაძლიერება წ.-კ. უცოდინარობის რეციდივთან, რაც ითხოვს სალიკვიდაციო პუნქტებში მეცადინეობის საათების გადიდებას და მათ რაციონალურად გამოყენებას, სპეციალური კადრების მომზადებას და იმ კადრების შენარჩუნებას, რომლებიც ამ სამუშაოზე გამოყენებულები არიან, მათი გადამზადებისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველზე.

ლიკ-სკოლა დამთავრებულთათვის ფართოდ უნდა გაიშალოს მეორე საფეხურის სკოლების (მცირე-მცოდნეობის სალიკსკოლები) ქსელი და მასთან ერთად ლიკ-სკოლა დამთავრებულები ჩაბმული უნდა იქნან სამკითხველოებისა და კლუბების საწრეო მუშაობაში. ამავე დროს მათი თვითგანვითარებითი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე უნდა იყოს დაყენებული, კერძოთ გამოცემული უნდა იქნას მათთვის სპეც. ლიტერატურა.

კ. ე.

აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთის და კახეთის ოლქი ყურსაც არ იბერტყავენ

აფხაზეთის, სამხრეთ - ოსეთის და კახეთის ოლქის პოლიტგანათლების ორგანოები წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხს, ეტყობა, „ძველებურად" უყურებენ. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ისეთ მნიშვნელოვან თათბირზე, რომელიც მოწვეული იყო საქ. კ. პ. (ბ) ცეკასთან წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხებზე, მათ არ გამოაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეცნობათ ამის შესახებ წერილობით და დეპეშებით.

თბილისის აღმასკომი თანხებს ვერ იმეტებს

საქ. კ. პ. (ბ) მე-6 ყრილობის დადგენილება სამი წელიწადში წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩატარების შესახებ მთელს რესპუბლიკაში განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ საქმეში ჩაებმებიან საბჭოთა საზოგადოებრივობის ფართო მასები და ყველა პარტიული, პროფესიონალური, საბჭოთა და კოოპერატიული დაწესებულება - ორგანიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის დადგენილების ამოცანებს წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებს ზოგიერთი დაწესებულება - ორგანიზაციაც. ეს მტკიცდება, სხვათა შორის, იმითაც, რომ ზოგიერთ ორგანიზაცია - დაწესებულებას, რომლებიც უშუალო მონაწილეობას უნდა იღებდნენ წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში არამც თუ არ შეუმუშავებიათ ამ მხრივ თავისი მუშაობის გეგმა, არამედ მათ წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხები არც კი განუხილავთ. გარდა ამისა, ზოგიერთი დაწესებულება და ორგანიზაცია შედარებით წარსულთან წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმეზე წელს უფრო ნაკლებ ხარჯების გაღებას ფიქრობენ, ან თუ ადიდებენ, თანხებს, ეს მინიმალურ მოთხოვნილებას ძლივს აკმაყოფილებს. რასაკვირველია, ამ საქმეში უნდა მაქსიმალურად გამოყენებული იქნეს ფართო მასების მონაწილეობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზოგიერთმა აღმასკომებმა და სხვა ორგანიზაციებმა წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის აღარ გაიღონ სათანადო თანხები.

ამის მაგალითია „მუშკოოპი", „ზაკტპო" და ნაწილობრივ შეიძლება ითქვას **თბილისის აღმასკომიც**. თბილისსა და მისი ოლქს, როგორც მოსახლეობის, ისე წ. კ. უცოდინართა სიმრავლით მთელ საქართველოში პირველი ადგილი უკავია. ამჟამად თბილისის (ქალაქის ჩათვლით) ოლქში ითვლება 95.800 წ. კ. უცოდინარი. ამდენ უცოდინართათვის წერა - კითხვის შესწავლა 3 წლის განმავლობაში არც ისე ადვილი საქმეა, მაგრამ, **როგორც ეტყობა, ამას თბილისის აღმასკომი ნაკლებ ანგარიშს უწევს**. 1929 — 30 წლისათვის ბიუჯეტის შედგენის დროს თბილისის აღმასკომის „ფინანსისტები" არ ითვალისწინებდნენ არც ერთი პროცენტით თანხების მომატებას წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმეზე წარსულ წელთან შედარებით. ეს საკითხი მოგვარდა მხოლოდ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში გადატანით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ოლქისათვის მაინც მეტად ნაკლები თანხები იქნა გათვალისწინებული. ამის გამო, თბილისის პოლიტგანის 3 წლიანი გეგმით გათვალისწინებულ 512 სკოლის გახსნის მაგიერ გაიხსნება მხოლოდ 350 სალიკ-სკოლა მიმდინარე სასწავლო წელში. რასაკვირველია, ასეთი ტემპით წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის მოხდენა 3 წლის განმავლობაში თბილისის ოლქში შეუძლებელია. საჭიროა გარდა რესურსების გადადებისა ამ საქმისათვის, ფართო მასიური მუშაობის წარმოება, რომ წ. კ. უცოდ. ლიკვიდაცია დანიშნულ ვადაში უზრუნველყოფილი იქნეს.

წერა - კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე სდგას, მას თავდაპირველად ანბანი უნდა ვასწავლოთ. უამისოდ პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ მხოლოდ ჭორები, ზღაპრები, ცრუმორწმუნეობებია და არა პოლიტიკა

ლენინი.

მუშკოოპი „თავს იკავებს", „ზაკტპო" კი ერთ სკოლას ხსნის

საქ. კომპარტიის (ბ) მე-6 ყრილობამ კულტურის ფრონტზე საბრძოლველ ამოცანად დასახა წერა - კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია სამი წლის განმავლობაში. პარტიულ და საბჭოთა სადირექტივო ორგანოებმა თავიანთი ყურადღების ცენტრში მოაქციეს ეს ამოცანა. არსებობს მტკიცე დირექტივები, მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ჩვენებით. ეს ამოცანა შესრულებულ უნდა იქნას მთელი პროლეტარული და საბჭოთა საზოგადოებრივობის მხურვალე მონაწილეობით. მობილიზაცია უნდა ეყოს პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების კულტურულ ძალებსა და ნივთიერ საშუალებებს. მასიური კულტლაშქრობის გაშლილი ფრონტით მიტანილ უნდა იქნას მძლავრი იერიში წ. კ. უცოდინარობის აღმოსაფხვრელად.

რას აკეთებს ამ მხრივ თბილისის მუშკოოპის გამგეობა? — სრულიად არაფერს. ის იკრიბება და ადგენს, რომ, ვინაიდან წელს მუშკოოპს მოგება არ აქვს, მას არავითარი წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გატარება არ შეუძლია. მუშკოოპის გამგეობა თავს იკავებს ამ მუშაობისაგან, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თავს არ იტკივებს.

რას ნიშნავს ეს? ნუ თუ პარტიის ყრილობის დირექტივა სავალდებულო არ არის თბილისის მუშკოოპის გამგეობისათვის?

„ზაკტპო" (საგზაო - სატრანსპორტო კოოპერაცია) თავის ხარჯზე ერთი სალიკვიდაციო სკოლის მოწყობას ფიქრობს. ამ მხრივ ზაკტპო გვერდში ამოუდგა თავის მოძმე მუშკოოპს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მუშკოოპს და ზაკტპოს ეს საკითხი თავის წევრთა მასაში გადაეტანა მიიღებდა ერთად - ერთ გარკვეულ პასუხს და ეს პასუხი იქნება მათი სრულიად მიუღებელი ნაბიჯის დაგმობა.

ზუგდიდის ორგანიზაციას სძინავს

წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩქარი ტემპის აღება საჭიროა ყველგან და მით უმეტეს ზუგდიდის მაზრაში.

საქ. კ. პ. (ბ)-ს ც. კომიტეტისა და პოლიტგანათლების მთავარმმართველობის მიერ ყველა ოლქსა და მაზრას დაეგზავნა სათანადო დირექტივები და გეგმის პროექტები. ზუგდიდის პარტიული და საბჭოთა ორგანოებმა კი — პარტიის ეს უმნიშვნელოვანესი დირექტივა მხედველობიდან გაუშვეს. ზუგდიდის სათანადო ორგანოებს ეს საკითხი სრულიადაც არ დაუმუშავებიათ, არ შეუდგენიათ არავითარი გეგმა, და ამ მიმართულებით არ გადაუდგამთ არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი.

საქ. კ. პ. (ბ)-ს ც. კომიტეტთან მოწვეულ თათბირზე — წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ — ზუგდიდის წარმომადგენელი გამოცხადდა სრულიად მოუმზადებელი. წ.-კ. ლიკვიდაციის საკითხი ადგილობრივი ორგანოების მსჯელობის საგნათაც კი არ გამხდარა. ასეთი გულგრილობა ყოვლად დაუშვებელია. ზუგდიდის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მართებთ, ენერგიული ამოქმედება ამოცანის შესრულების მიმართულებით. საჭიროა დაჩქარებით შემუშავდეს გეგმა და გადაიდგას სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები.

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან წერა - კითხვის უცოდინარობის და მცირე ცოდნის ლიკვიდაციის საზოგადოებრივი კომიტეტის დაარსების შესახებ

იმ მიზნით, რომ დაჩქარებული ტემპით მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნის ლიკვიდაცია მოსახლეობაში და ჩაბმულ იქნეს ამ საქმეში სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებები, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნის ლიკვიდაციის საზოგადოებრივი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

მ. ცხაკაია (კომიტეტის თავმჯდომარე), 2. დ. კანდელაკი (თავმჯდომარის მოადგ.), 3. პავლე საყვარელიძე (თავმჯდომარის მოადგ.), 4. ს. თოდრია, 5. ქოქიკაშვილი, 6. მარიამ ორახელაშვილი, 7. შ. ლეჟავა, 8. ლ. სუხიშვილი, 9. ერ. ასრიბეკოვი, 10. ვ. ბოლქვაძე, 11. ქაცარავა, 12. მაჩაიძე, 13. გეგენავა, 14. ჯაფარიძე ვარო, 15. ჯავახიძე, 16. ხომასურიძე, 17. ტოროშელიძე, 18. სალუქვაძე, 19. ჭანკვეტაძე, 20. გ. ახვლედიანი, 21. შ. ნუცუბიძე, 22. ბუაჩიძე ს., 23. ნ. ძიძიგური, 24. ბიბინეიშვილი, 25. ჩხარტიშვილი, 26. მისაბიშვილი, (ქუთაისი) 27. ვ. ქუთათელაძე, 28. სიმონგულიანი, 29. პოლოსოვი, 30. სტამბულიანცი, 31. გუსეინოვი, 32. ტაგიევი, 33. გაგიევი, (სამხ. ოსეთი) 34. ლორთქიფანიძე შ. (აჭარისტანი), 35. ჩიჩუა, 36. გოგოხია (აფხაზეთი), 37. დიმოევი, 38. ბენიაშვილი, 39. ბუაჩიძე, 40. რაზგოევი, 41. ტ. ტაბიძე, 42. ს. აბაშელი, 43. თამარზოვი, 44. ნ. ლორთქიფანიძე, და 45. რადიანი.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ს. ს. რ. აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ცაკებსა და საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს დაარსონ თავიანთ დაწესებულებებთან ანალოგიური საზოგადოებრივი კომიტეტები წერა - კითხვის უცოდინარობისა და მცირე ცოდნის ლიკვიდაციის შესახებ.

3. თემსაბჭოებთან დაარსებულ იქნენ წერა - კითხვის უცოდინარობისა და მცირე ცოდნის ლიკვიდაციის ხელისშემწყობი კომისიები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ.
ს. თოდრია.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის მაგ. **დ. ქუჩულორია**
1929 წლ. ოქტომბრის 5
ტფილისი—სასახლე.

„უნდა შევეცადოთ, რომ წერა-კითხვის ცოდნა კულტურის გაცხოველებას ემსახურებოდეს, რომ გლეხკაცმა შესძლოს წერა - კითხვის ცოდნის გამოყენება თავის მეურნეობისა და თავის სახელმწიფოს გასაუმჯობესებლად"

(ლენინი)

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა

(პროფკავშირების ხაზით)

1929 წლის აპრილის აღწერით, საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით ითვლება პროფკავშირის 14.829 წერა - კითხვის უცოდინარი წევრი.

მარტო თბილისში და მის ოლქში ითვლება 5.000 წ.-კ. უცოდინარი—კავშირის წევრი. 1928 წლის აღწერით საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით ითვლება პროფკავშირის 42.930 წევრი წერა - კითხვის მცირემცოდნე; მათ შორის ქ. თბილისში 9,800-მდე.

1929 — 30 სასწავლო წელში წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში მიზიდული უნდა იქნას წერა-კითხვის ყველა უცოდინარები, როგორც 35 წლამდე, ისე ზედა ჰასაკისაც; განსაკუთრებით კი ასი პროცენტით; ეს უნდა შესრულდეს საწარმოო კავშირების ხაზით. ამავე სამოსწავლო წელში მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში მიზიდული უნდა იქნას 7.400 მცირემცოდნე პროფკავშირის წევრი.

1929 — 30 სასწ. წელში წერა - კითხვის უცოდინარობის და წ.-კ.-ის მცირემცოდნეობის სრული ლიკვიდაცია პირველ რიგში ჩატარდება ყველა კავშირის ხაზით, გარდა მიწა-ტყის, აღმშენებელთა და სახალხო კვების კავშირებისა; ეს უკანასკნელი ახდენენ წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას მთელი გეგმის 30 პროც. მომავალ სასწავლო წელში (1930—31) აღნიშნული კავშირები წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმას მთლიანად ასრულებენ.

1930—31 სასწ. წელში არსებითი ყურადღება ექცევა მცირემცოდნეობის ლიკვიდაციას ყველა კავშირების ხაზით. დარჩენილ წ.-კ.-ის უცოდინარების გარდა, მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში გაიგზავნება 15.000 კავშირის წევრი.

1929 — 30 სასწ. წელში წ.-კითხვის უცოდინარობის და წ.-კ.-ის მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციისათვის დაიხარჯება 80.000 მანეთი. ამ თანხიდან მეტი დოტაცია ეძლევა ფინანსიურად სუსტ კავშირებს: მიწა-ტყის, სახალხო კვების და ნივთიერად ჩამორჩენილ მაზრებს.

1930 — 31 სასწ. წელში დაიხარჯება 130.000 მანეთი.

გარდა ამ ღონისძიებათა გატარებისა, ჩატარდება ინდივიდუალური სწავლების წესი როგორც კავშირის წევრთათვის, ისე კავშირის არა წევრთათვისაც. ამ წესით წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ატარებენ შემდეგი კავშირები: განათლების კავშირი — 20.000 კაცი; საბჭოთა - სავაჭრო — 6.000; სახალხო გამოფლობა 6.000 კაცი;

1929—30 სასწ. წ. საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით წ. კ. უცოდინარი და მცირე მცოდნენი მივლინებული იქნებიან სკოლებში:

კავშირების დასახელება	რაოდენობა წერა-კ. უცოდინარი ისწავლის წელს.	რაოდენობა მცირე — მცოდნე იგზავნება წელს.
1. მიწა-ტყის	2539	620
2. სამთომადნო	484	170
3. ხის დამმუშავებელ.	166	300
4. მეტყავეთა	155	380
5. მელითონეთა	197	480
6. მბეჭდავთა	21	200
7. გემო-კვებ.	222	430
8. ფეიქართა	183	300
9. ქიმიკოსთა	64	150
10. მკერავები	40	230
11. აღმშენებელ.	1425	450
12. რკინისგზ.	—	1000
ა) თბილისი	41	400
ბ) სამტრედია	250	400
გ) ბათომი ხაშური	60	200
13. ადგ. ტრანსპ.	306	380
14. სახ. შეერთება	14	130
15. მედსანშრომის	119	300
16. განათლება (თავის ძალებით უფულოდ).	320	400
17. სახ. სავაჭრო	167	450
18. ხელოვნების	8	100
19. კომ. მეურნ.	341	520
20. სახკვების	288	250
სულ	7.440	სულ 8.240

კომკავშირი წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის ფრონტზე

საქ. ა. ლ. კომკავშირის მესამე კონფერენციამ გამოაცხადა კომკავშირში ყველა წერა - კითხვის უცოდინარის შეფად და წინადადება მისცა კომკავშირის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას ერთი წლის განმავლობაში თავის წევრთა და კანდიდატთა შორის აღმოფხვრას წერა - კითხვის უცოდინარობა.

კომკავშირის ცეკამ დასდო ხელშეკრულება საქ. პოლიტგანათლების მთავარსამმართველოსთან წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩატარების შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით საქ. კომკავშირი კისრულობს მიმდინარე წელში შეასწავლოს წერა - კითხვა 30 ათას უცოდინარს, მათ რიცხვში კომკავშირის წევრებსა და კანდიდატებსაც. მთავარი პოლიტგანი მოვალეობად იღებს თავის თავზე მოამზადოს კომკავშირელ ლიკვიდატორთა კადრი (კურსებისა და თათბირების საშუალებით) და მოამარაგოს მოსწავლე უცოდინარები სასწავლო ნივთებით და სხვ.

კომკავშირის ცეკას დავალებით 1929 — 30 სასწავლო წელში თბილისის ორგანიზაციამ თავის ძალებით წერა - კითხვა უნდა შეასწავლოს — 10 ათას კაცს, ქუთაისის ორგანიზაციამ — 8 ათასს, გორისამ — 2 ათასს, კახეთისამ — 2 ათასს, აჭარისტანის საოლქო ორგანიზაციამ 1,200 კაცს, აფხაზეთისამ — ათას კაცს, სამხრეთ - ოსეთის ორგანიზაციამ — 800 კაცს, ოზურგეთის ორგანიზაციამ — 600 კაცს, სენაკისამ — ათას კაცს, ზუგდიდისამ — 1.000 კაცს; ახალქალაქისამ — 600 კაცს, ახალციხისამ — 600 კაცს, სვანეთისამ — 800 კაცს, და ფოთისამ — 400 კაცს. ეს დავალება კომკავშირის ცალკე ორგანიზაციებისათვის არის მინიმალური და ისინი უნდა ეცადნენ გადამეტებით შეასრულონ ცეკას დავალება.

ამ დავალების განსახორციელებლად ა. ლ. კ. კ. ცეკა საჭიროდ სთვლის ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტთან, ისე, როგორც თვით ცეკასთან, დაუყოვნებლივ მოეწყოს შტაბები (ცალკე უჯრედებთან — საინიციატივო ჯგუფები). შტაბის ამოცანას შეადგენს ფართო მასების ყურადღება მიაპყროს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხებს და მიიღოს ყოველმხრივი მონაწილეობა სალიკვიდაციო მუშაობაში; გააერთიანოს ყველა ძალა და საშუალება წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში მონაწილე ორგანიზაციებისა (პოლიტგანათლების ორგანოსი, განათლების განყოფილებათა, საზ-ბა „წერა - კითხვა"-ს, პროფკავშირების, კოოპერაციის და სხვ.); მოაწყოს საინიციატივო ჯგუფები წ. კ. უცოდინართა აღწერის ჩასატარებლად, პირველ რიგში კომკავშირის წევრთა და კანდიდატთა, მოჯამაგირეთა, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში გაერთიანებულ უცოდინართა და სხვ. ადგილებზე მოეწყობა კომკავშირის ცალკე უჯრედების, რაიონების, მაზრების და საოლქო ორგანიზაციების შორის ურთიერთ გამოძახება და შეჯიბრება წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმეში **კომკავშირის ცეკას დავალებათა გადაჭარბებით შესასრულებლად.**

ყოველ შტაბთან უნდა შეიქმნეს „მსუბუქი კავალერიის" სპეციალური ჯგუფები, რომელთა მოვალეობა იქნება აწარმოონ სისტემატიური დათვალიერება და კონტროლი პოლიტგანის ორგანოების, ლიკვიდატორთა, საზ-ბა „წერა - კითხვა"-ს, სალიკვიდაციო პუნქტების მუშაობაზე და დღეში ერთხელ მიაწოდონ თავიანთი მუშაობის შედეგების შესახებ ცნობები გაზეთ „ახგ. კომუნისტს", „მოლოდინი ლენინეს"-ს, კედლის გაზეთებს და თვით შტაბსაც. უნდა გამოიყოს შავი დაფის კუთხე ადგ. კედლის გაზეთში, გაზეთ „ახგ. კომუნისტ"-ში" და „მოლოდინი ლენინეს"-ში, სალიკვიდაციო მუშაობის ხელისშემშლელთა გამოსამჟღავნებლად. გარდა ამისა, წ.-კ. უცოდინარების ლიკვიდაციის ტემპის დაჩქარების ხელის შეწყობის მიზნით და მთელ რიგ კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად ოქტომბრის თვეში ქალაქებში კომკავშირელთაგან უნდა შეიქმნეს კულტ-კოლონები და გაიგზავნოს სოფლად ორი კვირის ვადით.

ღირსეულად ჩავატაროთ მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე

მოსავლის დღე განამტკიცებს მუშათა კლასის კავშირს ღარიბ და საშუალო გლეხობასთან

დავრაზმოთ სოფლის და ქალაქის ყველა მშრომელი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გარშემო

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა

„მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის“ ჩატარების შესახებ

ს. ს. რ. კავშირის ინდუსტრიალიზაციის გეგმის წარმატებით შესრულებას თან მოსდევს სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება, მისი ტეხნიკური ბაზის ამაღლება, მსხვილ საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და სატრაქტორო ჯგუფების დაარსება და კოლმეურნეობათა ძლიერი განვითარება. მას მოსდევს აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხთა მასიური მოძრაობა აგრიკულტურულ გაუმჯობესებათა ჩატარებისათვის, რაც უზრუნველჰყოფს მოსავლის და მესაქონლეობის პროდუქციის გადიდებას.

მუშათა მასების დიადი შემოქმედებითი აღფრთოვანება, რომელიც გამოიხატა სოციალისტურ შეჯიბრების განვითარებაში, ინდუსტრიალიზაციის დღის ორგანიზაციაში, მრეწველობის მრავალი დარგის განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლაში და მუშათა ინიციატივის ფართო გაშლაში—უკვე ღრმად იტაცებს სოფლის მშრომელ მასებსაც. ძლიერდება მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების საყოველთაო ლტოლვა კოლექტივიზაციისადმი. ჩქარ შეურიგებლივ მიდის წინ სოციალისტური შეჯიბრება, რამაც ფართო ხასიათი მიიღო კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, სოფლებსა და რაიონებს შორის. ამასთან ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასები გადაწყვეტით გამოხატავენ თავიანთ სურვილს, რომ ჩატარებულ იქნეს „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე“.

ყველა ამის გამო საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობს, აქნობამდის არსებული „მოსავლის“ დღესასწაული მიმდინარე წლიდან გადაექციოს „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღედ“, ე. ი. ქალაქის და სოფლის ფართო მშრომელ მასების მობილიზაციის დღედ—სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, დღეიდან 14 ოქტომბერს აცხადებს რა „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღედ“ მოუწოდებს ყველა მუშებს, მოჯამაგირეებს, ღარიბ და საშუალო გლეხებს, —რაც შეიძლება ფართო და აქტიური მონაწილეობა მიიღონ „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის“ ჩატარებაში.

მოუწოდებს ყველა პროფესიონალურ, კომკავშირელთა, კოოპერატიულ, საშეფო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მთელ სოფლის აქტივს—ფართოდ შეუწყონ ხელი „მოსავლის და კოლექტივიზაციის დღის“ ჩატარებას.

„მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის“ ძირითად ამოცანებს შეადგენს:

ა) მოსავლიანობის გადიდებისათვის ღონისძიებათა შესახებ გამოცემულ დადგენილების შესრულების შემოწმება; ისეთ ღონისძიებათა პროპაგანდა და ჩატარება, რომელნიც ხელს უწყობენ მოსავლიანობის გადიდებას. ნათესების არების გაფართოებას, კონტრაქტაციის განვითარებას, პურის დამზადების წარმატებით დამთავრებას, ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებას, მესაქონლეობის განვითარებას და სხვა.

ბ) ჯამის გამოყვანა გლეხურ მეურნეობათა კოლექტიურ მეურნეობაზე გადაყვანის დარგში; პროპაგანდა ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასებში მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობის უპირატესობისა და საწარმოო კოოპერაციის ამოცანების შესახებ; კოლმეურნეობათა მოწყობის და განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებათა ჩატარება, მათი მუშაობის ხარისხის ამაღლება და სხვა.

გ) მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასებისათვის განმარტება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა, რომელსაც მიზნად აქვს სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ახალ ტეხნიკურ საფუძვლებზე კოლექტივიზაციისა და კოოპერაციის გზით და გაბედული შეტევა კულაკურ კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ სოფელში;

დ) ფართო გაშუქება სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალიზაციის ხუთწლიანი გეგმებისა, ამა თუ იმ რაიონის კონკრეტიულ ამოცანებთან დაკავშირებით.

იღებს რა მხედველობაში „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის“ ამ ძირითად ამოცანებს, სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1) წინადადება მიეცეს აფხაზეთის ს. ს. რ., აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საოლქო, სამაზრო და სარაიონო აღმასკომებს „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე“ მოაწყონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და პრესის მონაწილეობით და გამოიყენონ იგი როგორც ამ დღის წინასწარ მომზადებაში, ისე მის ჩატარებაში.

2) მოეწყოს სოფლის მეურნეობის დარგში საწარმოო მიღწევათა საზოგადოებრივი დათვალიერება, რისთვისაც უნდა გაიმართოს ფართე საწარმოვო თათბირები, სოფლის ყრილობანი; წვრილი სარაიონო სასოფლო-სამეურნეო გამოფენები; ჩატარდეს შეჯიბრებანი და სხვა; ჯამი გაუკეთდეს მასიურ აგროტეხნიკურ ღონისძიებათა ჩატარებას და სოფლის მეურნეობაში აგრონომიული მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევების ჩანერგვას; მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღისათვის მოხდეს მიღებულ აგრომინიმუმის შემოწმება, აგრორწმუნებულთა ანგარიშების მოსმენა, ახალი აგრომინიმუმის მიღება და სხვა.

3) მოეწყოს მასიური დათვალიერება კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობისა, მათი ზრდისა და მათი მიღწევების შედარება ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობასთან; ამ დღეს მოხდეს ღარიბ-საშუალო გლეხთა ახალ მეურნეობების და მოჯამაგირეთა მასიური შესვლა არსებულ კოლმეურნეობებში, ახალ კოლმეურნეობათა მოწყობა და მათი ჩამოყალიბება; მთელ სოფლების კოლექტივიზაცია, განსაზოგადოებულ წამოწყებათა დაარსება (მანქანათა საწყობები, სათესლე ფონდები, ბაღები; ბოსტნები და სხვა); ღონისძიებათა ჩატარება კოლმეურნეობათა გასამსხვილებლად, გასამაგრებლად და მათ კულტურულ ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

4) სასურველად ცნობილ იქნას „მოსავლის და კოლექტივიზაციის დღეს“ საზოგადოებრივ ინიციატივის წესით და კოლექტივიზაციის ხელის შესაწყობად მოწყობილ და ჩატარებულ იქნას სამუშაოები, ნებაყოფლობითი ანარიცხები, მუშათა და გლეხთა შაბათობანი, საზოგადოებრივი ხვნა და კოლექტივიზაციის ჰექტარის გამოყოფა.

5) ყველა ადგილობრივმა საბჭოებმა, კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა და საზოგადოებრივ ურთიერთ დამხმარე გლეხთა კომიტეტებმა უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ახალ ღონისძიებათა შემოწმებას და ჩატარებას, რომელნიც მიღებულია სოფლის ღარიბ ფენისა და უძლური მეურნეობათა ხელის შესაწყობად (ღარიბთა კრედიტების მოხმარების შემოწმება და გადიდება, ღარიბთა საკოოპერაციო ფონდების გამოყენება და სხვა).

6) მსხვილი განსაზოგადოებულ მეურნეობის იდეის პროპაგანდის მიზნით და მეზობელ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობისათვის აგრონომიულ და ტეხნიკურ დახმარების გასაწევად „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის“ ჩატარებაში უნდა ჩაბმულ იქნან საბჭოთა მეურნეობანი და განსაკუთრებით მსხვილი მექანიზაციაქმნილი საბჭოთა მარცვლეულის მეურნეობანი და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები (ექსკურსიების მოწყობა, საბჭოთა მეურნეობებში გამოფენების გამართვა, რთული ინვენტარის დემონსტრაცია, ამ ინვენტარით საწარმოო დახმარების გაწევა, ღარიბ გლეხობისათვის—თესლის დახარისხება, ინვენტარის რემონტი და სხვა).

7) ამავე დღეს მოხდეს იმ ხელშეკრულებათა შემოწმება, რომლებიც დადებულია სოციალისტურ შეჯიბრებით მოსავლიანობის აწევისა, ნათესობის არის გაფართოებისა, მესაქონლეობის განვითარებისა და საბჭოთა და კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში. ამავე დროს უნდა დაიდვას სოც. შეჯიბრების ახალი ხელშეკრულებანი.

8) შემოწმებულ იქნას სოფლის საბჭოთა და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სასოფლო-სამეურნეო სექციების და საწარმოო თათბირების მუშაობა მოსავლისა და კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის საქმეში, რისთვისაც 14 ოქტომბრის დღისათვის უნდა ფართოდ გაიშალოს უფრო მეტი სისტემატიური მუშაობა აგროტეხნიკურ ცოდნის ასამაღლებლად და საზოგადოებრივ მეურნეობის ჩასანერგად ახალ აგროკულტურულ მეურნეობათა და სასოფლო-სამეურნეო წრეების დაარსება აგრო-წერა-კითხვის კურსების მოწყობა ქოხ-სამკითხველოებთან, კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებთან და სხვა).

9) აუცილებლად საჭიროა, რომ „მოსავლის და კოლექტივიზაციის დღე“ ყოველნაირად გამოყენებულ იქნეს იმ მიზნით, რომ მუშათა მასებს ფართოდ გაეცნოს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანები და მდგომარეობა, რისთვისაც სოფლებში უნდა წავიდნენ საშეფო საზოგადოებათა წარმომადგენელნი და მუშათა დელეგაციები, მიღებულ იქნენ ახალი შეფები, გაიგზავნონ მუშათა და სარემონტო ბრიგადები და ჩატარდეს მასიური მუშაობა „გლეხთა სახლებში“.

10) წინადადება მიეცეს საბჭოთა პრესას, მათ შორის კედლის გაზეთებსაც, ფართო კამპანია გაშალონ მოსავლის დღის მოწყობისა და ჩატარების გასაშუქებლად. აგრეთვე საგანგებო ნომერი მიეძღვნას 14 ოქტომბერს „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღეს“.

11) მოსავლის და კოლექტივიზაციის დღის მომზადებისა და პოპულიარიზაციის მიზნით, გამოყენებულ იქნას რადიო, სხვადასხვა გასართობი სანახავები, კინო, ყველა პოლიტ-განმანათლებელი დაწესებულებანი (ქოხ-სამკითხველოები, წითელი კუთხეები, ბიბლიოთეკები და სხვა); უზრუნველყოფილ იქნას როგორც სოფლის, ისე ქალაქის სკოლების მონაწილეობა „მოსავლის და კოლექტივიზაციის დღის“ ჩატარებაში.

12. „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის“ უშუალო ხელმძღვანელობა დაეკისროს სპეციალურ კომისიებს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და პროფესიონალურ კავშირების, კომუნისტურ ახალგაზრდობის, კოოპერაციის, სამიწათმოქმედო ორგანოების, კოლმეურნეობების და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტი მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წლ. ოქტომბრის 5.
ქ. თბილისი—სასახლე.

მოსავლის დღე თბილისის ოლქში

(თბილისის საბჭოს მე-7 პლენუმზე)

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს მეშვიდე პლენუმი. დღის წესრიგში იდვა ორი საკითხი: მოსავლის და კოლექტივიზაციის დღის ჩატარება თბილისის ოლქში, და აშხაბადის შეჯიბრებაზე გამოწვევაზე პასუხის გაცემა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ჩატარების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. თავქერობა.

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის მთავარი დანიშნულება — ამბობს მომხსენებელი, არის მთელი მშრომელი გლეხობის, სოფლად მომქმედ საბჭოთა, კოოპერატიულ, კულტურულ, საზოგადოებრივ დაწესებულებათა გაერთიანება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მოსავლიანობის გადიდების საკითხების გარშემო.

შემდეგ, მომხსენებელი მოკლედ ახასიათებს სოფლის მეურნეობის, კერძოდ სოციალისტური სექტორის მდგომარეობას თბილისის ოლქში, და ამ მდგომარეობის მიხედვით გამოაქვს კონკრეტიული დასკვნები იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს კოლექტივიზაციის დღეს თბილისის ოლქში. მომხსენებლის თქმით, — საკოლმეურნეო მოძრაობა ოლქში წლიდან—წლამდე ვითარდება. გასული წლის 114 კოლმეურნეობის ნაცვლად, ამჟამად ოლქში არსებობს 146 კოლმეურნეობა — (ზრდა უდრის 32 პროც.), რომელსაც ნაცვლად შარშანდელი 4.209 ჰექტარისა აქვს 7.022 ჰექტარი მიწა. ამგვარად თვითეულ კოლმეურნეობაზე მოდის 45 ჰექტარი. ეს ნორმა მეტად მცირეა. ასეთი მცირე ნორმის მფლობელობის პირობებში შეუძლებელია კოლექტიურ მეურნეობათა მექანიზაცია. ამიტომ ჩვენი პირველი ამოცანაა კოლექტივების რიცხვის გამრავლებასთან ერთად ყურადღება მივაქციოთ მათ გამსხვილებას, მოზრდილი კოლექტივების შექმნას. დიღომში უკვე მოეწყო ერთი ასეთი კოლექტივი, რომელსაც აქვს 150 ჰექტარი სახნავ - სათესი მიწა. უნდა შეიქმნეს დაახლოებით ასეთი სიდიდის კოლექტივები და ამავე დროს მოვაწყოთ დიდ კოლექტივთა ჯგუფური გაერთიანებანი. მეორე დიდი ნაკლი ჩვენი კოლმეურნეობებისა არის — მათი ნაკლები უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო იარაღ - მანქანებით. 146 მეურნეობას დღემდე 50 რკინის გუთანზე მეტი არ გააჩნია. ასეთივე უმნიშვნელო არის სხვა სასოფლო - სამეურნეო იარაღების რიცხვიც; რაც შეუძლებელს ხდის მუშაობის მექანიზაციას და, მაშასადამე, მოსავლიანობის და შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ჩვენი მორიგი ამოცანაა კოლექტივებისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა იარაღ - მანქანების საჭირო რაოდენობით.

მესამე ძირითადი ნაკლი ჩვენი კოლმეურნეობებისა არის სუსტი ხელმძღვანელობა ცენტრიდან, და კოლმეურნეობებში მომუშავე ტეხნიკურ და აგრონომიულ პერსონალის სიმცირე. ამ მიმართულებითაც გადადგმული უნდა იქნეს პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებმაც უნდა გამოასწორონ ცენტრის სუსტი ხელმძღვანელობით და საჭირო პერსონალის უქონლობით გამოწვეული ნაკლი. ერთ - ერთ ღონისძიებას წარმოადგენს კურსები, რომელიც იხსნება თბილისში კოლმეურნეობის კვალიფიციურ მუშაკთა გასაწრთვნელად.

სოციალისტური სექტორის მეორე მთავარ დასაყრდენს სოფლის მეურნეობაში, წარმოადგენს საბჭოთა მეურნეობა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა — შეჩვიოს გლეხურ მასას მეურნეობის წარმოების ახალი წესები თანამედროვე განვითარებული ტეხნიკის საფუძველზე. ჯერ - ჯერობით ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი საქართველოში, კერძოდ თბილისში არ დგანან იმ სიმაღლეზე, რომ წარმატებით შეასრულონ ეს ძირითადი ამოცანა. მიწის ის ფართობი, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობანი ფლობენ, განსაზღვრულია. მათი საწარმოო იარაღები არც რაოდენობით და არც ხარისხით დამაკმაყოფილებელი არ არის. ამჟამად უკვე მიმდინარეობს მუშაობა მსხვილ საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად და მათ ასაჭურვად იარაღ - მანქანებით. მაგ. ორთაჭალაში ეწყობა მებოსტნეობა-მებაღეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც გადაეცემა მთელი ორთაჭალის ბაღ-ბოსტნები, რომელიც უკანასკნელ დრომდე კერძო მოიჯარადრეებს ქონდათ; აღებული. ამ მოკლე ხანში განზრახულია აგრეთვე სოღანლუღის რაიონში მოეწყოს კიდევ უფრო დიდი საბჭოთა მეურნეობა 2.000 ჰექტარ მიწაზე. წინასწარ საჭიროა ამ მიდამოების ირიგაცია. ამ მეურნეობის მოწყობას სჭირდება 1.800.000 მანეთი, მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ამ საქმეზე დაიხარჯოს 600.000 მანეთი.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს საერთოდ სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და ვრცლად ჩერდება იმ წინასწარ ღონისძიებებზე, რომლებიც საჭიროა მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად. ამ ღონისძიებებს შორის, გარდა მოხსენებული მელიორაციისა პირველი ადგილი უჭირავს მიწად-მოწყობას, მისაწოდებელ იარაღმანქანების გადიდებას, აგრონომიულ დახმარების გაძლიერებას, სოფლის მეურნეობის კვალიფიციურ მუშა - ხელით უზრუნველყოფას და სხვ.

კოლექტივიზაციის დღე ტარდება სწორედ იმ მიზნით, რომ გააძლიეროს გლეხობის, მუშათა კლასის და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება ამ საკითხების პრაქტიკულად გადაჭრისადმი. ამ დღეს ერთი მეორეს უნდა შეხვდნენ ქალაქისა და სოფლის მშრომელნი — იმ მიზნით, რომ მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ ურთიერთ თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად კოლექტივიზაციისა და მაღალი ტეხნიკის საფუძველზე.

შემდეგ მომხსენებელი პლენუმს აცნობს მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარების გეგმას, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის წინა ნომერში.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს კოლექტივიზაციის დღის ჩატარების გეგმას.

დასასრულ პლენუმმა მიიღო თურქმენისტანის დედა - ქალაქის აშხაბადის გამოწვევა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ჩატარების შეჯიბრებაში და დაამტკიცა შეთანხმება პრაქტიკულ ღონისძიებების შესახებ.

საბჭოთა აპარატის წმენდის წინ

მოსამზადებელი მუშაობა ნელი ტემპით მიმდინარეობს

აპარატის წმენდა ა.-კ. დაწესებულებებში დაიწყება 20 ოქტომბრიდან

წმენდის ჩამტარებელ ა.-კ. ცენტრალურ კომისიის სხდომა

გუშინ შესდგა საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელ ამიერ-კავკასიის ცენტრალური კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა სხვადასხვა უწყებების წარმომადგენელთა მოხსენებები ჩატარებული მუშაობის შესახებ.

პირველად მოსმენილ იქნა კომკავშირის ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. მარტიროსიანის მოხსენება კომკავშირის მონაწილეობის შესახებ საბჭოთა აპარატის წმენდის მოსამზადებელ მუშაობაში.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კომკავშირი საერთოდ სუსტად არის ჩაბმული მუშაობაში. თბილისში, დაწესებულებებიდან გაწმენდილთა ადგილების დასაჭერად გამოყოფილია მუშათა ბრიგადები; კომკავშირელების პროცენტი ამ ბრიგადებში მცირეა. თბილისში გამოყოფილია აგრეთვე 200 კავალერისტი, რომლებიც უნდა დაეხმარონ წმენდის ჩამტარებელ საუწყებო კომისიებს მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებაში. ეს კავალერისტები უკვე შეუდგნენ მუშაობას. ამ მუშაობის ნაყოფია ის, რომ იუსტიციის კომისარიატში კავალერისტებმა გამოამჟღავნეს 70 ბიუროკრატი, მიწსახკომში 20 ბიუროკრატი, ამას გარდა ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება გამომჟღავნებულია შრომის ბირჟაში, სახელმწიფო ბანკში და სხვა დაწესებულებებში.

კომკავშირის რაიკომების ხელმძღვანელობა აპარატის წმენდის მოსამზადებელ მუშაობაში სუსტია. ისინი ჯერ კიდევ ვერ დაუახლოვდნენ მჭიდროდ ამ საკითხს. თბილისში დასაწინაურებლად გამოყოფილია 45 კომკავშირელი. ბაქოში 50—60 კაცი. ეს კომკავშირლები მიმაგრებული არიან მუშათა ბრიგადების მოსამზადებელ კურსებზე, მაგრამ ამ კურსებზე დასწრება არ აღემატება 50 პროცენტს. ახსნა-განმარტებითი კამპანია საბჭოთა აპარატის წმენდის გარშემო ძალზე სუსტად მიმდინარეობს. მრავალმა მუშამ არ იცის რა მიზანს ისახავს აპარატის წმენდა. ამ მხრივ სუსტია კომკავშირის პრესის მუშაობა, რომელიც სათანადოდ ვერ აშუქებს აპარატის წმენდის საკითხებს.

ამჟამად კომკავშირის საოლქო კომიტეტის მიერ წამოყენებულია საკითხი 300 კომკავშირელის დაწინაურების შესახებ სამეურნეო და საბჭოთა ხელმძღვანელ მუშაობაზე. აზერბეიჯანში უკვე დაწყებულია მუშაობა ამ კომკავშირელების მოსამზადებლად.

—:—

შემდეგ მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს წარმომადგენლის მოხსენება დაწინაურებულ მუშების მომზადების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ა.-კ. დაწესებულებებისათვის გამოყოფილია 36 მუშა, რომლებმაც უნდა დაიკავონ გაწმენდილთა ადგილები. დაწინაურებულთა შორის მუშაობა ძალზე სუსტად მიმდინარეობს. მათ მოსამზადებლად ძალიან ცოტა რამ კეთდება. ა.-კ. პროფსაბჭომ აქამდე არ იცის რას აკეთებენ ისინი, დადიან თუ არა მუშათა ბრიგადებისათვის მოწყობილ კურსებზე. ეს მუშები აქამდე არ არიან განაწილებული დაწესებულებებს შორის. 36 კაციდან 5 ქალია და სამი კომკავშირელი.

კომისიამ ა.-კ. პროფსაბჭოს მუშაობა მუშების დაწინაურების დარგში სრულიად არადამაკმაყოფილებლად სცნო და დაადგინა ჩაატაროს დაწინაურების საქმის მასიური გამოკვლევა.

გამოყოფილ იქნა სამეული ამხ. ადამაშვილის, ბრეიტმანის და იურჩენკოს შემადგენლობით, რომელთაც დაევალა უხელმძღვანელოს აღნიშნულ მუშაობას.

—:—

კომისიამ საჭიროდ სცნო საბჭოთა აპარატის წმენდა პირველ რიგში ჩატარებული იქნეს მიწად-მოქმედების და ფინანსთა სახალხო კომისარიატებში. მოსამზადებელი მუშაობა იწარმოებს სხვა დაწესებულებებშიაც, მაგრამ წმენდის დაწყების დრო იქ დანიშნული იქნება იმის მიხედვით, თუ როდის დამთავრდება მოსამზადებელი მუშაობა.

—:—

დასასრულ, კომისიამ მოისმინა საუწყებო კომისიების წარმომადგენელთა მოხსენება ჩატარებული მუშაობის შესახებ.

გამოირკვა, რომ მოსამზადებელი მუშაობა შედარებით ნორმალურად მიმდინარეობს ამ.-კავკასიის ფინსახკომში და ამ.-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატში. რაც შეეხება ამ.-კავკ. შრომის კომისარიატის ორგანოებს, იქ მოსამზადებელი მუშაობა მხოლოდ ეხლა იშლება და წმენდასაც საკმაოდ დააგვიანდება.

მოხსენების გამო **კომისიამ დაადგინა საბჭოთა აპარატის წმენდა დაწყებული იქნეს ამ.-კავკასიის ფინსახკომში არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა, ამ.-კავკ. ვაჭრობის კომისარიატში არა უგვიანეს 5 ნოემბრისა. და ამ.-კავკ. შრომის კომისარიატის ორგანოებში არა უგვიანეს 5 ნოემბრისა.**

—:—

კომისიის დადგენილებით ამ.-კავკ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საბჭოთა აპარატის წმენდის მხრივ შეტანილ იქნა ა.-კ. ფინსახკომის სისტემაში.

თბილისის კომკავშირის აქტივის კრებაზე

გუშინ საღამოს, სახელმწიფო საოპერო თეატრში შესდგა საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება გერმანიის კომკავშირის დელეგაციის თანდასწრებით. მოკლე შესავალ სიტყვით კრება გახსნა ამხ. მაისურაძემ, რომელმაც გააცნო დამსწრეთ დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი საბჭოთა ქვეყნებში და აგრეთვე დაახასიათა დელეგაციის წევრთა და კერძოდ კი ვილი მიუნცენბერგის და ფრანცესკო მისიანის დამსახურება მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის წინაშე.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის 10 წლის თავის შესახებ კრებაზე მოხსენებით გამოვიდა დელეგაციის თავმჯდომარე, ამხ. ვილი მიუნცენბერგი, რომელსაც დამსწრენი მხურვალე ოვაციებით შეეგებნენ.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა მუშათა და კერძოდ ახალგაზრდათა რევოლიუციონური მოძრაობაზე დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში და აღნიშნა ის მძიმე და აუტანელი პირობები, რომელშიაც უხდება ცხოვრება და მუშაობა დასავლეთ ქვეყნების პროლეტარიატს.

— გერმანიის მუშათა კლასი—ამბობს მომხსენებელი,—კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მრავალგვარ წინააღმდეგობათა მიუხედავად მაინც თავგამოდებით იბრძვის გერმანიის ბურჟუაზიისა და მათი დამქაშების—სოციალ-ფაშისტების წინააღმდეგ. გერმანიის პროლეტარიატი და პროლეტარული ახალგაზრდობა თქვენთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული კვლავ გმირულად იბრძოლებს მსოფლიო რევოლიუციისათვის. იმუშავეთ კვლავ მედგრად, აშენეთ ახალი ქვეყანა, უფრო მეტად განამტკიცეთ პროლეტარული რევოლიუციის სამშობლო—საბჭოთა კავშირი, წარმატებით განახორციელეთ სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა— ამ სიტყვებით დაამთავრა ამხ. მიუნცენბერგმა მოხსენება.

მოხსენება რუსულათ გადათარგმნა დელეგაციის მდივანმა ამხ. შპილმანმა.

შემდეგ დელეგაციის წევრმა ამხ. მისიონიამ თავის მოკლე მოხსენებით გააცნო დამსწრეთ იტალიის ახ. კომუნისტური კავშირის მუშაობა და მდგომარეობა.

თბილისის პიონერთა ორგანიზაციის სახელით დელეგაციას მიესალმა პიონერი ლომიძე, რომელმაც გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ გერმანიის ახ. კომუნისტური კავშირის დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა საქართველოში იქნება თავდები იმისა, რომ უფრო მეტად განმტკიცდება კავშირი დასავლეთ ქვეყნების და საბჭოთა კავშირის პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციებს შორის.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნულია, რომ თბილისის კომკავშირის ორგანიზაცია სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს ვიურტემბურგის კომკავშირის ორგანიზაციას.

დასასრულ კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა გერმანიის და იტალიის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. საკონტროლო კომისიისაგან

საქართველოს კომპარტიის (ბ) საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს

დამთავრდა საქართველოს კომპარტიის (ბ) რიგების წმენდა და შემოწმება ყველა საოლქო და სამაზრო ორგანიზაციებში, გარდა ზოგიერთი უჯრედისა, სადაც იგი მალე დამთავრდება. საქართველოს კომპარტიის ზოგიერთი წევრი და კანდიდატი გაირიცხა პარტიის რიგებიდან, ბევრს კი სხვაგვარი სასჯელი მიეცა.

ინსტრუქციის თანახმად, შემმოწმებელი კომისიების ოქმებს ამტკიცებს ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი საკალენდრო გეგმის მიხედვით. იმ ამხანაგების გამოწვევა, რომლებმაც შემმოწმებელი კომისიების დადგენილება განასაჩივრეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, ხდება ამ გეგმის თანახმად, ერთი კვირით ადრე ოქმების დამტკიცებამდე. მაგრამ ზოგიერთი ამხანაგი არ ელოდება გამოძახებას, ჩამოდის თბილისში და სთხოვს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას რიგს გარეშე განიხილოს მისი საქმე და სხვ. ეს გარემოება ხელს უშლის ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობის ნორმალურ მსვლელობას, ამიტომ ცენტრალური საკონტროლო კომისია ერთხელ კიდევ განმარტავს: იმ ამხანაგებმა, რომელნიც გამორიცხულნი არიან პარტიიდან ან რომელთაც სხვა სასჯელი დაედოთ, და რომელთაც განასაჩივრეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემმოწმებელი კომისიების დადგენილებაა, პრესის საშუალებით იქნებიან გამოძახებულნი ერთი კვირით ადრე ოქმის დამტკიცებამდე. არავითარ შემთხვევაში ცალკე და რიგს გარეშე არ გაირჩევა ამა თუ იმ ამხანაგის საჩივარი.

საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტმა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რწმუნებულებმა უნდა განუმარტონ უჯრედებში ამხანაგებს, ინსტრუქციის თანახმად, როგორი წესრიგით ხდება საქმეების განხილვა ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში და გააფრთხილონ ისინი არ ჩამოვიდნენ თბილისში სანამ მათ პრესის საშუალებით არ გამოიწვევენ.

კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის პარტკოლეგიის მდივანი: **ქვარაცხელია.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის საორგ. განყოფილების გამგე **რამიშვილი.**

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

ადგილობრივი მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა

გუშინ, ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. გავაშელმა.

ამჟამად ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება, განაცხადა მან,—აერთიანებს 9 წარმოებას 15 ქარხნით. (ქარხანა „ლურსმანი“, 7 აგურის ქარხანა, 1 ქვანის აგურ-კრამიტის ქარხანა, მექანიკური ქარხანა, „ხის ნაწარმი“, მაკარონის საგალეტო-საკონდიტერო ფაბრიკა და ლუდის ქარხანა).

განზრახულია სამკერვალო ფაბრიკა „მკერავი“ გადაეცეს ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას.

5 წლიანი გეგმით ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას განზრახული აქვს აგრეთვე ააგოს საუტილიზაციო ქარხანა, რომელიც დაამზადებს სხვადასხვა ქიმიურ საღებავებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სამშენებლო მასალების დამამზადებელ ქარხნების აგებას. ამ მიზნით აგებული იქნება: კირის ქარხანა, გაჯის ქარხანა, გრანიტის, სამშენებლო ქვის მექანიკურად სატეხი ქარხანა, ცემენტის სხვადასხვა ნაწარმოების დამამზადებელი ქარხანა, აგურის ქარხანა საგარეჯოში, საკონსერვო ქარხანა მუხრანში და ხის ავეჯეულობის დამამზადებელი დიდი ქარხანა.

ამ სამრეწველო პროგრამის შესრულების შემდეგ, ე. ი. გეგმის ბოლო წელს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების წარმოებები დაამზადებენ 51.541.000 მანეთის პროდუქციას. 1928 — 29 წ. კი პროდუქცია უდრიდა 11.461.000 მან. თვითღირებულება შემცირებული იქნება 30 პროცენტით. არსებულ ქარხნ. გასაფართოებლად და გადასაკეთებლად დაიხარჯება 1.777.000 მანეთი, გეგმის პირველ წელს უკვე დაიხარჯა 644.500 მ., წელს დაიხარჯება — 386.500 მ. გარდა ამისა არსებულ ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად დახარჯული იქნება 110.000 მან.

ახალ ქარხნების ასაგებათ დაიხარჯება 5.596000 მანეთი, მუშებისათვის ბინების ასაგებათ — 563.000 მ. ახალი ქარხნების აგებაზე გეგმის პირველ წელს უკვე დაიხარჯა 603.000 მ. ამ თანხით დაწყებულია რამდენიმე წარმოებისათვის შენობების აგება. წელს ახალ მშენებლობისათვის გადადებულია 1.291.000 მ., საბინაო მშენებლობისათვის — 101.000 მ.

ამჟამად არსებულ ქარხნებში მუშაობს 1.343 მუშა, 186 მოსამსახურე, 5 წლის ბოლოს იმუშავებს — 3.807 მუშა და 260 მოსამსახურე. შრომის ნაყოფიერების ზრდა ნავარაუდევია 200 პროცენტით. მუშათა ხელფასი გადიდდება 66 პროცენტით.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა წარმოდგენილი გეგმა.

ახალი საბინაო ტარიფი

შემდეგ ახალი საბინაო ტარიფის შემოღების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ბიბუნაშვილმა. მომხსენებელმა სხდომას გააცნო ის ცვლილებები, რომლებიც შეტანილი იქნა ძველ საბინაო ტარიფში სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების საფუძველზე. წინეთ შემუშავებულ ტარ. პროექტ. მუშა-მოსამსახურეებს, რომელიც ღებულობდა 145 მანეთზე მეტს, ყოველ 10 მანეთზე დამატებით უნდა გადაეხადა 3 კაპ. კვ. მეტრზე. ახალი პროექტით გადახდის — 2 კ., ძველი პროექტით ოჯახს ზედმეტ საცხოვრებელ ფართობად ეთვლებოდა 5 კვ. მეტრი, ხოლო ამაზე ზევით კი ორმაგათ უნდა გადაეხადა ქირა, სახ. კომისართა საბჭოს შესწორებით, ზედმეტ ფართობათ და ითვლება საცხოვრებელ ნორმის 50 პროცენტი, ე. ი. ვთქვათ, 3 სულს უჭირავს 45 მეტრი, ეს ოჯახი ზედმეტ 15 მეტრში ქირას იხდის ერთმაგათ, ხოლო თუ 50 მეტრი უჭირავს, ორმაგ ქირას გადაიხდის მარტო 5 მეტრში.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ის მუშა-მოსამსახურე, რომლის ოჯახსაც არა აქვს საშემოსავლო, იხდის 10 პრ. ნაკლებს; ვისაც საზიარო სამზარეულო აქვს — 5 პრ.

წინანდელი პროექტით დამქირავებელ მუშა - მოსამსახურეს თავის კმაყოფაზე მყოფ მე-5 სულზე ეძლეოდა შეღავათი, ახალი პროექტით კი შეღავათი მიეცემა მე-3 სულზე და ზევით.

ბინის ქირის გამოანგარიშება იწარმოებს საშუალო დროის განმავლობაში მიღებულ სრული ხელფასის კვალობაზე. ზედმეტი საათების [illegible] ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება და სხ.

პრეზიდიუმმა მიიღო წარმოდგენილი პროექტი.

პრეზიდიუმმა დაადგინა ახალი საბინაო ტარიფი შემოღებულ იქნეს 1 ოქტომბრიდან.

ყველა კავშირების ც. გ., ავტონომიურ რესპ. და საოლქო პ.კ. საბჭოების და სამპროფბიუროების საყურადღებოდ.

რადგან საქართველოს მთელ რიგ საწარმოებში გამოტანილია გადაწყვეტილება ნორმალურ სამუშაო დღის ზევით ორი საათის მუშაობის შესახებ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ფონდის სასარგებლოდ, საჭიროა იქნეს მიჩნეული, რომ ამ მიზნისათვის შემოსული ყველა თანხა გამოყენებულ იქნეს საქართველოს პროფკავშირთა სატრაქტორო კოლონის მოსაწყობად, ამიტომ ს.პ.კ. ს. პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა კავშირების ც. გ. ავტონომიურ რესპ. და საოლქო პ.კ. საბჭოების და სამპროფბიუროების ანარიცხები, რომლებიც ამ ფონდში იქნება შეტანილი, თავი მოუყაროს საქართველოს პროფსაბჭოსთან და ამისათვის გადმოეგზავნოს ტფილისის კომუნალურ ბანკში ს.პ.კ.ს. მიმდინარე ანგარიშზე № 1145.

ს.პ.კ. ს. თავმჯდომარე **ბ. მაჩაიძე.**

დღეს, 8 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე გაიმართება

იმ მუშათა ბრიგადების თათბირი,

რომლებიც სოფლად მიემგზავრებიან მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად.

ყველა ფაბქარხკომს და საშეფო უჯრედებს წინადადება ეძლევა გამოყოფილი ამხანაგები თავის დროზე გაგზავნონ საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში.

სოციალისტური უფლებრივი შეგნება

და

ლექტორ გიორგი ნანეიშვილის „ნაშრომი“

მისი წიგნის გამო: („სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“)

სანამ არსებითად საკითხს შევეხებოდეთ, საჭირო არის მოვიხსენიოთ ის მსოფლმხედველობა, რომელიც მიუტოვებელ ჰერსად ითვლებოდა ბურჟუაზიულ კულტურის სამყაროში და რომელმაც შექმნა მთელი ეპოქა სოციალურ მოვლენათა მეცნიერულ კვლევა-ძიების საქმეში.

თანამედროვე საზოგადოებრივ პირობებში ბურჟუაზიულ ინდივიდუალისტურ იდეოლოგიას უპირისპირდება მუშათა კლასის მსოფლმხედველობა მეცნიერულ სოციალიზმის სახელწოდებით. მეცნიერული სოციალიზმი აღმოცენდა კაპიტალისტურ სინამდვილის კრიზისისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ღრმა კრიტიკის საფუძველზე. მეცნიერული სოციალიზმი იმ თავითვე ჩამოყალიბებულ და მთლიან მსოფლმხედველობად მოევლინა კაცობრიობას. მეცნიერული სოციალიზმის ფილოსოფიურ ნაწილს წარმოადგენს დიალექტიური მატერიალიზმი; სოციალურ მოვლენათა მიმართ ის ემყარება ისტორიის მატერიალისტურ ახსნის პრინციპს, აღიარებს რა ნივთიერ საწარმოო ძალებს საფუძვლად სოციალური სამყაროს დინამიურობისათვის.

მარქსს თავის მსოფლმხედველობის credo მოცემული აქვს თავის „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკის“ შესანიშნავ წინასიტყვაობაში: „მდგომარეობა განსაზღვრავს, შექმნის შეგნებას და არა პირიქით“. „საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობისათვის ადამიანები შედიან ურთიერთ შორის განსაზღვრულ მათი ნებისაგან დამოუკიდებელ აუცილებელ დამოკიდებულებაში, საწარმოო დამოკიდებულებაში, რომელიც შეეფერება ნივთიერ საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს. ამ საწარმოო ურთიერთობათა ჯამი წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურის რეალურ ფუძეს; მასზედ არის ამართული უფლებრივი და პოლიტიკური ზედნაშენი და ამავე რეალურ სტრუქტურას შეეფერებიან საზოგადოებრივ შეგნების განსაზღვრული ფორმები“.

მარქსი გამოვიდა ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის მემარცხენე ფრთიდან. ჰეგელის მიმართ სკეპტიკური განწყობილების შედეგი იყო კრიტიკული გადასინჯვა ჰეგელის სამართლის ფილოსოფიისა, აღნიშნულ შრომაში მარქსი იმ დასკვნამდე მივიდა, „რომ უფლებრივი ურთიერთობანი, ისე როგორც სახელმწიფო ფორმები, არ შეიძლება გაგებულ იქნან თავის თავიდან“. (из самого себя), ამრიგად, მატერიალიზმის თვალსაზრისით საზოგადოებრივი განვითარების პირობები განისაზღვრებიან არსებობის ნივთიერ პირობებით, „საწარმოო ძალთა განვითარებით“, რის საფუძველზედაც აღმოცენდა პოლიტიკური საზოგადოება, სოციალური დიფერენციაციით, კლასთა ანტაგონიზმით, კერძო საკუთრების ინსტიტუტებითა და სახელმწიფო ხელისუფლების ატრიბუტებით. კაცობრიობის ისტორია წარმოადგენს კლასთა ბრძოლის ისტორიას. თვით სახელმწიფო, პოლიტიკური ხელისუფლება, სამართალი შექმნილი არიან კლასთა ბრძოლის პირობებში და მუდამ გამოხატავენ კლასიურ ინტერესს, რადგანაც საზოგადოება წარმოადგენს, აშკარა თუ ფარულ, გამუდმებულ კლასთა ბრძოლის ასპარეზს.

პროლეტარული რევოლიუციის პერიოდის პირველ ხანებში სამართლის შემუშავება სწარმოებდა უფრო რევოლიუციონური გრძნობით. ამ განწყობილების დამახასიათებელია კრიტიკა და ძველის პრინციპიალური უარყოფა, მაგრამ შემდეგში, როდესაც სამოქალაქო ომის ლიკვიდაციასთან ერთად, განმტკიცდა საბჭოთა უფლებრივი წესწყობა, საკმარისი არ იყო მხოლოდ რევოლიუციონური გრძნობა; ამიერიდან უნდა წარმოშობილიყო, და ეს ასეც მოხდა, სოციალისტური უფლებრივი შეგნება, „რამაც მთელი ისტორიული სიცხადით გაგვხადა მოწმენი, თუ როგორ იქმნება, როგორ კეთდება ახალი სამართალი; არა განყენებულ დედუქციებით, არამედ ახლად გაბატონებული კლასის სამეურნეო მოთხოვნილების ემპირიული შემოწმებისა და მასთან შეგუების მეთოდებით“. (პაშუკანისი).

ამის შემდეგ ჩვენ უფლებას ვაძლევთ ჩვენ თავს აშკარად ვაღიაროთ, რომ დღეს ყოველივე მეცნიერული გამოკვლევა, მით უმეტეს იურიდიული, უნდა იქნას აღმოცენებული „არა განყენებულ დედუქციების საშუალებით, არამედ გაბატონებული კლასის სამეურნეო მოთხოვნილების ემპირიული შემოწმებასა და მასთან შეგუების მეთოდებით“

რომ ჩვენ თემას არ ავცდეთ და მკითხველსაც თავი არ მოვაბეზროთ, შევეცდებით ლექტ. გ. ნანეიშვილის შრომის „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ კრიტიკულ განხილვას ზემოთ-მოყვანილ დებულებათა მიხედვით.

ხსენებულ შრომაში ავტორს გვერდი აუხვევია მარქსისტულ მსოფლმხედველობისათვის და ის გამოდევნებია ბურჟუაზიულ მშრალ დოგმატიკას. მისთვის შეუმჩნეველი რჩება თანამედროვე სოციალური სინამდვილე, სოციალისტური უფლებრივი შეგნება, ე. ი. ის დიდი ეპოპეია სამართლის მეცნიერებაში, რომლის დამახასიათებელია მეტი ისტორიულობა, სოციალურობა და კონკრეტობა წინააღმდეგ მშრალი დოგმატიკისა.

რომ მკითხველისათვის ნათელვყოთ ავტორის აზრთა სრული მიუღებლობა მარქსისტული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით! ჩვენ მოვიყვანთ ნაშრომიდან რამოდენიმე ამონაწერს. უნდა კი წინასწარ შევნიშნოთ, რომ ავტორი ძალიან კარგად გრძნობს იმ პირობებს, რომლებშიც მას უხდება თავისი ბროშურის გამოქვეყნება; მან კარგად იცის, რომ პროლეტარული დიქტატურის მე-12 წელს შეუძლებელია იდეალისტურ მსოფლმხედველობის აშკარა და ნიღაბაუფარებელი დაცვა და ისიც ნაშრომში, რომელიც საბჭოთა უნივერსიტეტში სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად არის წარდგენილი, სწორედ ამიტომაა, რომ ძალიან ხშირად, მთელი ნაშრომის გასწვრივ, ავტორი გაურბის გარკვეულობას და თავის შეხედულებებს გაუგებარ ფრაზეოლოგიის ბურუსში ხვევს. ამის მიუხედავად სხვადასხვა ადგილების შედარების გზით შესაძლებელია ჩვენი ავტორის იდეალისტური ფიზიონომიის გამოაშკარავება. რომ აქ აღნიშნულის ობიექტივობაში ეჭვი არავის შეეპაროს, მოვიყვანთ ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ მაგალითს: ნაშრომის პირველი გვერდიდან უკანასკნელამდე მკითხველს განუწყვეტლივ ეხმის სხვადასხვა ვარიაციებში მსჯელობა „სამართლის აზრის“ შესახებ; პირველი შეხედვით და განსაკუთრებით იმისათვის, ვინც ყოველგვარ იდეალისტურ „კუნსტშტიუკების“ გამოაშკარავებაში დახელოვნებული არ არის, გაუგებარია თუ რა შინაარსი იგულისხმება „სამართლის აზრის“ ქვეშ აქ. მხოლოდ წიგნის უფრო დაკვირვებულ შესწავლის შემდეგ ირკვევა, რომ „სამართლის აზრი“ ნაშრომში „სამართლის იდეის“ მნიშვნელობით იხმარება (იხ. მაგ., გვ. 34). ცხადია, რომ ტერმინების ასეთ შეცვლას ავტორი განზრახ ჩადის და ეს იმ მიზნით, რომ „სამართლის იდეის“ აშკარად იდეალისტური შინაარსი საბჭოთა მკითხველს უფრო შერბილებულ და შეფერილ ფორმაში მიაწოდოს, მხოლოდ თავის კონსტრუქციის აშკარა იდეალისტური აღნაგობა შეუმჩნეველი გახადოს, წერს ასეთი „დიპლომატიური“ ფორმა, რომელშიც რეალისტური მსოფლმხედველობის მიმართ ორი-სამი რევერანსი მხოლოდ იმიტომ არის გაკეთებული, რომ უფრო შეუმჩნევლად იქნას გატარებული „იდეალისტური კონტრაბანდა“, დამახასიათებელია მთელი ნაშრომისათვის.

გადავიდეთ ეხლა ნაშრომის სათანადო ადგილების აღნიშვნაზე, რომელიც ზემონათქვამს დაადასტურებენ. შრომის მე-7-ე გვერდზე ჩვენ ვკითხულობთ:

„ხოლო ამ თვალსაზრისით მომქმედი სამართალიც, რამდენადაც იგი დროის გარეშე მოცემული სამართლის აზრის დროებითი გამოხატულებაა, ფაქტადაც უნდა ვსცნოთ, მართლაც, სამართლის რა ნორმაც უნდა ავიღოთ, მასში ყოველთვის ვხედავთ იმ აზრთა განსაზღვრულ წყობას, რომელნიც მოცემული არიან ჩვენგან დამოუკიდებელ საერთო თვისებებით“.

აქ ავტორი მიგვითითებს მომქმედ სამართალზე, რამდენადაც იგი „დროის გარეშე მოცემული სამართლის აზრის დროებითი გამოხატულებაა“. რას ნიშნავს ეს, რა უნდა ავტორს სთქვას? ნუ თუ შესაძლებელია ისეთი მომქმედი სამართალი, რომელიც დროის გარეშე არსებული აზრის გამოხატულება იყოს? რასაკვირველია არა, ვინაიდან, სამართალი არის სოციალური ფენომენი; ის მუდამ ფუნქციონალურ მიმართულებაში იმყოფება საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ სისტემასთან. ის არაა რაიმე მარადიული იდეა, არამედ ისტორიული კატეგორიაა. ჩვენს დებულებას რომ მეტი გასაქანი მივცეთ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ავტორისათვის „სამართლის აზრი“ ნიშნავს „სამართლის იდეას“. რა არის „სამართლის იდეა“? ეს არის დროის გარეშე არსებული მარადიული იდეა, გამოხატული მომქმედ სამართალში, რომელიც არ არის სოციალური ფენომენი და არ წარმოადგენს ისტორიულ კატეგორიას. განა შესაძლებელია დავეთანხმოთ ავტორს, რომ სამართალი არ არის ისტორიული კატეგორია, რომ იგი დროის გარეშე არსებულ იდეის გამოხატულებაა? რასაკვირველია არა, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ სამართალი თავის ბუნებით მუდამ კლასიურია და არც შეიძლება სხვაგვარი იყოს, რადგან კაცობრიობის ისტორია წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც კლასთა ბრძოლის ისტორიას. ამ რიგად, მარქსის თქმის არ იყოს, „იდეოლოგიური ფორმები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ თავის თავშივე დახშულ ფორმებს“. პატივცემულ ავტორს კი დაუსახავს სამართლის „აზრი—იდეა“, რომლითაც სურს მისცეს მომქმედ სამართალს გამოხატულება, მაგრამ თუ რას ემყარება თქვენის გაგებით „სამართლის აზრი—იდეა“, ამის შესახებ ხსენებულ წიგნში ვერაფერს ვპოულობთ, გარდა იმისა, რომ ეს იდეა არის „დროის გარეშე“ არსებული. ჩვენ ვიცით, რომ მარქსის კონცეპციაში ძირითად ცნებას წარმოადგენს საწარმოო დამოკიდებულება, საწარმოო ძალთა განვითარება. „ჯამი საწარმოო დამოკიდებულებათა შეადგენს საზოგადოებრივ ეკონომიურ სტრუქტურას, მის რეალურ საფუძველს, რომელზედაც აღმოცენებულია უფლებრივი და პოლიტიკური ზედნაშენი; ამასვე ეხიტყვავებიან საზოგადოებრივი შეგნების განსაზღვრული ფორმები“. უფლებრივი მიმართება, ცხადია, გულისხმობს საწარმოო ურთიერთობების არსებობას, როგორც თავის რეალურ სტრუქტურას. ხსენებული წიგნის ავტორისათვის ეს ასე არ არის—მისთვის უფლებრივი მიმართებანი და მთლიანად სამართალი, საწარმოო ურთიერთობა ზედნაშენს კი არ წარმოადგენს, არამედ „სამართლის იდეის განსაგნობრიობას“ (გვ. 34), მისთვის „დროში წარმოშობილი და მომქმედი ყოველი სამართალი სხვა არ არის რა, თუ არა გასაგნებული სამართლის აზრი“, ე. ი. სამართლის იდეა (გვ. 17); სამართლის სინამდვილე, ჩვენი ავტორის განმარტებით, სამართლის იდეის ნამდვილობაა (გვ. 33) და თვით სამართალი კი „ნამდვილი (მომქმედი) უფლებრივი იდეა“ (გვ. 35).

უფრო შორს წასვლა სამართლის იდეალისტური კონცეპციის ხაზით შეუძლებელია, ავტორის მიერ უარყოფილია არა მარტო სამართლის ბუნების მარქსისტული მატერიალისტური გაგება, არამედ სამართლის ბუნების უბრალო რეალისტური ახსნაც კი. აქ სამართალი აბსოლიუტურად მოწყვეტილია რეალურ სინამდვილეს, საზოგადოებრიობას, ეკონომიურ სტრუქტურას და მარადიულ იდეათა სამყაროშია გადატანილი. ამ მხრივ ავტორი ვერავის შეიყვანს შეცდომაში, ძალიან ხშირი (საეჭვოდ ხშირი) მითითებით პოზიტიური სამართლის ცვალებადობაზე. ალბად, ამ მითითების ინტენცია იმაში არის, რომ ავტორის შეხედულებებს გარეგნულად მაინც მიეცეს რეალისტური ელფერი, მაგრამ ამ იაფფასიანი „დიპლომატიის“ გამოაშკარავების მიზნით საკმარისია წავიკითხოთ ის, რაც ნაშრომის მე-17 ან 22-23 გვერდებზე არის აღნიშნული და ჩვენთვის ნათელი გახდება თუ რა ფასი შეიძლება მიეცეს ავტორის „რევერანსებს“. წიგნის მე-17 გვერდზე ავტორი, ეხება რა სამართლის ცვალებადობის საკითხს, აღნიშნავს: „რასაკვირველია, პოზიტიური სამართლის შესახებაც შეგვეძლო გვეთქვა, რომ იგი რაღაც მომხდარია... მაგრამ კითხვა ჩვენ სხვანაირათ უნდა დავსვათ; სახელდობრ რა მოსდა სამართალით? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი გვაქვს: ის მოხდა, რომ სამართლის აზრი (ე. ი. სამ. იდეა) იქცა ნამდვილ მომქმედ აზრათ“... და შემდეგ 22 გვერდზე: „წარმოშობა ნამდვილი მომქმედი სამართლისა არის... დასაწყისი უფლებრივი აზრის ნამდვილობისა.... პოზიტიური სამართლის წარმოშობა ნიშნავს მხოლოდ ერთს, სახელდობრ იმას, რომ სამართლის აზრი (ე ი. სამართლის იდეა) იქცა მომქმედ უფლებრივ შინაარსათ“.

ამგვარად, სამართლის ცვალებადობის ცნება ნაშრომში რეალურ ასპექტში კი არ არის აღებული, ამ ცნების საშუალებით ავტორი არ სცდილობს სამართლის დაკავშირებას რეალურ სოციალურ დამოკიდებულებებთან; პირიქით—იგი აქ გამოყენებულია მხოლოდ იმისათვის, რომ აღნიშნოს სამართლის იდეის გარდაქმნა, „გასაგნება“ პოზიტიურ სამართალში, ე. ი. იგი აქ ავტორის იდეალისტური კონცეპციის ერთ-ერთ შინაგან რგოლს წარმოადგენს.

გადავიდეთ წიგნის შემდეგ დებულების განსაზღვრაზე. წიგნის მე-9 გვერდზე ჩვენ ვკითხულობთ:

„შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ დროში ცვალებად ყოველ უფლებრივ ნორმაში არის ისეთი აზრის ნამდვილობა, რომელსაც სრულიად არ მიუდგება ყოველივე ის, რაც მიუდგება ფაქტსა და ფიზიო-ფსიქიურ სამყაროს ნამდვილობას“.

ავტორი აქ პირდაპირ გვეუბნება, რომ უფლებრივ ნორმაში მოცემული „აზრი — იდეა“, რომლის გასაგნებას პოზიტიური სამართალი წარმოადგენს, ცვალებადობას არ ემორჩილება, იგი მარადიული, დროში უცვლელი არსებობის მატარებელია და ამ მხრით აშკარად დაპირისპირებულია რეალურ სამყაროს მოვლენებისადმი. ის, ვინც მარქსისტულ სოციოლოგიის ძირითად დებულებებს იცნობს, მას არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ აქ მოყვანილი ამონაწერი უშინაარსო იდეალისტურ აბდაუბდას წარმოადგენს; მისთვის უდავოა, რომ კლასობრივი ბრძოლის პირობებში სამართალი, რომელიც ამ ბრძოლის მხოლოდ ერთ-ერთი იარაღია, ისევე ცვალებადია, როგორც ცვალებადია თვით სოციალისტური სინამდვილე, ისტორიული აუცილებლობით ერთი კლასის ბატონობის შეცვლა მეორე კლასის ბატონობით. მისი სამართლის იდეის ცნება უშინაარსო ფანტაზმაა, რომელსაც არავითარი სინამდვილე არ თანაბრობს; მისთვის სამართალი დაპირისპირებული კი არ არის რეალურ სამყაროსადმი, როგორც ამას ჩვენი ავტორი ამტკიცებს, არამედ სხვა იდეოლოგიურ ფორმების გვერდით საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურის აუცილებელი შედეგი და ზედნაშენია.

მკითხველისათვის უკვე საკმაოდ ნათელი უნდა იყოს—თუ როგორი იდეოლოგიის მატარებელს შეუძლია სამართლის რეალურ სამყაროსაგან მოსწყვეტა. ამ მხრით ავტორის ფიზიონომია ჩვენთვის სავსებით გარკვეულია, მაგრამ სურათის მეტი მთლიანობისათვის ზედმეტი არ იქნება კიდევ რამოდენიმე მომენტის აღნიშვნა. მარქსისტული მსოფლმხედველობა თავიდანვე ამტკიცებდა,—და ეს მსოფლიო იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლიუციების გამოცდილებამაც დაადასტურა,—რომ არც ერთ სამართლის ცნებას, არც ერთ მორალურ პრინციპს არ აქვს თავისთავად აბსოლიუტური ღირებულება; ისინი მუდამ ფუნქციონალურ მიმართებაში იმყოფებიან განსაზღვრულ დროის, განსაზღვრულ ეპოქისადმი. ეს დებულება ჩვენი ავტორისათვის მიუღებელია; თავის ნაშრომში იგი აღნიშნავს:

„მაგრამ რა იქნება, რომ სამართალში გამჟღავნებული ღირებულებითი მომენტი ჩვენ არ ვაღიაროთ (ფსიქიურად) და არ მოვისურვოთ მისი განხორციელება? განა ამით შეიცვლება ის ღირებულება, რომელიც როგორც განსაზღვრული მომენტი, ყოველთვის იმალება ნორმის სტრუქტურაში? არასოდეს. (გვ. 11). აგრეთვე:—„მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ნორმის ფენომენოლოგიურ მომენტს წარმოადგენს სუბიექტი, ობიექტი და ღირებულებითი მომენტი, ეს მომენტები სამართლის მუდმივი, აბსოლიუტური მომენტებია“. (გვ. მე-17-ე).

ამგვარად, ავტორის აზრით, სამართლის ბუნების გაგება აუცილებლად გულისხმობს, რომ სამართლის ნორმას აბსოლიუტური ღირებულების მნიშვნელობა მიეცეს. ამის შემდეგ, რაც ზევით იყო აღნიშნული ავტორის ნაშრომის იდეოლოგიურ მიმართულების შესახებ, ასეთი ფინალი ჩვენთვის მოულოდნელი არ უნდა იყოს, სამართლის იდეალისტური კონცეპცია, რომელსაც ავტორი იძლევა, თავისთავად მოითხოვდა სხვა „აბსოლიუტების“ გვერდით სამართლის აბსოლიუტურ ღირებულების გამოცხადებას, ზედმეტი და უნაყოფო იქნებოდა ამ იდეალისტურ აბდა-უბდაზედ ვრცლად შეჩერება. ჩვენში დღეს თითოეული პიონერისათვისაც კი აშკარაა, რომ სახელმწიფო და სამართალი გარდამავალნი არიან, ისინი არ წარმოადგენენ ჩვენ თვის იდეალს, და არც აბსოლიუტურ ღირებულებას გამოხატავენ; ისინი დროებითი მოვლენებია. თუ ეს ასეა, ნება გვიბოძეთ მაშინ, პატივცემულო ავტორო, ჩვენ არ მივიღოთ თქვენი განმარტება სამართლის ღირებულების შესახებ და იგი დაულოცოთ იმ თეორიებს, რომელნიც მარქსიზმის მიერ მთლიანად უარყოფილი არიან და რომელთაც საქართველოში დამცველად თქვენ მოევლინეთ.

ჩვენი ავტორისათვის სამართლის სამეცნიერო თეორია წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ განყენებულ ფორმალურ ცნებათა სისტემას, თავის სპეციფიურობით სოციალურ გარემოსთან ყოველგვარი დამოკიდებულების გარეშე. ავტორი ამ იდეურ ძაფს სწყვეტს თავის შრომის მე-18 გვერდზედ და აკეთებს ერთ „დიპლომატიურ“ რევერანსს მარქსისტულ მსოფლმხედველობის მიმართ. იგი ამბობს:

„მართლაც, ჩვენ ხშირათ ვამბობთ, რომ ეკონომიური პირობები და საწარმოო ძალთა ურთიერთობის ხასიათი საზღვრავს კონკრეტულ ნორმის შინაარს (ობიექტს). ეს, რა თქმა უნდა, უდავო ფაქტია“.

მე შემიძლია მიგითითო, პატივცემულო ავტორო, რომ ზემოთხსენებულს თქვენ ხშირათ არ ამბობთ და სთქვით მხოლოდ ამ ორ წინადადებაში მთელი თქვენი წიგნის არეზე, მაგრამ ეს არაფერია. დაუშვათ, რომ თქვენთვის „რა თქმა უნდა, უდავო ფაქტია, „რომ ეკონომიური პირობები და საწარმოო ძალთა ურთიერთობის ხასიათი საზღვრავს კონკრეტიულ ნორმის შინაარს“. მაშინ რათ დაგჭირდათ ყოველივე ის, რაც ჩემს მიერ ზემოთ არის შენიშნული? **პოზიტიური სამართალი თქვენ ხომ სამართლის იდეის სინამდვილედ, მის „გასაგნებად“ მიიჩნიეთ და მაშინ რომელი ლოღიკის საშუალებით ფიქრობთ იგივე სამართალი კონკრეტ ეკონომიურ პირობებს დაუკავშიროთ?** განა ვისმესთვის შეუმჩნეველი დარჩება, რომ ის აშკარა დისონანსი, რომელიც ავტორის მთლიან კონცეპციაში შეაქვს აქ მოყვანილ სიტყვებს, იმ „დიპლომატიის“ შედეგია, რომლის მიზანი და ფასი ყველასათვის გასაგებია!

აქვე არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ ძალიან დამახასიათებელ მომენტს: ეკონომიური პირობები, რომლებზედაც ასე უადგილოდ უთითებს ჩვენი ავტორი, ნაშრომში გამოყენებულია არა სამართლის ბუნების გაშუქების მიზნით, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ სამართლის ნებაყოფლობითი შესრულების ან წმინდა იდეალისტური ფილისტერული კონცეპცია იქნას დასაბუთებული, ამის ილიუსტრაციისათვის საკმარისია მიუთითოთ იმაზე, რაც ეკონომიურ პირობების შესახებ აღნიშნულია ნაშრომის მე-19 გვერდზე. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„ისინი წარმოადგენენ ემოციონალურად განცდილ ღირებულებებს, რომელნიც ჰქმნიან იმ სასიცოცხლო ეტოსს, რაც უზრუნველყოფს სამართლის ნებაყოფლობით შესრულების შესაძლებლობას“.

კომენტარიები აქ უკვე ზედმეტია!

ავტორის იდეოლოგიური აღნაგობის დახასიათების დროს ინტერესს მოკლებული არ არის ის განმარტება, რომელსაც იგი აძლევს სახელმწიფო ხელისუფლებას. ამ საკითხშიც აშკარად მჟღავნდება არა მარქსისტული, წმინდა იდეალისტურ-ბურჟუაზიული აზრის მიმართულება, შრომის 80—81 გვერდზე ავტორი სწერს:

„ხელისუფლება კი ერთგული მაკლერივით სდგას სამართლის სფეროსა და იმ სფეროს შორის, რომელშიაც სამართლის განხორციელების შესაძლებლობა არის მოცემული. ეს ხელისუფლება წარმოადგენს ძალას, რომელიც ნორმის შესრულების დანიშნულებით ამოიწურება და ამიტომ იგი ყოველთვის სდგას ჩვენს წინაშე როგორც ნორმის შესრულების აბსოლიუტური შანსი“.

იქვე:

„ხელისუფების დანიშნულება ამაში მდგომარეობს და რომ მას სხვა დანიშნულება მივაწეროთ, ეს ხელიდან გამოგვაცლიდა იმ კრიტერიუმს, რომლის საშუალებითაც ხელისუფლებას ძალადობისაგან განვასხვავებთ. ძალადობა ძალას შეუძლია, ხოლო მოძალადე „ხელისუფლება“ უკვე ხელისუფლება აღარ არის“.

იქვე:

„სწორეთ ამიტომ ხელისუფლებას, როგორც სახელმწიფოს ელემენტს, ჩვენ არ განვიცდით, როგორც რაღაც ძალადობას, ე. ი. როგორც ძალის მოქმედებას; ცხადია, რომ ძალის მოქმედების განცდაში ყოველთვის არის მომენტი მისი ლოღიკური უარყოფისა, რასაც ძალა გვაიძულებს, მაშინ, როდესაც ხელისუფლების მოქმედების განცდაში ეს მომენტი არ გვაქვს, ვინაიდან ხელისუფლება მხოლოდ სამართლის სახელით და სამართლიანობისათვის მომქმედი ძალაა და იგი გვაიძულებს იმას, რაც ყველასათვის ლოღიკურად აღიარებულია. ხელისუფლება გვაიძულებს შევასრულოთ სამართალი, ე. ი. შევასრულოთ ისეთი რამ, რაც ლოღიკურად აღიარებულია, მაგრამ რაც ჯერ კიდევ ჩვენი პსიხოლოგიურ ნების შინაარს არ წარმოადგენს“.

ადვილი შესამჩნევია, რომ მთელი ეს ამონაწერი მარქსისტული შეხედულებას სახელმწიფო ხელისუფლებაზედ დიამეტრალურად უპირისპირდება; მარქსიზმისათვის სახელმწიფოსა და სამართლის განსაზღვრა ერთ ხაზზე სძევს. მათ შორის არ სუფევს ისეთი კომპრომისული დამოკიდებულება, როგორც ეს პატივცემულ ავტორს წარმოუდგენია. ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება არ წარმოადგენს სოციალურ კატასტროფების პერმანენტულ მდგომარეობას, ეს არც არის გამუდმებული სამოქალაქო ომი კლასთა შორის, არამედ ის წარმოადგენს შედარებით დამშვიდებულ საზოგადოებას (замиренное общество), რომელიც სიღრმეში ირყევა და მიმდინარეობს კლასთა ბრძოლის დინამიზმით, ამიტომაც არის შესაძლებელი საზოგადოებრივ წესწყობის საერთო საფუძვლების შემუშავება. ამ უკანასკნელ მისიას კი ასრულებს ის კლასი, რომლის ბედიც დაკავშირებულია საწარმოო ძალთა განვითარების ზეაღმავალ პროცესთან. ამიტომ ვამბობთ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება და სამართალი ურთიერთის შემსებ მოვლენებს წარმოადგენენ, რადგან მშვიდობიან ურთიერთობაში სახელმწიფო მუდამ ითვისებს უფლებრივ ფორმებს, მაგრამ როდესაც პოლიტიკური კრიზისების დროს კლასთა დამოკიდებულება ანუ საწარმოო ძალთა კონფლიქტი უნდა გადასწყდეს „სამოქალაქო ომით“, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფაქტიურ ძალას, სოციალურ ძალდატანებას, ამიტომ არის, რომ უფრო აქტიური მნიშვნელობისაა პოლიტიკური ხელისუფლების ცნება, ვინემ სამართალი. ამისათვის არის, რომ ჩვენთვის ხსენებული წიგნის ავტორის აზრი „ხელისუფლება მაკლერის როლში“ ყოვლად მიუღებელია. ჩვენს აზრს ამართლებს როგორც მარქსისტული მსოფლმხედველობა, ისე თანამედროვე პროლეტარული რევოლიუციის გამოცდილება, რომელიც თავის ხელმძღვანელის ლენინის ნაწერებში შემდეგს დაფასებას პოულობს: „დიქტატურა არის ხელისუფლება უშუალოდ დაყრდნობილი შეიარაღებულ ძალაზე—ძალდატანებაზე, პროლეტარიატის მიერ ბურჟუაზიაზე ძალდატანების გზით დაპყრობილი და დაცული, ეს არის მასების შეიარაღებულ ძალაზედ დამყარებული ხელისუფლება“, „რომელიც არ არის შეზღუდული არავითარი კანონით“.

ამრიგად, დიქტატურა არის ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ფორმა. კანონები არიან საშუალება და არა წყარო ან საზღვარი უზენაეს ხელისუფლებისათვის.

ჩვენი ავტორისათვის კი ეს ასე არ არის. მისთვის სახელმწიფო ხელისუფლება „არ არის ძალადობა, ვინაიდან ხელისუფლება სამართლის სახელით და სამართლისათვის მომქმედი ძალაა“. როგორც ჩვენ მიერ მოყვანილ დებულებებიდან სჩანს, პოლიტიკური ხელისუფლება არის ბატონობა, ე. ი. ძალადობაც, ამიტომ არის რომ მარქსისტულ ლიტერატურაში დღემდე უდიდესი ყურადღება ექცევა სახელმწიფოს კლასობრივობის მომენტებს. სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენს გაბატონებული კლასის რეალურ ძალას, იძულების ნივთიერ საშუალებებით; ამდენად სახელმწიფო არ წარმოადგენს რაიმე იდეოლოგიურ პრინციპს, არამედ ის არის მუდამ ძალთა რეალური სისტემა ამა თუ იმ კლასისა, რომელსაც თავის განვითარების წინსვლის პროცესში ხელთ აქვს იძულების რესურსები.

ლექტ. გ. ნანეიშვილისათვის კი სახელმწიფო და პოლიტიკური ხელისუფლება არ არიან იძულებითი საშუალებანი, რადგან „მოძალადე ხელისუფლება უკვე ხელისუფლება აღარ არის“. ნუ თუ შესაძლებელია დღეს ასეთი განმარტება სახელმწიფოსა და ხელისუფლებისა? ნუ თუ შესაძლებელია დღევანდელ სინამდვილეში წარმოდგენა ისეთი სახელმწიფოსი, სადაც ერთი კლასის მეორეზე ბატონობა არ იყოს? რასაკვირველია, ეს ყოვლად წარმოუდგენელია, რის გამოც პატივცემულ ავტორს ვერ დაეთანხმება ვერც ერთი ჩვენი თანამოაზრე, რომელსაც კი უგრძვნია მსოფლიო იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლიუციების ხანა, რომელიც უდიდეს მასალას იძლევა მარქსისტული დოქტრინის ჭეშმარიტების ნათელსაყოფად.

ყოველივე ამის შემდეგ ნება გვიბოძეთ, პატივცემულო ავტორო, უარვყოთ თქვენ მიერ წამოყენებული დებულებანი, სადაც თქვენ შეეცადეთ ბურჟუაზიული ინდივიდუალისტური მსოფლმხედველობის უკიდურესობამდე გამოყენებას. თქვენ უარყავით მარქსისტული მსოფლმხედველობა, უარყავით სოციალისტური უფლებრივი შეგნება ოქტომბრის რევოლიუციის მე-12-ე წლის თავზე, როდესაც, ჩემის აზრით, უკვე დროა იწარმოებოდეს ყოველივე მეცნიერული კვლევა ახლად გაბატონებულ კლასის სამეურნეო მოთხოვნილების ემპირიული შემოწმებისა და მასთან შეგუების მეთოდებით.

ილია ფანცხავა.

ქრონიკა

შეჯიბრება წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციაში

თბილისის პოლიტგანმა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის წარმატებით სოც. შეჯიბრებაში ჩასატარებლად გამოიწვია აჭარისტანის პოლიტგანის მთ. სამმართველობა, ქუთაისის საოლქო პოლიტგანი და ერევნის პოლიტგანი.

მე-18 შრ. სკოლის პედსაბჭოს დადგენილებანი წ.-კ. უცოდინარობის მოსასპობად

მე-18 შრომის სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა მოსპოს წერა-კითხვის უცოდინარობა ამავე სკოლის მოწაფეთა მშობლებში. ეს დადგენილება საბჭომ გამოუცხადა მშობელთა საზოგადო კრებას.

მსურველების ჩაწერა იწარმოებს ყოველ დღე დილის 9 საათიდან 12 საათამდე.

700 მოგება

სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის კანტორამ გუშინდლამდე გაანაღდა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მე-4 ტირაჟის 700 მოგება 60.000 მანეთის რაოდენობით.

ყურძნისა და ღვინის დამზადება

წელს საქართველოში დამზადებული იქნება 9016 ტონა ყურძენი, 1.465.000 ვედრო ღვინო და 6.000.000 გრადუსი ღვინის სპირტი.

ძირითად დამამზადებელ ორგანიზაციებად ითვლებიან „საქართველოს ღვინო", „საბჭოთა მეურნეობების ტრესტი" და „სოფლის კავშირი".

პირველი დაამზადებს 3.250 ტონა ყურძენს და 845.000 ვედრო ღვინოს. საბჭოთა მეურნეობების ტრესტი—5.736 ტონა ყურძენს და 620.000 ვედრო ღვინოს.

სპირტს დაამზადებენ საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და „სოფლის კავშირი". პირველი დაამზადებს 2.500.000 გრ. „სოფლის კავშირი"—3.500.000 გრ. სპირტს.

სხვა ორგანიზაციებს როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიულს ეკრძალებათ დამზადების ბაზარზე დამოუკიდებლად გამოსვლა.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **დღეს, 8 ოქტომბერს**, საღამოს 6 საათზე თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის ქართულ სექტორში მოწვეულია სამხატვრო-პოლიტიკურ-პედაგოგიური საბჭოს მორიგი სხდომა.

◆ **საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმზე, რომელიც** გაიხსნება უახლოეს დღეებში ქ. თბილისში, ეწყობა პროლეტარულ მწერლების გამოცემათი გამოფენა. მომწყობი კომისია თხოვს ყველა პროლეტარულ მწერლებს, რომელთაც გამოცემული აქვთ საკუთარი ნაწარმოებები ცალკე წიგნებათ სასწრაფოდ გადმოგზავნონ თითო ცალი ხელოვნების სასახლეში—გამოფენის მომწყობი კომისიის სახელზე.

◆ **დღეს, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში** შესდგება ცნობილი ახალგაზრდა მომღერალის—ნიკოლოზ როგატინის კონცერტი. კონცერტში მონაწილეობას იღებენ სკრიპკაზე დამკვრელი მ. რეისნი და პიანისტი—პოლიანსკი.

პროფ. ა. რაზმაძის დაკრძალვა

უნივერსიტეტში

უნივერსიტეტში, სადაც ესვენა პროფ. ა. რაზმაძის ცხედარი, დილიდანვე თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა. კუბოსთან იდგა თბილისის პროფესორების, მასწავლებლების, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა და სტუდენტების საპატიო ყარაული. უკრავდა სიმებიანი ორკესტრი.

11 საათისთვის უნივერსიტეტის ეზო და ქუჩა ხალხით გაივსო. 12 საათზე ცხედარი გამოასვენეს უნივერსიტეტის შენობიდან. კუბო მოქონდათ ამხ. **მიხა ცხაკაიას, დ. კანდელაკს, მ. ტოროშელიძეს**, პროფ. **ივ. ჯავახიშვილს**, პროფ. **შალვა ნუცუბიძეს, ბ. მაჩაიძეს** და სხ. კუბო დასვენებულ იქნა უნივერსიტეტის ეზოში, სადაც გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი.

სამგლოვიარო მიტინგი

პირველი სიტყვით საქართველოს და ამიერ კავკასიის მთავრობათა სახელით გამოვიდა ამხ. **მიხა ცხაკაია**. პროფ. ანდრო რაზმაძის სიკვდილი,—სთქვა ამხ. ცხაკაიამ,—დიდი დანაკლისია არა მარტო საქართველოსა და ამიერ-კავკასიისათვის, არამედ დიდი საბჭოთა კავშირისა და მთელი მეცნიერებისათვის, რომლის ერთი საუკეთესო წარმომადგენელიც იგი იყო. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა და პროლეტარულმა სტუდენტობამ მასი სახით დაჰკარგა ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერების ტაძრის ერთი მთავარი დედა-ბოძი, რომელიც დაუღალავი ენერგიით და ახალგაზრდული გატაცებით ემსახურებოდა საქართველოს გლეხებისა და მუშების შვილების მეცნიერულად აღზრდის საქმეს. ღარიბი მუშის ოჯახიდან გამოსულმა, მან აუწერელი გაჭირვებით და წარმოუდგენელი შრომით დასძლია ყველა სიძნელენი, რომელიც იმ დროს მშრომელთა წრიდან გამოსულ ახალგაზრდას წინ ეღობებოდა მეცნიერების გზაზე. იმ დროინდელი უნივერსიტეტში ცდილობდნენ მოემზადებიათ არა საზოგადო მოღვაწე მეცნიერები, არამედ მოხელენი, რომლებიც შეისისხლხორცებდნენ რეაქციონური მთავრობის მრწამსს და თავის მოღვაწეობას წარმართავდნენ ამ წყობილების განსამტკიცებლად. მშრომელი მასის წიაღიდან გამოსულმა ანდრომ წარმოუდგენელი ენერგიით დასძლია ყველა ეს სიძნელენი, მიიღო სამეცნიერო ხარისხი და კი არ შეჩერდა, არამედ განაგრძო მეცნიერული კვლევა-ძიება, წავიდა კიდევ წინ, უარყო პირადი ცხოვრება და თავის ერთად ერთ მიზნად დასახა მეცნიერული მუშაობა და მშრომელი მასის სამსახური. იგი ორივე ამ მიზანს ბრწყინვალედ ემსახურებოდა. მისი უდროოთ დაკარგვა განსაკუთრებით მძიმეა მით რომ მას როგორც ჯერ კიდევ ახალგაზრდას და ჯანღონით სავსეს, ეხლა ეწყებოდა უფრო ნაყოფიერი მუშაობის პერიოდი. აუნაზღაურებელია ანდრო რაზმაძის სიკვდილით გამოწვეული დანაკლისი, მაგრამ უნდა ვიმედოვნოთ, რომ მისი მოწაფეები, რომლებსაც ასე თავდადებით და უანგაროდ წრთვნიდა განსვენებული, წავლენ მის მიერ ნაჩვენები გზით, არ დაზოგავენ ენერგიას და ისეთივე ღრმა ცოდნით და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით აღჭურვილნი, შეავსებენ სიცარიელეს, რომელიც ანდრო რაზმაძის შემდეგ დარჩა.

ამხ. მიხა ცხაკაიას შემდეგ სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. მ. ტოროშელიძე, რომელმაც განსვენებული დაახასიათა როგორც მეცნიერი, როგორც პედაგოგი, სახელმწიფო უნივერსიტეტის უანგარო და თავდადებული მუშაკი, რომლის არსებობის მთავარ მიზანს შეადგენდა უნივერსიტეტის პრესტიჟის და მეცნიერების სისპეტაკის დაცვა. განსვენებულმა ნებაყოფლობით იკისრა ორი დიდი საქმე: მათემატიკური დარგის კიდევ უფრო გასაფართოებლად მას განზრახული ჰქონდა მატემატიკის დიალექტიკის და უმაღ. მატემატიკის დიალექტიკის დამუშავება და სათანადო ლექციების წაკითხვა, რის განხორციელებაც მას ულმობელმა სიკვდილმა აღარ დააცალა. ამხ. მალაქია მიმართავს პროფესორებსა და სტუდენტებს განსვენებულის შრომა და საქმისადმი სიყვარული დაისახონ მაგალითად და მთელი ძალღონე მოიხმარონ მისი სიკვდილით გამოწვეულ დანაკლისის შესავსებად.

პროფესორმა **შ. ნუცუბიძემ** დაახასიათა განსვენებულის უსაზღვრო სიყვარული უნივერსიტეტისადმი. შემდეგ ა. კ. კომუნისტური უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ა. კ. კომუნისტური უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. **ლისოვსკიმ**, პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სახელით ამავე ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის რექტორმა ინჟენერმა **წულუკიძემ**, საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა სახელით პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ბ. მაჩაიძემ** და პროლეტარული სტუდენტობის სახელით ალმასბიუროს წარმომადგენელმა ამხ. **კიკაბიძემ**.

გზაზე

დღის 1 საათსა და 30 წუთზე პროცესია დაიძრა უნივერსიტეტის ეზოდან და უნივერსიტეტის ქუჩით გაემართა ელბაქიძის დაღმართისაკენ. წინ მიჰქონდათ დროშები და გვირგვინები. განსვენებულის ბინიდან მათემატიკის სტუდენტების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ვეკუამ**.

ლენინის ქუჩის ელბაქიძის დაღმართით და პლეხანოვის პროსპექტით პროცესია გაემართა დიდუბის პანთეონისაკენ. თბილისის ობსერვატორიასთან ქართველ მათემატიკოსთა საზოგადოების სახელით სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის მოწაფემ და თანაშემწემ **ლ. გოკიელმა**.

სასაფლაოზე

სასაფლაოზე გაიმართა მიტინგი. თბილისის სამეცნიერო ძალების და განათლების მუშაკთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა პროფ. **გ. ახვლედიანმა**, რომელმაც განსვენებული დაახასიათა როგორც დიდი მეცნიერი, შეუდარებელი პედაგოგი და განსაკუთრებულ პირადი ღირსებით დაჯილდოვებული მოქალაქე. მათემატიკოს სტუდენტების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ლომჯარიამ**, უნივერსიტეტის საშეფო ნაწილის წითელ არმიელთა მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის სახელით წითელ არმიელმა ამხ. **ბუაძემ** და საქართველოს მშრომელთა სახელით ამხ. **ნოე ლეჟავამ**.

მიტინგის დამთავრების შემდეგ განსვენებულის კუბო ჩაუშვეს საფლავში. 4 საათსა და 15 წუთზე.

—:—

პროფ. რაზმაძის ხსოვნის აღსანიშნავად

ამიერ-კავკ. კომუნისტურმა უნივერსიტეტმა გადასწყვიტა პროფ. რაზმაძის საფლავზე გვირგვინის ნაცვლად გადასცეს 200 მანეთი პროფ. რაზმაძის სახელობის სასტიპენდიო ფონდის გასაძლიერებლად.

240 ტრაქტორისტი სოფელს

15 ოქტომბრიდან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი თბილისში აწყობს 5 თვიან კურსებს, რომელიც მოამზადებს 240 ტრაქტორისტს და სას.-სამეურნეო იარაღმანქანების 40 მონტიორს.

ტრაქტორისტების მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებენ: კახეთის ოლქიდან — 50 კაცს, გორის ოლქიდან — 50, კოლმეურნეობათა ცენტრიდან — 50, მიწატყის მუშაკთა კავშირიდან — 32, „საქართველოს ჩაი"-დან — 32, საბჭოთა მეურნეობების ტრესტიდან — 10, აჭარისტანიდან — 4, აფხაზეთიდან — 8 და სამხრეთ-ოსეთიდან — 4 კაცს. სულ მიღებული იქნება 240 კაცი.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მონტიორების მოსამზადებელ განყოფილებაზე ადგილები განაწილებულია შემდეგნაირად: კახეთის, თბილისის და გორის ოლქებს მიეცათ ხუთ-ხუთი ადგილი, სენაკის მაზრას — 5, ზუგდიდის მაზრას — ამდენივე, აჭარისტანს — 1 ადგილი, აფხაზეთს — 2, სამხრეთ-ოსეთს — 1 და მანქანა-იარაღების საცდელ სადგურს — 11 ადგილი. სულ ამ განყოფილებაზე მიღებული იქნება 40 კაცი.

კახეთის და გორის ოლქების აღმასკომებმა კურსებზე მისაღები კანდიდატები უნდა გამოგზავნონ იმ რაიონებიდან, სადაც განზრახულია **სოფელთაშორისო** სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დაარსება. კოლმეურნეობათა ცენტრმა კი კანდიდატები უნდა მოავლინოს იმ კოლექტივებიდან, რომელთაც მომავალი წლიდან მიეცემათ ტრაქტორები. „საქართველოს ჩაი"-მ კანდიდატები უნდა მოავლინოს სენაკის და ზუგდიდის მაზრების იმ რაიონებიდან, სადაც განზრახულია ტრაქტორების შეტანა. დანარჩენი ორგანიზაციები კანდიდატებს გზავნიან ადგილობრივი პირობებისა და საჭიროების მიხედვით. ტრაქტორისტების მოსამზადებლათ პირველ რიგში უნდა გამოგზავნონ — მოჯამაგირეები, უვადო შვებულებაში მყოფი წითელარმიელები, კოლექტივების წევრები და უღარიბესი გლეხობის წარმომადგენლები. კურსებზე გამოგზავნილებმა უნდა იცოდნენ წერა-კითხვა, ანგარიში 4 მოქმედების ფარგლებში და რაიმე ხელობა (მჭედლობა, ზეინკლობა და სხ.).

მონტიორების მოსამზადებელ განყოფილებაზე გამოსაგზავნ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ დასრულებული მიწსახკომის მიერ გასულ წლებში მოწყობილი ტრაქტორისტების კურსები და უნდა ჰქონდეთ ტრაქტორებზე მუშაობის 1 წლის სტაჟი.

ყველა გამოგზავნილებმა უნდა იქონიონ ლოგინი და სხვა საჭირო ნივთები. აჭარისტანი, აფხაზეთი, სამხ.-ოსეთი, საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და საზ-ბა „საქართ. ჩაი" თავიანთ კანდიდატებს აგზავნიან საკუთარი ხარჯით, ხოლო დანარჩენ დაწესებულებათა კანდიდატების ხარჯებს (25 მან. რაოდენობით თვეში) კისრულობს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) შ. ხვინგია (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) ს. კალანდაძე
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

16 ივნისის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა ა. გაფრინდაშვილის შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. ეb7—d7! (მe6×მუქარით) I. 1.., კc8:d7 2. მd8—c6× II. 1.., ეf7:d7 2. მd8—e6× III. 1. ეf7—e7 2. d3—d4× და სხვა...

ამოცანა დ. გორგაძის: შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. ეf3—f4!! (ცუგცვანგი) I. 1.., მფe5:f4 2. ლd8—f6× II. 1.., მc1—e2 2. მf2—d3× III. 1.., c5—c4 2. ლd8—d4×.

21 ივნისის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა დ. ჟღენტის: შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. კc2—g6! (ცუგცვანგი) I. 1.., f7:f6 2. ეa7—h7× II. 1.., მc6:a7 2. ლc8—c1× III. 1.., მe8—g7 2. კa1:g7× IV. 1.., კe6:c8 2. მd6:f7× V. 1.., მe8—f6 2. ლc8—f8× VI. 1.., კe6—d5 2. მd6—f5×.

ამოცანა ა. კეზელის: შამათი სამ სვლაში. გადაწყვეტა: 1. კc3—h8! (ცუგცვანგი) I. 1.., მფc4—c5 2. ეd7—c7, მფc5—c4 3. ეc7:c6× II. 1.., c6—c5 2. ეd7—g7!!, მფc4—d4 3. ეg7—g4×!!

პასუხი მკითხველებს

ა. გაფრინდაშვილის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: **ა. ჩირაძემ, ა. მარგალიტაძემ, ვ. ნადირაძემ** (ბაკურიანი), **ა. ჭიპაშვილმა** (ხაშური), **ნ. ჩუბინიძემ** (ზესტაფონი), **ჯ. ჩომახიძემ** (სამტრედია) და **ნ. ბანჩხავამ** (სენაკის მაზრა, სოფ. ხუნწი).

დ. გორგაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: **ა. ჩირაძემ, ა. მარგალიტაძემ, გლ. შავგულიძემ** (ქუთაისი), **კ. ფირცხალავამ** (სოფ. მათხოჯი) და **ნ. ბარჩხავამ** (სოფ. ხუნდი)

დ. ჟღენტის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: **ა. ჩირაძემ, ა. მარგალიტაძემ** და **ჯ. ჩომახიძემ** (სამტრედია).

ფიზკულტურა და სპორტი

კალენდარული შეჯიბრებების პირველი დღე

კალენდარული შეჯიბრებების პირველი დღე აღინიშნა „დინამო"-ს, მელითონეების და ტრანსპორტელთა მნიშვნელოვანი გამარჯვებით.

„დინამო"-მ ადვილად მოუგო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს ორივე გუნდში (4:0,—4:0), მელითონეები კიდევ უფრო ადვილად გაუსწორდნენ კომუნალურ მუშაკებს (პირველ გუნდებში 5:1, მეორეში—8:1), ხოლო ტრანსპორტელებმა დაარბიეს მედსანშრომის მუშაკები პირველ გუნდებში 5:0 და მეორეში 6:1.

ამრიგად, „დინამო"-მ, მელითონეებმა და ტრანსპორტელებმა ამ დღეს მოაგროვეს 45 ქულა თვითეულმა, ხოლო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდმა, კომუნალურმა მუშაკებმა და მედსანშრომის მუშაკებმა 15 ქულა თვითეულმა.

—:—

შეჯიბრება ფრენბურთში

კვირას, 6 ოქტომბერს, დაიწყო შემოდგომის სეზონის საქალაქო პირველობის გათამაშება ფრენბურთში. პირველ დღეს თამაშობდნენ „დინამო"-ს და საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების გუნდები. პირველ გუნდებში (ამხანაგური შეჯიბრება) გაიმარჯვა „დინამომ", ხოლო დანარჩენ ოთხ გუნდში საბჭოთა-სავაჭრო მუშაკებმა.

—:—

ველო-შეჯიბრება პარიზი—თბილისი

კვირას, 6 ოქტომბერს, თბილისის ველოდრომზე მოხდა საფრანგეთის მუშა-ველოსიპედისტებისა და თბილისელი ველოსიპედისტების მეორე და უკანასკნელი შეჯიბრება. შეჯიბრებაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა პარიზელი ველოსიპედისტის **ბუასარის და ლეჟავას** (თბილისი) შეხვედრა. წინა დღით ლეჟავამ მოუგო ბუასარს, რის გამოც უკანასკნელმა იგი გამოიწვია ხელახლა, მაგრამ სარევანშო შეჯიბრებაც ლეჟავას გამარჯვებით დამთავრდა. 200 მეტრის მანძილი ლეჟავამ დაფარა 14,5 წამში, ხოლო ბუასარმა 14,8 წამში.

შემდეგ გამოსვლებში გაიმარჯვეს ფრანგებმა. 3 კილომეტრის მანძილზე ლეჟავასა და ფირსოვს მოუგეს ბუასარმა და სეგარმა. მესამე სამატჩო შეჯიბრებაში ბუასარმა მოუგო ლეჟავას, სეგარმა —ფირსოვს, პიკმა —ლესკუტკინს, სეგარია—ესაიანს და კარბონიემ —სააკაძეს. დასასრულ გაიმართა პარიზისა და თბილისის გუნდების შეჯიბრება 7 კილომეტრზე. თბილისელებიდან შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს—ლეჟავამ, კოდისოვმა, ლესკუტინმა და ნესტოროვმა, პარიზელებიდან—ბუასარმა, სეგარმა, პიკმა და კარბონიემ.

გამარჯვება წილათ ხვდა პარიზელებს, რომლებმაც სხვათაშორის დაამყარეს თბილისისათვის ახალი დრო. 32 წრის (7 კილომეტრი) შემორბენა მათ შესძლეს 10 წუთში და 51,8 წამში, რაც თბილისისათვის სარეკორდო დროთ ითვლება.

7 ოქტომბერს საღამოს ფრანგი მუშა-ველოსიპედისტები გაემგზავრნენ უკან მოსკოვისაკენ, საიდანაც დაბრუნდებიან საფრანგეთში. გამგზავრების წინ შესდგა თბილისელი ველოსიპედისტების კრება, რომელსაც დაესწრნენ უცხოელი სტუმრებიც.

დ.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 8 ოქტომბერი

დღეს თბილისის რადიო-სადგური გადასცემს შემდეგ რადიო-პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან—პიონერისა და მოსწავლის საათი—საუბარი: „საშემოდგომო და საზამთრო მუშაობის ამოცანები", ქართ. ენაზე; საუბარი—„პურის დამზადება და მისი მნიშვნელობა", ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართ. ენაზე; გაზეთი „პროლეტარი" რადიოთი, სომხურ ენაზე; საკონცერტო განყოფილება; რადიოს მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია; რადიო-გადაცემათა კვირეული პროგრამა, ესპერანტოს ენაზე; როგატინის კონცერტის ტრანსლიაცია; უკანასკნელი ამბები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს.

რკინისგზელთა სექციიდან: გრიგოლ გურგენიძე, ალექსანდრე ბერაძე, ივანე ხუციშვილი, გიორგი სებისკვერაშვილი, ნიკოლოზ კაბერაშვილი, ევგენი ავანოვი, ისაკ მირუაშვილი, იოსებ ქავთარაძე, ნინა გლობენკო.

მშენებელ მუშათა სექციიდან: სერგო ზახაროვი, გრიგოლ მაილოვი, იოსებ ბაბაევი, გურგენ ავაქოვი, მიხეილ ელიაძე, ლეონიდე მიქელაძე, ოსკან არგენინი, ანდრო სტეფანოვი, პ. ვართანოვი, არუთინ ხაჩატუროვი, არამ კარაპეტიანი, ამაიაკ მიკირტიჩიანი, პეტრე გონჩარენკო, მირონ ამროიან, გიორგი კავთუაშვილი, ვახტანგ ვარუფანიანი, გრიგოლ ოგანეზოვი, ვართან საკიანი, გრიგოლ გაბიჩვაძე, ბახშო ედიგაროვი, მოსეს ყაზარიანი, ვლადიმერ კახრაძე, გიგუცა ბასიაშვილი, შალვა არგაბაძე.

ზავ მუშათა სექციიდან: კონსტანტინე კერესელიძე, პავლე კიკნაველიძე, ალექსანდრე ზაქარაშვილი, ბიკენტი ჯანგიძე, გილამ მანუკოვი, გედევან გაგიევი, ვახტანგ შაიუაშვილი, იოსებ მანძელაშვილი, დიმიტრი მარგიევი, ბაბექ ავეტისოვი, რუბენ ნუსულოვი, ნიკოლოზ ხარაგურიანცი, მელიტონ ჯაგაევი, ანდრო ჯაგაევი, ლავრენტი მესხიშვილი, ალექსანდრე დოდოიახვა, ივანე დოლაბერიძე, იაგორ კალანდაძე მანუკ შახიანცი, ბათლომე წოწორია, ვასილ [illegible]თარაძე, ვლადიმერ კეკელიძე, ანთიმოზ კაციტაძე, აგაფია შიპუცინი.

მედსექციიდან: ივანე ცხადაძე, ტიგრან ფაფაქოსიანი, რუბენ ბეკზაღოვი. მედსექციას ესაჭიროება ექიმი ბორჩალოს რაიონში გასაგზავნად.

ჩვენი ფოსტა

მუშკორ პროლეტარს. დაუყოვნებლივ მოგვაწოდეთ „საქ. მუშგლეხკორის" რედაქციისათვის გამოგზავნილ კორესპონდენციის დამამტკიცებელი ყველა საბუთები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ამხ. ქადაგიშვილთან (ოთახი № 66) იწვევს შემდეგ ამხანაგებს: მიხეილ სიმონის ძე სპარსაშვილს, მიხეილ ივანეს ძე ავაქოვს, ნინო მიხეილის ასულ ბოკუჩავას, ოლღა ალექსის ასულ ჰელიძეს, არჩილ დიმიტრის ძე მუქათარიძეს.

—:—

დღეს, 8 ოქტომბერს, რკ. გზ. მე-8 სკოლაში საღამოს 7 საათზე შესდგება გან. მუშ. ა.ლ.კ.კ. უჯრედის სხდომა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საარიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. ანდრ. ფროლის ძე ტალნიკოვს და ჩინჩალაძეს (სახკინმრეწვი) გამოცხადდნენ ცეკაში ამხ. ელიგულაშვილთან (ოთახი № 22).

—:—

სახ. უნივ. სამკ. ფაკ. ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 8 ოქტომბერს საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია ბიუროს სხდომა, ხოლო სრულ 7 საათზე ამავე უჯრედის საერთო კრება. კრებას უნდა დაესწრონ აგრეთვე წელს ჩარიცხული სტუდენტები. განსახილველია ფრიად სერიოზული საკითხები.

სახ. უნ. [illegible] ა.ლ.კ.კ. უჯ. ბიურო აცხადებს, რომ 10 ოქტომბრამდე უნდა წარმოადგინონ ანკეტები საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებულმა ა.ლ.კ.კ. წევრებმა, 10 ოქტომბრის შემდეგ ანკეტები არ მიიღება.

ანკეტების მიღებას აწარმოებს ამხ. ჯიქია ყოველდღე 10 საათიდან 2 საათამდე.

—:—

სახ. უნივ. სოც.-ეკ. ფაკ. მე-8 და მეოთხე კურსის ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დაიწყო უჯრედის წევრთა აღრიცხვა. აღრიცხვაზე უნდა გამოცხადდნენ, 15 ოქტომბრამდე სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს 11 საათ. 2 საათამდე ბიურო კოლექტივში მეორე უჯრედის ტეხნიკურ მდივანთან ამხ. ვას. კიკვაძესთან.

—:—

დღეს, ხალ. 5 საათზე შესდგება ს.ს.პ. ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივის და უჯრედების ბიუროების გაერთიანებული სხდომა. დასწრება უჯრედის ბიუროების წევრთათვის სავალდებულოა.

რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ კვირას, 6 ოქტომბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე თეატრის ორკესტრის არტისტი

პავლე დიმიტრის-ძე ბოკერია

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს, დღის 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ნიკოლაძის 1-ლი ჩიხი № 16). სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. (ნის)

რუსთაველის თეატრის დასი აუწყებს საზოგადოებას ძვირფასი ამხანაგის ორკესტრის არტისტის

პავლე (პალიკო) ბოკერიას

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე, გამოსვენება ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს, დღის 4 ს. ნიკოლაძის 1 ჩიხი № 16. (ნ.)

რუსთაველის თეატრის ორკესტრი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი

პავლე (პალიკო) დიმიტრის-ძე ბოკერია

სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე საკ. ბინაზე, (ნიკოლაძის 1-ლი ჩიხი № 16). დაკრძალვა ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს, დღის 4 საათზე. (ნის.)

სახელგამის თანამშრომლები ჟ. ალახვერდოვი, ა. გვახარია, გ. დევდარიანი, მ. თაბუკაშვილი, ბ. სარიბეგოვი, ა. პოლოსოვი, გ. დავითაშვილი, მ. სერგეევი, კ. მჭედლოვი და ს. დევდარიანი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას ამხანაგის

ლიოვა (ევგრაფი) ხუნდაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს, 8 ოქტომბერს, დღის 4 საათზე. (ნ)

ნესტორ ფარნაოზის-ძე, მეუღლე ელისაბედ ივანეს ასული ჩახავები შვილებით იუწყებიან, რომ 4 ოქტომბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ევგრაფი მიხეილის-ძე ხუნდაძე

დაკრძალვა დღეს 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება განოვის ქუჩა № 3. 3308

ღრმად დამწუხრებული მამა აკაკი სპირიდონის-ძე ქაჯაია აუწყებს მეგობრებს და ამხანაგებს საყვარელ ქალიშვილის

ქეთინოს (კუკუშკას)

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს ნაშუადღევის 4 საათზე, ჟორესის ქ. № 12, კუკიის სასაფლაოზე. (შ)

დამწუხრებული შვილები: საშა, მანია, კოლა და არჩილი, რძლები: დარიკო და ლიზა, შვილიშვილები: ჟორჟიკა, ლეო, რუსიკო და ნუნუ აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ოქტომბრის 6, დღის 12 საათზე, ქ. გორში გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი, უტკბესი და საყვარელი დედა

ნინო ლევანის ას. ღვინიაშვილისა

დაკრძალვა ქ. გორში, დღეს, 8 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. 3305

უაღრეს მწუხარებაში მყოფნი—გულდათუთქული მეუღლე შაქრო პატარა იუზათი, მამამთილი მერაბი, დედამთილი ეშხანი, მაზლი არჩილი, რძალი მარუსა მაჭავარიანები, მშობლები ამბროსი და მარია, ძმა იაშა და დები მაშიკო და ქუჩიერი ჟღენტები, მული თამარა და მულის ქმარი სოლიკო ჟღენტი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ამა წლის 4 ოქტომბერს დაბა ხარაგოულში მოულოდნელად გარდაიცვალა მათი მუდამჟამს დაუვიწყარი უსაყვარლესი

მარგალიტა ამბროსის ასული მაჭავარიანი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს, ს. ლაშეში. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნინა, ძმა ალექსანდრე, და ეკატერინე, ბაბუა მონასე, ბებია ნამეტი, ბიძია გერასიმე, მამიდა საშა და სონია ართილაყვები და ბიძია დ. ხვიჩია მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავებს და მეგობრებს, რომ უდროოდ დავკარგეთ ჩვენთვის ძვირფასი 14 წლის

ემენი მელიტონის-ძე ართილაყვა

გამოთხოვება სამშაბათს, 8 ოქტომბერს, სოფ. ჯუმათში. 3295

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე სერგო ზაქარიას-ძე ისაევი აუწყებს ნათესავთ და მეგობართ, რომ მისთვის უდროოდ დაკარგულ

ტატიანა (თიკო) სტეფანეს ასული ისაევის

ხსოვნის აღსანიშნავათ 10 ოქტომბერს ნაშუადღევის 4 საათზე იქნება გადახდილი სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ჭიათურაში ვაშაძეების სასაფლაოზე. 3298

ღრმად დამწუხრებული შვილები: ნიკოლოზი და თეოლინა ქვანიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ—საყვარელი დედის

ნატალია ივანეს ასული ქვანიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 9 ოქტომბერს, 3 საათზე, 1-ლ საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცი). დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3311

გურიის რკინის გზის ხაზი

გაგრძელებული იქნება

წყალტუბოში ყოფნის დროს ამხ. რუძუტაკმა მიიღო გლეხთა მრავალი დელეგაცია.

კვირას, 6 ოქტომბერს, დილით, ამხ. რუძუტაკს ესტუმრა გურიის გლეხთა დელეგაცია. დელეგაციამ გადასცა ამხ. რუძუტაკს განმარტებითი ბარათი და სთხოვა მას დახმარება ოზურგეთიდან — ჩოხატაურამდე რკინის გზის შტოს გაგრძელების საქმეში. ამ გზას თვალსაჩინო ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. დელეგაციამ გლეხობის სახელით განაცხადა, რომ შავ სამუშაოს შეასრულებს ადგილობრივი მოსახლეობა.

ამხ. რუძუტაკი, გაეცნო რა ოზურგეთ-ჩოხატაურის რაიონის გეოგრაფიულ-ეკონომიურ პირობებს, განაცხადა, რომ თუ კი გლეხობა შეასრულებს სამუშაოების განსაზღვრულ ნაწილს, იმ შემთხვევაში იგი მთავრობაში დასვამს საკითხს გზის გაყვანის ვადის დაჩქარების შესახებ (გზის გაყვანა შეტანილია სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში).

მუშაობის ხელმძღვანელობა დაეკისრება ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს.

ნათესების მდგომარეობა

საქართველოს სტატსამმართველოს ცნობით, სექტემბრის მეორე ნახევარში ცივი ამინდები დაიჭირა თბილისის ოლქსა და, აფხაზეთში. ახალციხის მაზრაში სიმინდის მოსავალი ჰექტარზე ნავარაუდევია 78 ფუთის რაოდენობით, აფხაზეთში 20 ფუთის და აჭარისტანში 38 ფუთის რაოდენობით. აფხაზეთში თამბაქოს მოსავალი ნავარაუდევია 22 ფუთის რაოდენობით. სიმინდის ნათესები 1 ოქტომბრისთვის აღმოსავლეთ საქართველოში შეფასებული იყო 2,1 ნიშნით, დასავლეთ საქართველოში — 1,7 ნიშნით. ხოლო მთლიანად საქართველოში 1,8 ნიშნით. ბამბის ნათესები მთელ რესპუბლიკაში — 2,9 ნიშნით; (15 სექტემბრისთვის ბამბის ნათესების მდგომარეობა შეფასებული იყო 3,1 ნიშნით), თამბაქოს მდგომარეობა — 1,5 ნიშნით, ვენახების მდგომარეობა — 2,7 ნიშნით და ხილის ბაღების მდგომარეობა — 2,7 ნიშნით.

სასამართლო

ქალები მხეცების ხელში

ახალგაზრდა გლეხი ქალები ჩერენცევა და ანისიმოვა იდგნენ აივანზე და ესაუბრებოდნენ ნაცნობ კურსანტებს (წითელარმიელებს). თოვლით იყო დაფარული მანგლისის ქუჩა.

ეზოს წინ გაჩერდა მარხილი. მემარხილე **თედორე კუკუშკინი**, რომელსაც გვერდით ეჯდა მეგობარი **ნიკოლოზ თათაროვი**, განსაკუთრებული, მისთვის არაჩვეულებრივი თავაზიანობით ეპატიჟება მოსაუბრე კამპანიას: „გავისეირნოთ, გავინავარდოთ, დღეს დაკლებულ ფასებში დავატარებ მოქალაქეებს".

კურსანტები მოურიგდნენ მემარხილეს. ქალები ჩასხდნენ მარხილში. მარხილი შურდულივით გაექანა.

ქალებს გზა ეუცხოვათ. მემარხილემ გადაუხვია ოღრო-ჩოღრო ადგილებისაკენ. დაბნელდა კიდეც.

ამ დროს ელვის სისწრაფით მოჰქრის მეორე მარხილი; რომელიც გზას გადაუჭრის პირველ მარხილს და ჩერდება. მარხილიდან გადმოხტებიან მანგლისელი მოხეტიალე არამზადები: **ალექსანდრე ლიაპინი, მიტროფანე პაშინი, ზაქარია პაშინი, ვასილ გრეჩკინი და თედორე ვარვარიუკი**.

— აბა, ჩამოდექით, — ეუბნებიან ხულიგნები კურსანტებს, რომელთაც აღარ აცლიან სიტყვის ამოღებას, წააქცევენ და სცემენ უმოწყალოდ.

მოკვლის მუქარით ხულიგნები მოიშორებენ კურსანტებს და დაერევიან ქალებს. ანისიმოვას ქალი ახერხებს გაქცევას, მაგრამ მას გამოუდგება ზაქარია პაშინი, წააქცევს თოვლში და მხეცური გზით იკმაყოფილებს მასთან სქესობრივ ჟინს.

ხუთივე ხულიგანი დაესევა ჩერენცევას ქალს. ქალი ყოველივე ძალ-ღონეს ხმარობს მხეცებისაგან გასანთავისუფლებლად, მაგრამ ვერაფერს ხდება. ხუთივე მაწანწალა იკმაყოფილებს მასთან ჟინს; სულთ მობრძავ ქალს სტოვებენ თოვლში და მიჰქრიან ისევ მარხილით.

მემარხილე კუკუშკინი და მისი მეგობარი თათაროვი ამ ბრძოლისა და წივილ-კივილის დროს იცავენ მტკიცე „ნეიტრალიტეტს". როგორც გამოძიებით გამოირკვა, ისინი წინასწარ მოლაპარაკებული იყვნენ ხულიგნებთან.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩერენცევას ქალი ამ ნიადაგზე თვითმკვლელობით ათავებს თავის სიცოცხლეს.

ამ აღმაშფოთებელმა მხეცობამ აალაპარაკა მთელი მანგლისის მოსახლეობა. ხულიგნები შეპყრობილ იქნენ. ისინი გამოტყდნენ დანაშაულში.

საქმის გამოძიება დამთავრებულია. საქმე საჩვენებელი პროცესით გაირჩევა მანგლისში.

მანგლისელი „ჩუბაროველები" მიიღებენ სასტიკ სასჯელს. ამას მოითხოვს მანგლისის გლეხობა, ამას მოითხოვს მთელი საზოგადოებრიობა.

ბერ.

შემთხვევები

სახკინმრეწვის გამქურდავთა დაპატიმრება

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სახკინმრეწველობის ფაბრიკაში სისტემატიურად იკარგებოდა სხვადასხვა ნივთები. ადმინისტრაციამ ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ ქურდობას სჩადიოდნენ: ივანე ბუშკინი და ლეონიდ ემელინი. ორთავე ბოროტმოქმედი დააპატიმრეს. ბუშკინმა სასჯელის მოხდის შემდეგ ისევ განაგრძო თავისი „მოღვაწეობა" ვასილ ბალოტინთან ერთად.

ს.ს. მილიციის თანამშრომლებმა ორივე ბოროტმოქმედი დააპატიმრა ქურდობის ადგილზე. ბალოტინი გამოტყდა დანაშაულში.

დაჭრა ჩხუბის დროს

გუშინწინ დღისით თავისუფლების მოედანზე ვლადიმერ ხატიაშვილმა და გიორგი ბაგრატის ძე მინასიანცმა ჩხუბის დროს მძიმე დდასჭრეს ჯანველ სტეფანეს ძე აბრამიანცი (მცხ. რიყის ქ. № 56). ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს.

ტრამვაის ქვეშ

კვირას, 6 ოქტომბერს, კალინინის მოედანზე მიმავალ ტრამვაის ვაგონს შეახტა იაკობ მიხეილის ძე ნავარიაშვილი (მცხ. კრილოვის ქ. № 7), რომელსაც ფეხი დაუსხლტა და მოჰყვა ვაგონის ქვეშ. ნავარიაშვილი უგრძნობ მდგომარეობაში გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

კაცი—მხეცი

სარქის სტეფანეს ძე აკულიანი (მცხ. უნივერსიტეტის ქ. № 2) ბინაზე მიუვარდა ბერსაბ ისარაილის ასულს აზროიანს და სცემა. გულწასული ქალი გადაგზავნეს საავადმყოფოში. აკულიანი დააპატიმრეს.

თავის მოწამვლა

ანა ნიკოლოზის ასულმა გრიშინამ (მცხ. კომუნალური ქ. № 105) იოდით მოიწამლა თავი—მაგრამ სიკვდილს გადაარჩინეს.

მკვლელობა

მელიქ ხაჩატურის ძე მურადოვმა დანით სასიკვდილოთ დასჭრა თავისი ცოლი—სონია გასპარის ასული მურადოვა. მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და, გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში, სადაც იგი გარდაიცვალა.

პალტოს ქურდები

დაპატიმრებულია ვასილ ბიქტორის ძე გამცემლიძე და ოგან მიხეილის ძე ოგანოვი, რომლებმაც მუშკოოპის პასაჟიდან (რუსთაველის პროსპ.) მოიპარეს პალტო. ოგანოვი ამას წინად გაიპარა გამსახლიდან. მას სახაზინო ფულების გაფლანგვისათვის, მისჯილი ჰქონდა ორი წლით დაპატიმრება.

დაპატიმრება

ქურდობისა და ჯიბგირობისათვის მილიციამ დააპატიმრა: სედრაკ მიხარიანცი (უბინაო), გიორგი გრიგოლის ძე დიდზურაბოვი, არამ კოზონის ძე არუთინოვი, სერგო ხორენის ძე ჯანხალიანი, გრიგოლ აკოფის ძე აკოფიანი და აკოპ მიკირტიჩის ძე კაზარიანცი.

თავდასხმა ფუნიკულიორზე

გუშინწინ, საღამოთი ალფეზ მიხეილის ძე ფარჯანაძე ფუნიკულიორზე თავს დაესხა დათიკო სოლომონის ძე გვენცაძეს, რომელსაც მოკვლის მიზნით რამდენიმეჯერ ესროლა რევოლვერიდან. გვენცაძე უვნებლად გადარჩა.

ქურდობა

იოსებ ალავერდოვს კინო „აპოლო"-ში ჯიბიდან ამოაცალეს 130 მანეთი და 120 მანეთის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები. მე-9 შრომის სკოლაში მასწავლებელ რაისა მანაკიანს მოპარეს 83 მანეთი და საათი.—გაქურდეს ბინათკავშირის სალარო (სომხის ქ. № 6), წაიღეს 150 მანეთი და 240 მანეთის ობლიგაციები:—ალექს. გამყრელიძის ბინიდან (ნ. ბარათაშვილის ქ. № 13) დუტუ აბაშიძემ მოიპარა 150 მანეთის ნივთები და მიიმალა.

საქართველოს ს.ს.რ. სახელ. გამომცემლობა
განსახკომის მიერ დამტკიცებული
სახელმძღვანელოებიდან
დაიბეჭდა და იყიდება მაღაზიებში

1) ჭუმბურიძე—საზმეცნიერება 5 ჯგ.
2) ტარასოვი—საზმეცნიერება ტ. 4, ნ. 1 და 11, (შრ. სკოლ. და ტეხნიკუმებისათვის).
3) ეფრემიძე—მიწის მუშის მეგობარი (სოფლ. ახ. სკოლის, სასოფ. სამ. განხრ. სკ. და ტეხ.)
4) ზ. კლიმიაშვილი—საბჭოთა კავშირის გეოგრაფია.
5. ფაჩუაშვილი და მეტრეველი—ზოოლოგია VI ჯგ.
6) ხარაბაძე და გიორგობიანი—ალგებრულ ამოცანათა კრებული.
7) ხარაბაძე და დევიძე—ტრიგონომეტრია.

შეკვეთები მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიებში.
დაკვეთის დროს უნდა გამოიგზავნოს ბე—25%.

ტატიანა შკლიარი, პ. პეჩკო,
შ. ხუსკივაძე, ი. ბარმატოვი
სურათში
ჩქარი
№ 2
რეჟისორი გ. მაკაროვი
ოპერატორი ვ. ენგელსი
ამ დღეებში
აპოლო-სოლეი-არფასტოში
ნ. 3312

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10 და 11 აბონემენტი სავსებით გაყიდულია.

ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრს არ აქვს საშუალება კიდევ გამოუშვას აბონემენტები, მაგრამ პროფესიონალური მასების დაბეჯითებითი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად პროფკავშირის წევრებისათვის იგი უშვებს

შეღავათიან ტალონებს

შეღავათიანი ტალონი ანიჭებს 25 პროც. შეღავათს; გამოშვებულ იქნება 10 მანეთიანი და 7 მან. 50 კაპ. ღირებულების შეღავათიანი ტალონები.

შეღავათიანი ტალონით თეატრის სალარო მისცემს ყოველგვარ ადგილს ყოველგვარ წარმოდგენაზე, როგორც სააბონემენტო (გასაყიდად გადადებული ბილეთებიდან) ისე აბონემენტს გარეშე ყველა წარმოდგენაზე.

შეღავათიანი ტალონით ბილეთები შეიძლება შეძენილ იქნას რიგს გარეშე მთელი სეზონის განმავლობაში.

შეღავათიანი ტალონების ფასი შეიძლება გადახდილ იქნას სამ ვადაში: 1) ხელისმოწერის დროს—2 მან. 50 კაპ., 2) 1 ნოემბერს—2 მან. 50 კაპ. და 3) 25 ნოემბერს—2 მ. 50 კ.

ტალონები განსაზღვრული რაოდენობით იქნება გამოშვებული. ყველა საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომებმა თავის დროზე უნდა შეიძინონ ტალონები. ტალონების გაყიდვა სწარმოებს ყოველდღე და შესწყდება 20 ოქტომბერს. ნ. 3311

ქ. თბილის სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებების, საბინაო ამხანაგობების და კერძო მოქალაქეთა საყურადღებოთ:

დროშები ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის მიერ დაწესებული ნიმუშის თანახმად,

იყიდება ბავშვთა კომისიის მაღაზიაში (რუსთაველის პრ. № 11).

იქვე შეიძლება მიიღოს სპეციალური შეკვეთების მიღება დროშების დასამზადებლად.

3309 3—1 ბავშვთა კომისია.

აპოლო	მეორე კვირა ზეროს ვაჟი დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
პალასი	საზღ. გარეთის ნაწარმოები, მხატვ. კომედია საქმის კაცი
სოლეი	კინო-მოთხრობა საქმე № 128 (თანამედროვე ავანტიურისტი)
არფასტო	ო. ჟიზნევა ახალ სურათში უცხო ქალი
მინიონი	ამერიკ. კომედია რადიო და ლომი
დარბაზი	ექვსი ქალიშვილი ეძებს თავშესაფარს

მ ა ლ ე: კაცი კინო აპარატით.

ქვემო ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

—„ზაკტპოს" პურის წიგნაკი № 45619—ვარდენი კომახიძეს სახელზე.
—„ზაკტპოს" წიგნაკი № 71864—ბახვა ჩარკვიანის სახელზე. 3297
—დამზღვევ სალაროს წიგნაკი თამარი კიკვაძეს სახელზე. 3296
—დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 21 ალექსანდრე მარქარიანცის სახელზე.
—ატესტატი № 144, გაცემული ქუთაისის მაზრის სოფ. დაფნარის 7 წლ. შრომის სკოლიდან შალვა თარგამაძეს სახელზე. 3294
—განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 11824—ნინო იოსების ასულ შათირაშვილის სახელზე. 3293
—უვადო პასპორტი და საარიცხვო ბარათი გასუმ ისმაილ ოღლის სახელზე. 3299
—ლომბარდის ქვითარი № 105070. 3300
—კავშირის წიგნაკი № 91 ი. ფირცხალავას სახელზე. 3302
—პირადობის მოწმობა № 210 ივანე კონიაშვილის სახელზე. 3304
—მუშკოოპის საწევრო წიგნაკი პავლე თემრაზის-ძე კოდუას სახელზე.
—პურის წიგნაკი № 334 ვაღარშაკა გევორკიანცის სახელზე. 3306
—პარტსაკანდიდატო ბარათი № 20601, ტასო დავითის-ძე დოლიძეს სახელზე. 3307
—კავშირის წიგნაკი, სამხედრო საარიცხვო ბარათი, რემედასის წიგნაკი და დამზღვევ სალაროს წიგნაკი გენო კონსტანტინეს-ძე ჯიქიას სახელზე. 3282

თბილისის ცირკი

(სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებულ ინვალიდთა დამხმარე სრ. საქ. კომიტეტისა)

სამშაბათს, 8 ოქტომბერს, ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს და ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს

ახალი გასტროლების სანახაობა 3 განყოფილებად
დღეს ორი ახალი გასტროლიორი.

ლენინგრადის თეატრის მსახიობის იური გრიგოლის-ძე **სნეგოვის** (თანამედროვე სატირა) და ვერა ვასილის ასული **ნევეროვსკაიას** პირველი გასტროლი.

მონაწილეობას იღებს აგრეთვე მთელი დასი. დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე. სალარო ღიაა საღამოს 5 საათიდან.

დირექტორი ს. ნ. ქუთათელაძე. დირექტორის მოადგილე კ. მაქს-ხოდზკო.

ნ. 3313 1—1

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
სპეციალურათ ექიმობს
სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია) ფსიქოტერაპია
მიღება დილით 9 ნახ. 11 საათამდე
საღამოს 5—7 საათამდე
ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22, ტელეფ. 25—2.
25—1

კბილის ექიმი
ი. ბ. ხარებავა-ბაქრაძე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები.
სნეულ კბილების ამოღება უმტკივნეულოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117.

სახელმწიფო
უნივერსიტეტის
სტომატოლოგიური
კლინიკაში
(პირის ღრუს, ყბების და კბილების სნეულებანი)
ავადმყოფობის მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდან.
პლეხანოვის ქ. № 126.
13—1 3176

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
განაახლა ავადმყოფების მიღება. სიფილ. ვენერიული და კანის სნეულებანი.
ბელგიის ქ. № 1, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს ახლოს, დილით—8-9, საღამოთი 6 8.

ექიმი
ი. დ. ბეგთაბეგოვი
დაბრუნდა.
სიფილისი, კანის და შარდ სასქესო ავადმყოფობა.
ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, დიათერმია, გალვანიზაცია, იონიზაცია ფარადისაცია, სტატიური ელექტრონია, დარსონვალი, კვარცის ლამპა (ულტრა იისფერი სხივები).
ჯორჯაძის ქ. № 5. 13—1

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა და ღებულობს ქალთა ავადმყოფებს დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე.
ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 13—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა.
რუსთაველის გამზირი № 12
3255 13—

ტირაჟი—43.125
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904